

*ეძღვნება აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის 110 წლის იუბილეს*



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Arnold Chikobava Institute of Linguistics  
Academy of Sciences of Tskhum-Abkhazia

Nana M. Machavariani

# **Abkhazian Affixes and Modal Elements**

(With Grammar Review)

Tbilisi  
2020

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

ნანა მაჭავარიანი

## აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები

(გრამატიკული მიმოხილვითურთ)

თბილისი  
2020

აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვაფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

აფხაზური ენის მორფოლოგიის უკეთ წარმოჩენის მიზნით ამ ენაში არსებულ ფორმანტთა განხილვა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ფონემათა ფორმანტებად ან ფორმანტებში გამოყენების სიხშირესაც.

წიგნში სათანადო საილუსტრაციო მასალით წარმოდგენილია: სახელური მორფემები, ზმნის პირ-კლასის, მოდალურ კატეგორიათა და დრო-კილოთა მაწარმოებელი, ფინიტურობა-ინფინიტურობის, საგარემოებო და სამიმართეზო, მადინამიკურებელი ელემენტები, დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე ე. წ. ლოკალური და სხვა შინაარსის პრევერბები და სხვ. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა გენეზისის გარკვევის ცდა - ეტიმოლოგია.

ნაშრომს ერთვის აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა, გამოყენებული ლიტერატურა და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მეცნიერებისათვის და აფხაზური ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

რეცენზენტი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ვ. შენგელია

ტექნიკური რედაქტორი – ლ. ვაშაკიძე  
რეზიუმეს ინგლისური თარგმანი – რ. ჯაიანი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა – რ. პაპიაშვილი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## სარჩევი

წინასიტყვა .....	7
გრამატიკული მიმოხილვა.....	39
ლიტერატურა .....	116
Summary.....	122

## აფხაზური ანბანი

აფხაზური ანბანი аҧсуа нбан	ქართული ტრანკრიფცია აკყრუათა ტრანკრიფცია	აფხაზური ანბანი аҧсуа нбан	ქართული ტრან- კრიფცია აკყრუათა ტრანკრიფცია
А а	ა	П п	პ
Б б	ბ	Ҩ ҫ	ფ
В в	ვ	Р р	რ
Г г	გ	С с	ს
Гь гь	გ̣	Т т	ტ
Гә гә	გ°	Тә тә	ტ°
Ҩ ҫ	ღ	Ҧ ҧ	თ
Ҩь Ҩь	ღ̣	Ҧә Ҧә	თ°
Ҩә Ҩә	ღ°	У у	ჟ// უ
Д д	დ	Ф ф	ჟ
Дә дә	დ°	Х х	ხ
Е е	ე	Хь хь	ხ̣
Ж ж	ჟ	Хә хә	ხ°
Жь жь	ჟ̣	Ҩ ҫ	ჰ
Жә жә	ჟ°	Ҩә Ҩә	ჰ°
З з	ზ	Ц ц	ც
З з	ძ	Цә цә	ც°
Зә зә	ძ°	Ц ц	წ
И и	ი // ი°	Цә цә	წ°
К к	კ	Ч ч	ჩ
Кь кь	კ̣	Ч ч	ჭ
Кә кә	კ°	ӄ е	ჩ°
Қ қ	ქ	ӄ е	ჭ°
Қь қь	ქ̣	Ш ш	შ
Қә қә	ქ°	Шь шь	შ̣
К к	ყ	Шә шә	შ°
Кь кь	ყ̣	Ы ы	ღ
Кә кә	ყ°	Ӗ ӗ	ვ
Л л	ლ	Ц ц	ჯ
М м	მ	Ць ць	ჯ̣
Н н	ნ	ь	~
О о	ო	ә	°

## წინასიტყვა

„ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან – სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობააო**, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა 1983: 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში - გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი 1979).

ამ მხრივ საინტერესოა „ენობრივი შუაფენის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისის მის შესახებ.

ჩვენი ნაშრომის მიზანია სახელთა და ზმნურ ფუძეთა მაწარმოებელ ელემენტთა (მორფემათა) ჩამოყალიბების ისტორიის გათვალისწინებით აფხაზური ენის **შიდააზრის** ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოთ აფხაზური ენის **მსოფლმხედვა**.

**შიდააზრის** ცნება უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან **შიდააზრში** აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციუმის წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა გენეზისი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული სიტყვებისაგან მრავალი აფიქსოიდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალწარმოებას.

სინქრონიულ დონეზე აფიქსთა აღწერა და განმარტება თავისთა-

ვად წარმოაჩენს ფონემათა აფიქსებად გამოყენების დიაქრონიულ სურათს.

აფიქსთა წარმომავლობის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად ჩამოყალიბებულ აფიქსოიდთა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა; ეს საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

წიგნში წარმოდგენილი მასალა დალაგებულია ბგერათა ჰომოგენურობის პრინციპით.



## А а

დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანი.

**a-** განსაზღვრულობის პრეფიქსი. აწარმოებს ზოგად სალექსიკონო ფორმას: **a-еш** „ციყვი“.

**a-** ნ.-თა კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის კუთვნილების აფიქსი სახელში: **аѣы а-шьапы** „ცხენის ფეხი“,

**a-** ნ.-თა კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის ნიშანი ზმნაში, „л“-ს რიგისა: **д-а-геит** „მან (ნ.) ის (ად.) წაიყვანა“.

**a-** რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელი: **а-хпѣа** „მესამე“ (ნ.).

**a-** ირ. ობ.-ის თანმხლები ზმნის სამიმართებო პრეფიქსი: **и-л-а-р-хә-оит** „ისინი მას (ქ.) რაღაცას (ნ.) ეუბნებიან“.

**aa-** I პ.-ის მრ. რ. -ის **x-** პრეფიქსის ალომორფი მჟღერი ბგერით დაწყებულ გარდამავალ ზმნათა ძირის წინ: **и-ха-н-оит > и-аа-н-оит** „მას (ნ.) ჩვენ ვხედავთ“.

**-aa** კრებითობის სუფიქსი. აწარმოებს ავხაზური წარმოშობის რამდენიმე გვარს: **Бармыш-аа, Абгац-аа**.

**-aa** ხმოვნებით გადმოიცემა ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში **-ва** დაბოლოებით გვხვდება: **Читанаа < ჭითანავა, Сичинаа < სიჭინავა**.

**-aa** სააქეთო მიმართულების აღმნიშვნელი ელემენტი: **а-ца-ж-аа-ра** „ქვეშ ამოთხრა“.

**аа, ааи, аиен** „პო, დიახ, კი“, დადასტურებითი ნაწილაკები.

## Е е

საშუალო აწეულობის წინა წარმოების ხმოვანი.

ავხაზური წარმოშობის სიტყვაფორმებში **e** ხმოვანი მეორეულია. მიიღება ამგვარად: **аи > еи: дцаит > дцеит** „იგი (ად.) წავიდა“, **иа > еа: иацы > еацы > ецы** „გუშინ“.

**И и**

ზედა აწეულობის წინა წარმოების ხმოვანი.

**ი-** მკ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის კუთვნილების ნიშანი სახელში: **იარა ი-ხы** „მისი (მკ.-ის) თავი“.

**ი-** მკ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის ნიშანი ზმნაში, „ი“-ს რიგისა: **ი-ი-ც-то-ит** „მე მას (მკ.) მას (ნ.) ვაძლევ“.

**ი-** პრეფიქსი მომდინარეობს **იარა** „ის“ (მკ.) ნაცვალსახელისაგან:

**ი-** III პ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი „ი“-ს რიგით: **ი-нхoit** „ისინი ცხოვრობენ“.

**ი-** ნ.-თა კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის ნიშანი „ი“-ს რიგით: **ი-у-с-тоит** „მე მას (ნ.) შენ (მკ.) გაძლევ“.

**ი-** სამიმართებო პრეფიქსი, რომელიც იხმარება „ი“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად ზმნის ინფინიტურ ფორმაში:

ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში სუბიექტის, ორპირიან გარდაუვალ ზმნაში ირიბი ობიექტის, ხოლო გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის ნაცვლად: **ი-коу** „ვინც, რაც არის“, **ი-цо** „ვინც, რაც მიდის“ ...

**ი-** „და“ კავშირის ფუნქციის მქონე ელემენტი: **саре-и уаре-и** „მე და შენ“.

**ი-** არაგონ. კლ.-ის კითხვითობის სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნაკვთის ინფინიტურ ფორმას, მისი დართვით ირკვევა ობიექტის ვინაობა: **и-у-ге-и?** „რა წაიღე?“

**ი-** შედის: **аи > еи // аиц > еиц** საურთიერთო კატეგორიის ნიშნის შემადგენლობაში: **х-аиц-ца-и** „ერთად წავიდეთ“.

**ი-** **аиба > еиба** საურთიერთო - საორმხრივო კატეგორიის ნიშნის შემადგენლობაშია, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს **\*акы-оыба** „ერთი ორი“ რიცხვითსახელური ძირებისაგან: **хара бзиа х-аиба-б-оит** „ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი“. (მაჭავარიანი 1999, მაჭავარიანი 2016).

**ია** „ან“ მაცალკეებელი კავშირია: **иа сара, иа уара** „ან მე, ან შენ“.

**ი-** დადასტურებითი ნაწილაკების შემადგენლობაშია: **аа, ааи, аиеи** „ჰო, დიახ, კი“.

## О о

საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ხმოვანი.

აფხაზური წარმოშობის სიტყვაფორმებში **о** ხმოვანი მეორეულია.

**о-** მონაწილეობს დინამიკურ ზმნათა აწმყო დროის მაწარმოებელ სუფიქსში. მიიღება **-ya-ит > -ye-ит** სუფიქსისაგან, სადაც **-ya** დროისაა, **-ит** კი ფინიტობისა.

თუ ზმნის ფუძე **a-** ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ **-yeит** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით **-oit** სახეობას იძლევა: **с-ца-ya-ит > с-ца-yeит > с-ц-oit** „მივდივარ“, **и-з-ба-ya-ит > и-з-ба-yeит > и-з-б-oit** „ვხედავ“.

## У у

ზედა აწეულობის უკანა წარმოების ხმოვანი.

აფხაზური წარმოშობის სიტყვაფორმებში **у** ხმოვანი მეორეულია. ამავე ნიშნით გადმოიცემა **у (w)** წყვილბაგისმიერი ფონემაც.

**у-** მკ. კლ.-ის II პ.-ის მხ.რ.-ის კუთვნილების პრეფიქსი სახელში: **yapa у-ан** „შენი დედა (მკ.)“, „დედაშენი (მკ.)“.

**у-** მკ. კლ.-ის II პ.-ის მხ.რ.-ის აღმნიშვნელი პრეფიქსი ზმნაში: **и-у-с-то-ит** „მე შენ (მკ.) მას (ნ.) გაძლევ.“

**у-** პრეფიქსი მომდინარეობს **yapa** (შენ, მკ.) ნაცვალსახელისაგან.

**у-** მონაწილეობს დინამიკურ ზმნათა აწმყო დროის მაწარმოებელ სუფიქსში, სადაც **-ya** დროისაა, **-ит** კი ფინიტობისა.

თუ ზმნის ფუძე **a-** ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ **-yeит** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით **-oit** სახეობას იძლევა: **с-ца-ya-ит > с-ца-yeит > с-ц-oit** „მივდივარ“, **и-з-ба-ya-ит > и-з-ба-yeит > и-з-б-oit** „ვხედავ“.

სტატკურ ზმნებს, ისევე, როგორც დინამიკურს, აქვთ დროთა ინფინიტური წარმოება. ფინიტობის **-уп** სუფიქსი აწმყო დროისა, რთული მონაცემია. ინფინიტურ წარმოებაში **-п** ჩამოშორდება და დარჩება მხოლოდ **-у**. მაგ.: **д-ан-коу...** „როცა არის“, **д-ахьы-коу...** „სადაც არის“, **ды-шы-коу** „როგორც არის“.

**ყ-** ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელ **-აყფი** ძირისაგან მომდინარე **-ყა** სუფიქსის შემადგენლობაშია : **აყსყ-ყა** „აფხაზი“, **აკყრტ-ყა** „ქართველი“, **აყყრ-ყა** „მეგრელი“...

## Ы Ы

ნეიტრალური ხმოვანი.

**Ы** ძირითადად თანხმოვანთგამყარი ფუნქციისა. აქვს სიტყვათგანმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია: **აყს** „წესი“, **აყყს** „ჩიტი“ .

## Б б

წყვილბაგისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი.

**ბ** - ქ. კლ.-ის II პ.-ის მხ. რ.-ის კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმანტი სახელში: **ბარა ბ-ან** „შენი (ქ.) დედა“, „დედაშენი“ (ქ.)

**ბ** - ქ. კლ.-ის II პ.-ის მხ. რ.-ის ნიშანი ზმნაში: **ბარა ი-ბ-ა-ჯა-ყეიტ** „შენ (ქ.) გაიგონე ის (ნ.)“.

**ბ** - დაკავშირებულია **ბარა** „შენ“ (ქ.) ნაცვალსახელთან.

**-ბა** კითხვითი ელემენტი, მისი ფონეტიკური ვარიანტია **-ბჟა. ყ-შ-ბა-ყო** > **ყ-შ-ბჟა-ყო** „შენ (მკ.) როგორ ხარ?“

**-ბა** კითხვითი ელემენტი, რომელიც ფორმდება „დ“-ს რიგის პიროვან-კლასოვანი აფიქსებით და გამოხატავს კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსს. **სარ-ბა-ი სარა?** „მე რომელი, ვინ (ვარ)?“

**-ბა** გვარ-სახელთა მაწარმოებელი **ა-ბჟა** „შვილი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ბჟა** სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა. **ადლეი-ბჟა** > **ადლეი-ბა**.

**ბა** ელემენტი არის კითხვით სიტყვაში **იზ-ბა-ი?** „რატომ? რისთვის?“

**ბა** ფორმანტი გაუფორმებლად გამოიყენება ჩაკითხვისას. - **აჟაჟა დააიტ** „კაცი მოვიდა“. - **აჟაჟა ბა?** „კაციო?“

**-ბა** ნივთთა კატეგორიის რაოდენობით რიცხვით სახელებში შემავალი ბოლოკიდური ელემენტი (ორიდან მოყოლებული) **ფყ-ბა** „ორი“, **ხა-ბა** „ხუთი“ და ა. შ.

-**ბა** მონაწილეობს **აიბა** > **ეიბა** საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელ პრეფიქსში: **აიბა-ბარა** – „ურთიერთდანახვა“. რომელიც, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს \***აკყ-ფყბა** „ერთი ორი“ რიცხვითსახელური ძირებისაგან (მაჭავარიანი 1999, მაჭავარიანი 2016): **ჯარა ბზია ჯ-აიბა-ბ-ოიტ** „ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი“.

-**ბა** კითხვითი ნაწილაკის თავკიდური ბგერაა: **ბა: დარბან** „ვინ?“, **იარბან?** „რა?“

-**ბა** დიმინუტივის სუფიქსია, რომელიც სიმცირისავე აღმნიშვნელ -**ც** || > **ვ** სუფიქსს მოსდევს: **ალა-ც-ბა** „ლეკვი“, **არყყ-ვ-ბა** „ჭაბუკი“.

**ბჯა** „შუა, შორის“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულია, **ზყბჯოუ** „შუა აქვთ“.

## ქ ყ

წყვილბაგისმიერი ხშული, ყრუ თანხმოვანი.

**ყ** გვხვდება **ყყ** „წინ“ შინაარსის შემცველ ლოკალურ პრევერბში: **ამფან დყ-ც-ყყ-ლყ** „გზაზე შემომხვდა“. **ყყრა/ყ** „წინ“: **ოჯაშყტა უყ-ი-ყყრ-ყყრ ცაგყამ** „აწ რომ შენ მას გაშორდე (გამოეცალო), ცუდი არაა (ლომთათიძე 1982: 42).

## პ ი

წყვილბაგისმიერი ხშული, ყრუ მკვეთრი თანხმოვანი.

-**პ** სტატიკურ ზმნათა კოპულატური ელემენტი აწმყო დროის ფინიტურ წარმოებაში: **ც-ყ-კ-ოყ** „ვარ“.

-**პ** გარდაუვალ ზმნათა მყოფადი I -ის მაწარმოებელი სუფიქსის შემადგენლობაშია: მყ. I ფ. -**პ: ც-ყა-პ** „წავალ“.

სტატიკურ ზმნას აქვს ფინიტური აწმყო -**ყ** სუფიქსით ნაწარმოები და ფინიტური ნამყო განუსაზღვრელი -**ი** სუფიქსით ნაწარმოები. რთული -**ყ** სუფიქსი დროსა და ფინიტობას ერთდროულად გამოხატავს. -**ყ** დროისაა, -**პ** ფინიტობის მაგ.: **სყ-კ-ოყ** „ვარ“, **ი-ბყი-ოყ** „კარგია“, **ი-ყა-აყ** „ტკბილია“.

## Д д

ენაკბილისმიერი სადა მჟღერი თანხმოვანი.

д- ადამიანის კლ.- ის III კ.-ის მხ. რ.-ის პრეფიქსი ზმნაში „д“-ს რიგით, რომელიც აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს: **д-цойт** „მიდის ის (ად.)“, გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის პირდაპირ ობიექტს: **ды-л-нойт** „იგი (ქ.) მას (ად.) ხედავს“, **д-с-з-аа-и-ти-ит** „მან (მკ.) მე ის (ად.) გამომიგზავნა“.

-д- III კ.- ის მრ. რ.- ის პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტი კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ **р** ფორმანტთან შეხვედრის დროს: **и-ры-р-хә-ейт > и-р-ды-р-хәейт** „ისინი მათ მას ეუბნებიან“.

-да- უქონლობის აღმნიშვნელი სუფიქსი: **ҧы-да** „უცხენოდ“.

-да გონიერთა კლასის კითხვითობის სუფიქსი, რომელიც დართვის ნაკვთის ინფინიტურ ფორმას, მისი დართვით ირკვევა სუბიექტის ვინაობა: **и-ка-да?** „ვინ არის?“

д- „გვერდით სიბრტყეზე, მჭიდროდ“, მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებული: **ашья сы-ды-уп** „სისხლი მადევს“.

## Т т

ენაკბილისმიერი ხშული თანხმოვანი.

-т მრავლობითობის შინაარსის შემცველი ელემენტი ჩვენებით ნაცვალსახელებში: **ар-т // абар-т** „ესენი“, **ан-т // абан-т** „ეგენი, ისინი“.

та - ლოკალური პრევერბი, გამოხატავს რამეში (შიგ) მყოფობას: **ашькол д-то-уп** „სკოლაშია, სკოლაში სწავლობს“.

-та ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსი: **агә-та** „შუა ადგილი, შუაგული“, **агәар-та** „ქართა, საქონლის სადგომი“, **Бзың-та** „ბზიფის ხეობა“.

ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე რთული **-р-та, -с-та, т-ра** სუფიქსები: **аус-у-рта** „სამუშაო ადგილი“, **ацәа-рта** „საწოლი“, **аңхья-рта** „სამკითხველო“.

**тра // рта** ლოკალური მნიშვნელობის ელემენტი, აღნიშნავს შემოზღუდულ სივრცეში მყოფობას. უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან **атра** „ბუდე“ (მნიშვნელობის გაფართოებით) (მაჭავარიანი 2006).

-т მონაწილეობს პირობითი კილოს მაწარმოებელ ერთ-ერთ სუფიქსში:

პირობით კილოს აწარმოებს **-p, -za-p, -z-t-гы** სუფიქსები, აქედან **-p** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-zap** სუფიქსი საყრდენად იყენებს სხვადასხვა ნაკვთის მზა ფორმებს: **д-ца-p** „თუ წავა“, **сы-ка-zap** „თუ ვარ“, **д-аа-и-у-а-zap** „თუ მოვა“, **ды-ка-зтгы** „თუ არის კიდევაც.“

**-т** გვხვდება ნაშრომის, ნაკეთობის აღმნიშვნელ **-мта** სუფიქსში: **ады-мта** „ნაწერი, თხზულება“, **аусу-мта** „ნაშრომი“, **акаца-мта** „ნაკეთობა“ (გვანცელაძე 2003 : 48).

**т** მონაწილეობს **анта** „კვლავ“ შინაარსის გამომხატველ სუფიქსში: **д-анта-ца-х-т** „ის ადამიანი კვლავ წავიდა“.

## Т т

ენაკბილისმიერი მკვეთრი, ხშული თანხმოვანი.

**-т** დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების სხვადასხვა დროის მაწარმოებელ სუფიქსთა შემადგენლობაშია **-онт**:

### დინამიკური ზმნის ფინიტური წარმოება

ნამყო განუს.	<b>сы-м-ца-з-т</b>	„არ წავედი და“
აორისტი	<b>сы-м-це-ит</b>	„არ წავედი“
ნამყო უკვეობითი	<b>сы-м-ца-ц-т</b>	„არ წავსულვარ“
ნამყო წინ. წარს.	<b>сы-м-ца-цы-з-т</b>	„არ ვიყავი წასული“

## Дә дә

ლაბიალური ენაკბილისმიერი მჟღერი თანხმოვანი.

**дә** შედის ლოკალური პრევერბის შემედგენლობაში: **дәыкә** „გარეთ“ < **адәы** „მინდორი“ + **кә** „ზედ“ : **дәыкәлын** „იყო ქვეყნად“.

## Тә тә

ლაბიალური ენაკბილისმიერი ხშული, ყრუ თანხმოვანი.

## Тә тә

ლაზილური ენაკბილისმიერი ხშული, მკვეთრი თანხმოვანი.

**тә** დანიშნულების სუფიქსის შემადგენლობაშია: **сара стәы** „ჩემი კუთვნილი“.

**тә** მონაწილეობს მიზან-პირობითი კილოს ერთ-ერთ სუფიქსში, კერძოდ, პირობითი კილოს **-р** სუფიქსიან ფორმაში, რომელსაც დამატებით დაერთვის გარდაქცევითობის **-ц**, **-тә** ან **-ны** სუფიქსები. ზოგჯერ **р(ра)** ვარიანტის სახითაცაა წარმოდგენილი. მაგ.: **с-ааира-ны** „რათა მოვიდე“, **и-ка-ы-ца-р-ц**, **и-ка-с-цар-тә**, **и-ка-с-ца-ра-ны** „რათა გავაკეთო“.

ამავე კილოს საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე **-ра** სუფიქსიან ფორმაზე დართული **азы** „თვის“ თანდებული: **ды-з-га-ра-зы** „რათა წავიყვანო, მის წასაყვანად“.

**-тә -нтә** თანდებულის შემადგენლობაშია: **Қарты-нтә** „თბილისიდან“.

**-тә** სამოქმედო საგნის ან დანიშნულების სუფიქსია, რომელიც ემთხვევა **а-тә** „საკუთრება“ სიტყვის ძირს: **аусу-тә** „სამუშაო, გასაკეთებელი რამ“, **афа-тә** „საჭმელი“, **антага-тә** „სათარგმნი“.

**-тәи** სუფიქსისა და **а-** პრეფიქსის დართვით რაოდენობით რიცხვით სახელზე მიიღება რიგობითი რიცხვითი სახელი: **а-џба-тәи** „მეორე“, **а-хпә-тәи** „მესამე“ და ა.შ.

## Г г

უკანაენისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი.

**г** შედის მოქმედების იარაღის აღმნიშვნელ **-га** სუფიქსში: **ажы-га** – „ბარი“, **ахыс-га** „სასროლი (იარაღი)“, **арца-га** „სახელმძღვანელო“.

**г** გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მყოფადი I (ინფ.) სუფიქსის შემადგენლობაშია:

**-ра, -лак, -лакь, -лаг (с-ан-ца-лак)** „სადაც წავალ“.

**лак, -лакь, -лаг** ფორმანტათვის ქ. ლომთათიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ისინი შესაძლოა იშლებოდეს ასე: **ла-к, -ла-кь, -ла-г**, სადაც **ла** მიმართულების ან ლოკალური პრევერბი, ხოლო **к, кь, -г, „ც“** ნაწილაკი შეიძლება იყოს. (ლომთათიძე 1944).



**гара/гы** „აკვანთან დაკავშირებული მოქმედების აღმნიშვნელი ლოკალური პრევერბი - „აკვანში წოლა“; **ахчы агара д-гаро-ун** „ბავშვი აკვანში წევს“ (ლომთათიძე 1982: 14).

## Қ қ

უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი.

## К к

უკანაენისმიერი ხშული, მკვეთრი თანხმოვანი.

**-к** განუსაზღვრელობის სუფიქსი: **аҕы** – ცხენი, **ҕы-к** – „რომელი-ღაც ცხენი“. მომდინარეობს **акы** „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან.

**-к** ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი სუფიქსი, რომელიც განუსაზღვრელობასაც გამოხატავს: **ҕы-к** „ერთი ცხენი“, **шәкәы-к** „ერთი წიგნი“, **хах-к** „ერთი ქვა“.

**-к** გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მყოფადი I (ინფ.) სუფიქსის შემადგენლობაშია:

**-ра, -лак, -лакь, -лаг (с-ан-ца-лак)** „სადაც წავალ“.

**кыд** „ზედ, სიბრტყეზე“ შინაარსის შემცველი ფუძე-წინდებული:

**и-кыд-ын** „გულზე ეკიდა“.

**ка** „ძირს“, „სიბრტყეზე“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბი: **абыҕкәа ка-ҕсоит** „ფოთლები ცვივა (ძირს) (ლომთათიძე 1982: 18).

**кыла/гы** – „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შინაარსის შემცველი ლოკალური პრევერბი: **агәыр арахәыц кылы-л-доит** „ნემსს ძაფს უყრის (ლომთათიძე 1982: 20).

**кҕа // гҕа** „კუთხეში, კედელთან“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებული: **ды-кҕа-и** „კედელთან დაასვენეს“.

**Гь гь**

პალატალური უკანაენისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი.

**ГЫ** „ც“ ნაწილაკი: **апап-ГЫ** „ხელიც“.

**-Гь** შედის პირობითი კილოს მაწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსის შემადგენლობაში:

პირობითი კილო იწარმოება **-р, -за-р, -з-т-ГЫ** სუფიქსებით, აქედან **-р** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-зап** სუფიქსი საყრდენად იყენებს სხვადასხვა ნაკვეთის მზა ფორმებს: **д-ца-р** „თუ წავა“, **сы-ка-зап** „თუ ვარ“, **д-аа-и-у-а-зап** „თუ მოვა“, **ды-ка-зт-ГЫ** „თუ არის კიდევაც.“

**-ГЫ** მაერთებელი კავშირია.

ქართული **-ც** ნაწილაკის ფარდი **-ГЫ** კავშირ-ნაწილაკი: **сап-ГЫ, уар-ГЫ, иар-ГЫ** „მეც, შენცა და ისიც“...

**Қь қь**

პალატალური უკანაენისმიერი ხშული, ყრუ ფშვინვიერი თანხმოვანი.

**Кь кь**

პალატალური უკანაენისმიერი ხშული, ყრუ მკვეთრი თანხმოვანი.

**кь** გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მყოფადი I (ინფ.) სუფიქსის შემადგენლობაშია: **-ра, -лак, -лакь, -лаг (с-ан-ца-лак)** „სადაც წავალ“.

**Гә гә**

ლაბიალური უკანაენისმიერი მჟღერი თანხმოვანი.

**гә** გვხვდება ლოკალური პრევერბებში:

**ГӘЫЛА** ლოკალური პრევერბი, მომდინარეობს **аҒЫ** „გული“ ლექსემისაგან. **а-хҒа-ГӘЫл-оу?** „შიგ ჩაგდებული სადაა?“

**მგაა** „შიგ, შუაში, შუაგულში“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულის. მომდინარეობს **ამგაა** „მუცელი“ ლექსემისაგან. **ი-ა-ამგაა-ვ** „შიგ ჩაყრილი იყო“.

**გაარ<sup>ა</sup>** „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებული ლოკალური პრევერბი: **აკытакэа рахь дын-гэар-леит** „სოფლებში შევიდა“ (ლომთათიძე 1982: 13).

**гэыд<sup>ы</sup>** „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, „სიბრტყეზე“, „ზედ“ შინაარსის შემცველი ფუძე-წინდებულის: **ан лхэчы ды-л-гэыд-лырнэаа-леит** „დედამ ბავშვი გულში მაგრად ჩაიკრა“ (ლომთათიძე 1982: 41).

**გაаша** „საწყალი“ ნაწილაკი დანაწესებას გადმოსცემს დამოუკიდებლად ხმარებული ან ზმნის ფორმაში ჩართული: **ды-нэс-гэашье-ит** „მოკვდა საწყალი“. მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა უნდა იყოს ასეთი: **გაა+ шаа**, რომელშიც სიტყვის პირველი ნაწილი „გული“ ლექსემაა, მეორე კი უნდა იყოს **-шаа** დანიშნულების ელემენტი, რომელიც თვისებას გამოხატავს და რომლის ამოსავლადაც ჩვენ „ფეხი“ ლექსემა მიგვაჩნია (მაჭავარიანი 2018).

## Қа қа

ლაბიალური უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი.

**қа** შედის ნივთთა კატეგორიის სახელთა მრ.რ.-ის **-қаа** სუფიქსის შემადგენლობაში: **ае-қаа** „ცხენები“.

**-қаа** გარკვეულ შემთხვევებში ზმნაშიც გამოიყენება:

**-қаа** სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას (ჯანაშია 1964).

**қыы** ლოკალური პრევერბი, გამოხატავს „ზედ“ მყოფობას: **акәлара** „ასვლა რაღაცაზე“.

**Кә кә**

ლაბიალური უკანანისმიერი ხშული თანხმოვანი.

**кә(ы)** – „გარშემო, ირგვლივ“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბი: **агәара а-кәы-ршеит** „ღობე შემოავლეს“ (ლომთათიძე 1982: 45).

**кә** შედის **акә-заа-ра** „ყოფნა“ ზმნის შემადგენლობაში. აღწერი-  
თად აწარმოებს გარდამავალ ზმნათა კატეგორიული მყოფადის კი-  
ლოს. (უძველესი ზმნაა).

კატეგორიული	<b>-р ауп</b>	<b>(и-ка-с-цар ауп)</b>
მყოფ.	<b>-р акәын</b>	<b>(и-ка-с-цар акәын)</b>

**-кәа** სუფიქსიანი წარმოება გვხვდება მხოლოდ უარყოფითი ფორმის აბსოლუტივში: **апәа и-м-ф-а-кәа и-к-а-и-жь-ит** „ვაშლი შეუჭმელად გადააგდო“.

**кә** მაპირისპირებელი კავშირის შემადგენლობაშია: **акәымзар || мамзар || макәымзар** „თორემ“.

**К к**

ფარინგალური ხშული თანხმოვანი.

**к акны** „თან“ თანდებულის შემადგენლობაშია.

**-ка** „-კენ; -ში“ თანდებული: **аоны-ка** „სახლში, შინ, შინისაკენ“, **-кны || кын** „-თან“ თანდებული: **сара с-кны** „ჩემთან“,

**шка** „-კენ“ თანდებული: **аклуб ашка** „კლუბისაკენ“.

**-ка** ფორმანტი აწარმოებს მიახლოებით რიცხვით სახელს. მიიღე-  
ბა რაოდენობით რიცხვით სახელზე **акара** „ტოლი, ოდენი“ სიტყვისა-  
გან მომდინარე **-ка** სუფიქსის დართვით: **аба-ка** „ორიოდე რამ“,  
**аыца-ка** „ორიოდე ვინმე“.

## Кә кә

ლაბიალური ფარინგალური ხშული თანხმოვანი.

**кәны** „ზედ, წელზე“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებული, **и-кән-уп** „წელს არტყია“.

**кәа-//кә`ы`** „მჭიდროდ მიკრული“ შინაარსის შემცველი ლოკალური პრევერბი (ოდენ უკუქცევითი მიმართულებისა): **уы-с-кәа-и** „დამეხსენ, თავი დამანებე!“ (ლომთათიმე 1982: 34).

## Кь кь

პალატალური ფარინგალური ხშული თანხმოვანი.

## З з

სისინა აფრიკატი.

**з** შედის ინტენსივობის **за** ელემენტის შემადგენლობაში: **сара асы бзиа и-з-ба-зо-м** „მე (სულ) არ მიყვარს თოვლი.“

**з** გვხვდება **-нза** „-მდე“ თანდებულში: **акыта-нза** „სოფლამდე“.

**заа** „წყალთან“, „სითხესთან“ დაკავშირებული ლოკალური პრევერბია: **амра и-заа-лон еиңш** „მზე წყალში (ზღვაში) რომ ეშვებოდა იმ დროს“ (ლომთათიმე 1982: 15).

## Ц ц

სისინა აფრიკატი.

**-ц** სუფიქსი ერთეულის, ცალის აღმნიშვნელია: **ахапы-ц** „ცალი კბილი“, **аньы-ц** „ცალი ფოთოლი“, **ашхы-ц** „ერთი ფუტკარი“.

**-ц** „თან, ერთად“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებული მომდინარეობს **-иц** „ერთი“ შინაარსის შემცველი აფიქსოიდისაგან შდრ.; ქართ. **ცალი**: **арахә х-ры-цы-и** „საქონელს ვახლდით“.

**-иц** შედის სათანაო შინაარსის გამომხატველ **аиц-** პრეფიქსის შემადგენლობაში: **х-аиц-иа-и** „ერთად წავიდეთ“.

**-ц** მიზან-პირობითი კილოს მაწარმოებელ **-р** სუფიქსიან ფორმას დაერთვის, რომელსაც ასევე დამატებით დაერთვის გარდაქცევითობის **-ц, -тә** ან **-ны** სუფიქსები. ზოგჯერ **р (ра)** ვარიანტის სახითაცაა წარმოდგენილი. მაგ.: **с-ааира-ны** „რათა მოვიდე“, **и-ка-ы-ца-р-ц, и-ка-с-цар-тә, и-ка-с-ца-р-аны** „რათა გავაკეთო“.

ამავე კილოს საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე **-ра** სუფიქსიან ფორმაზე დართული **азы** „თვის“ თანდებული: **ды-з-га-ра-зы** „რათა წავიყვანო, მის წასაყვანად“.

**-цра** ფუძე-წინდებულია, „თან მოკიდებით“ მნიშვნელობისა, **амца и-цр-оуп** „ცეცხლი უკიდია, სიცხე აქვს“.

## Цц

სისინა აფრიკატი.

**ц** შედის ლოკალური პრევერბის **ца**-ს შემადგენლობაში, გამოხატავს „ქვეშ“ მყოფობას: **а-ц-оуп** „ქვეშ აქვს“.

**ц** – ძირ-სუფიქსია დინამიკურ გარდაუვალ ზმნებში: **с-та-ц-ит** „რალაციდან გამოვედი“,

**ца** ძირ-სუფიქსია დინამიკურ გარდამავალ ზმნებში: **и-та-с-ц-еит** „რალაცაში ჩავდე“.

## ჰა ჰა

ლაბიალური სისინა აფრიკატი.

**ჰა** გვხვდება **азәы** „ერთი ვინმე“ (ადამ.) რაოდენობით რიცხვითი სახელში.

## Цә цә

ლაბიალური სისინა აფრიკატი.

**цә** გონიერთა კლ.-ის მრ.რ.-ის **-цаа** სუფიქსის შემადგენლობაშია: **аҗҕаң-цаа** „გოგობი“.

**цә** ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის პრეფიქსია: **и-л-цәы-з-го-ит** „მე ის (ნ.) მისგან (ქ.) მომაქვს (ვართმევ)“.

**აა** ვითარებითი ზედსართავი სახელის ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელი აფიქსია: **ა-ააы-капшы** „მოწითალო“.

**აა** უნდა მომდინარეობდეს აფხ. **ааа** „ტყავი“ სიტყვისაგან ამოსავალი წამოსახვითი „ჩამოტყავება/ჩამოცილების“ მნიშვნელობით.

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)**აა**-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის **აა**- პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის **-ააа** სუფიქსი ავხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ **ააа** აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“ (მაჭავარიანი 2015 (3)).

**Ца па**

ლაბიალური სისინა აფრიკატი.

**Ць пы**

შიშინა აფრიკატი (რბილი).

**пы** გვხვდება **пыща** „ორი ვინმე“ (აღამ.) რაოდენობით რიცხვით სახელში.

**Ч ч**

შიშინა აფრიკატი.

**Ч ч**

შიშინა აფრიკატი.

**Ц а**

გემინირებული შიშინა აფრიკატი.

**ე ე**

გემინირებული შიშინა აფრიკატი.

-ე პრეფიქსი უკუქცევითობის კატეგორიის (სათავისო ქცევის) მაწარმოებელია, გამოხატავს საკუთარ თავზე ჩადენილ მოქმედებას:  
**с-еы-с-кѣаб-ент** „მე (ჩემი თავი) დავიბანე / ვიბანავე“.

**ехын (ехны)** „ცხენზე, თან“ შინაარსის შემცველი ფუძეწინდებულია: **уаан абрахь у-сы-ехны-л!** „მოდი აქეთ, ცხენზე შემომიჯექ!“ (ლომთათიძე 1982: 56).

**ехѧ** „ცეცხლის პირას, კერასთან“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბია: **акѧдал ехѧхѧ-гылоуп** „ქოთანი კერასთან, ცეცხლის პირას დგას“ (ლომთათიძე 1982: 19).

**еыжѧ** „ცხენზე“ ჯდომასთან დაკავშირებული ფუძეწინდებულია: **сымацара с-еыжѧ-уп** „მე მარტო ვზივარ ცხენზე“ (ლომთათიძე 1982: 14).

**ე ე**

გემინირებული შიშინა აფრიკატი.

ე შედის **ѧа** „შიგ, ზედ“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბის შემადგენლობაში, მომდინარეობს **аѧы** „პირი“ სიტყვისაგან, **и-а-ѧоуп** „ზედ აბია“.

ე გვხვდება თანდებულში – **аѧы- : акыѧа-ѧ** „სოფელში“.

**кѧа // гѧа** „კუთხეში, კედელთან“ შინაარსის შემცველი ფუძეწინდებულია: **д-ы-кѧан** „კედელთან დაასვენეს“.

**В в**

კბილბაგისმიერი მჟღერი სპირანტი.

**в ва** ლოკალური პრევერბის შემადგენლობაშია, რომელიც მომდინარეობს **авара** „გვერდი“ ლექსემისგან, გამოხატავს „გვერდზე მყოფობას“: **д-ры-воуп** „ის (ად.) მათ გვერდითაა“.



**Ф ф**

კბილბაგისმიერი სპირანტი.

**З з**

წინაენისმიერი სადა სისინა სპირანტი.

**з -(з')** (ბზიფ.) სასხვისო (სასარგებლო) ქცევის ნიშანი ზმნაში: **и-с-з-аа-и-ге-ит** „მე ის (ნ.) მოსთვის (მკ.) მიმაქვს“.

**з-** სამიმართებო პრეფიქსი, რომელიც ენაცვლება „и“-ს რიგის პირკლასის პრეფიქსებს ორპირიანი გარდაუვალი ზმნისა და ყველა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, აგრეთვე გარდამავალ ზმნათა ირიბი ობიექტის ნიშნებს ინფინიტურ ფორმაში: (ორპ. გარდამ. ზმ.) **сара сы-з-шо** „ვინც, რაც მე მხედავს, ჩემი დამნახავი“, (ორპ. გარდაუვ. ზმ.) **сара сы-з-моу** „ვისაც, რასაც მე ვყავარ“.

**з-** პოტენციალისის კატეგორიის მაწარმოებელი პრეფიქსი ზმნაში: **и - сы -з-у-то-м** „მე შენ მას (ნ.) ვერ გაძლევ“.

**з-** I პ.-ის მხ. რ.-ის **с-** პრეფიქსის გამჟღერებული ნაირსახეობა გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში, კერძოდ, გარდამავალ ზმნაში მჟღერი თანხმოვნების, ასევე სონანტთა წინა პოზიციაში: **и-з-шо-ит < и-с-шо-ит** „ვხედავ მე მას“.

**з-** **а-зы** „თვის“ თანდებულის შემადგენლობაშია: **с-гъыла и-зы** „ჩემი მეზობლისათვის“.

**за-** „ერთი“ რიცხვითი სახელის მნიშვნელობის შემცველი ელემენტი: **жа-еи-за** „თერთმეტი“.

**з** სუფიქსი გვხვდება ინფინიტურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: **с-ан-ца-з** „როცა წავედი“, ნამყო წინარე წარსულში: **с-ан-ца-хь-а-з** „როცა უკვე წასული ვიყავი“, **и-сы-м-ба-цы-з** „ვინც ჯერ კიდევ არ მენახა“

-**заа-п** თურმეობით პირველში,

-**заа-рын** თურმეობით მეორეში,

-**заа** დიურატიულობის, განგრძობითობის სუფიქსი მასდარში: **а-ка-заа-ра** „ყოფნა“.

მონაწილეობს ნამყო. უსრ.-ის ფ. **-уа-н > он (сцон)**,

ინფ. **-уаз (с-ан-ц-о-з)** „როცა მივდიოდი“ -სუფიქსში.

ასევე:

ნამყ. წინარ.	ფ.	-ხა-н	(с-ца-хъан)
წარს.-ის			
	ინფ.	-хъа-з	(с-ан-ца-хъаз)
	ინფ.	-цы-з	(с-ан-ца-цыз)
თურმ. I	ფ.	-заа-н	(сы-ка-заа-н)
თურმ. II	ფ.	-заа-ры-н	(сы-ка-заа-ры-н)

-з სუფიქსი აწარმოებს სტატიკური ზმნის ბრძანებითს: **у-ка-з!** „იყავი!“ **у-тѣа-з!** „იჯექი!“

-з გვხვდება ასევე კონიუქტივის, დაშვებითი კილოს მაწარმოებელ სუფიქსშიც, რომელიც ეწარმოება ორსავე რიცხვსა და სამსავე პირს. მაწარმოებელია **-ააит** (დინამიკურ ზმნებში) და **-з-ააит** (სტატიკურ ზმნებში) თუ ფუძე **а**-თი მთავრდება მოსალოდნელი სამი **а**-ს ნაცვლად ორი **а** იქნება წარმოდგენილი: \***д-ца-ааит** > **д-цааит** „დაე, წავიდეს!“ თუ ფუძე ორი **а**-თი მთავრდება, მოსალოდნელი ოთხიდან ორი **а** იქნება წარმოდგენილი: \***и-еи-лыкаа-ит** > **и-еи-лыкаа-ит** „დე, მან ის გაიგოს!“

ამგვარი რამ არ ხდება სტატიკურ ზმნებში **-зааит** სუფიქსის დართვისას: **д-гыла-зааит** „დაე, იდგეს!“ **и-баа-зааит!** „დაე, დალპეს“.

ასევე პირობით კილოშიც: იწარმოება **-р, -за-р, -з-т-гыи** სუფიქსებით, აქედან **-р** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-зар** სუფიქსი საყრდენად იყენებს სხვადასხვა ნაკვთის მზა ფორმებს: **д-ца-р** „თუ წავა“, **сы-ка-зар** „თუ ვარ“, **д-аа-и-у-а-зар** „თუ მოვა“, **ды-ка-з-тгы** „თუ არის კიდევაც.“

კავშირებით კილოში, რომელსაც აქვს ორი ფორმა: **კავშირებითი I** იყენებს **-ра** სუფიქსიან მყოფადი I-ის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსის **а** ხმოვანი და დაერთვის **-н** სუფიქსი (**ფინიტიური წარმოება**) ანდა **-з** სუფიქსი (**ინფინიტიური წარმოებაში**) **с-ца-ры-н** „წავიდოდი“, **с-ан-ца-ры-з** „როცა წავიდოდი“, **и-ка-с-ца-ры-з** „რასაც გავაკეთებდი“. **კავშირებითი II** ემყარება **-ша** სუფიქსიან II მყოფადის ფორმას და დაერთავს იმავე **-н** სუფიქსს (**ფინიტიურ წარმოებაში**) ანდა **-з** სუფიქსს (**ინფინიტიურ წარმოებაში**): **с-ца-ша-н** „წავიდოდი“, **с-ан-ца-ша-з** „როცა წავიდოდი“, **и-ка-с-ца-ша-н** „გავაკეთებდი“, **и-ка-с-ца-ша-з** „რასაც გავაკეთებდი“.

## С с

წინანუნისმიერი სადა სისინა სპირანტი.

**с**- I პ.-ის მხ. რ.-ის კუთვნილების ნიშანი სახელში: **с-ан** „ჩემი დედა“, „დედაჩემი“.

**с**- I პ.-ის მხ. რ.-ის ნიშანი ზმნაში: **с-цойт** „მივდივარ“, **сы-нх-ойт** „ვცხოვრობ“.

**с**- უკავშირდება **сара** „მე“ ნაცვალსახელს:

**-с** გარდაქცევითობის აღმნიშვნელი სუფიქსი: **хаца-с** „კაცად“...

**-с** ნაშეერთა და სიმცირის (დიმინუტივის) აღმნიშვნელი სუფიქსი: **апыс** „ჩიტი“, **асы-с** „ბატკანი“, **азы-с** „თიკანი“, **ахы-с** „ხბო“.

## Жь жь

წინანუნისმიერი შიშინა რბილი სპირანტი.

**-жь** ვაზის აღმნიშვნელი აფიქსიდი, რომელიც **ажь** „ყურძენი“ სიტყვას უკავშირდება, **ахыхы-жь** „მტრედყურძენა“, **азны-жь** „ზამთრის ყურძენი“, **азы-жь** „წყალყურძენი“ (გვანცელაძე 2003 : 48).

## Шь шь

წინანუნისმიერი შიშინა თანხმოვანი.

**шь** გვხვდება **шьа** ლოკალურ პრევერბში, მიმდინარეობს სიტყვისაგან - „ფეხი“: **и-шьо-уп** „ფეხთ აცვია“.

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება **-шьа** სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

**аказшьа** „თვისება, ხასიათი“, (**аказаара** „ყოფნა“), **азса-шьа** „ცურვის ხერხი“ (**азсара** „ცურვა“), **апхья-шьа** „კითხვის ჩვევა“ (**апхьяара** „კითხვა“), **ауафы-шьа** „ადამიანობა“ (**ауафы** „ადამიანი“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს **ашьяпы** „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი. (მაჭავარიანი 2018)

-ი(шь) სუფიქსი ხშირად დაერთვის ბრძანებითის ფორმას კატეგორიულობის, მოთხოვნის აღმნიშვნელია: **у-це-(шь)!** „აბა, წადი!“ **у-гыл-и(шь)!** „აბა, ერთი ადექი!“, **и-ка-це-и(шь)!** „აბა, გააკეთე!“

**шь** გვხვდება **шьта** „ძირს, კვალზე“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულში, რომელიც მომდინარეობს სიტყვისაგან **ашьта** „კვალი“, რომელშიც **ашь** „ფეხი“ სიტყვის ნაშთია, **та** კი ადგილის აღმნიშვნელი ლოკალური პრევერბი, ანუ ფუძე-წინდებული: **а-шьто-уп** „სდევს, კვალში უდგას“ (ლომთათიძე 1944).

## Жә жә

წინაენისმიერი შიშინა ლაბიალური სპირანტი.

**жә** II კ.-ის მრ. რ.-ის **шә-** პრეფიქსის ალომორფი მჟღერი ბგერით დაწყებულ გარდამავალ ზმნათა ძირის წინ: **\*шә-н-еит > жә-н-еит** „თქვენ დაინახეთ“.

კნინობით-ალერსობითი სახელების **-жә** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება **ажә** „ბებერი, ძველი“ სიტყვის ფუძეს: **атакәа-жә** „დედაბერი“, **алыга-жә** „ბერიკაცი“, **агаза-жә** „ბრიყვი, სულელი“ (გვანცელაძე 2003 : 46)

**жә** „ზედ (გდებით, ცემით)“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინ - დებული: **ар ры-жә-леит** „ჯარმა მათზე იერიში მიიტანა“ (ლომთათიძე 1982:55).

## Шә шә

წინანუნისმიერი შიშინა ლაბიალური სპირანტი.

**шә** II კ.-ის მრ. რ.-ის კუთვნილების პრეფიქსი სახელში: **шә-пәа-цәа** „თქვენი შვილები“.

**шә** II კ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი ზმნაში: **шә-ааи!** „მოდი!“

**шә** მომდინარეობს **шәара** „თქვენ“ ნაცვალსახელისგან:

**-шәа** ნაწილაკი აწარმოებს მოჩვენებითობის კილოს: **и-з-шо-шәа** „თითქოს ვხედავ“, **д-ца-з-шәа** „თითქოს წავიდა“, **сы-коу-шәа** „თითქოს ვარ“.

**шә** „ზედ, ტანზე“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებული: **и-шә-уп** „ტანთ აცვია“.

## Ж ж

წინაენისმიერი შიშინა მაგარი სპირანტი.

## Ш ш

წინაენისმიერი შიშინა გემინირებული სპირანტი.

**ш** შედის ზმნის საგარემოებო ელემენტის შემადგენლობაში: **а-ш** „როგორც“: **и-ш-ы-к-оу** „როგორც არის“.

**ш** აწარმოებს **მყოფად** II-ს, ახასიათებს მომავლის უფრო განუსაზღვრელი შინაარსი. ფინიტურ ფორმას აწარმოებს რთული **-ш-т < -ша-ит**, რომელშიც **-ша > -ш** მომავალი დროის აღმნიშვნელია, ხოლო **-ит > т** ფინიტობისა. ამ რთული სუფიქსის დართვისას ფონეტიკური ცვლილებანი არ ხდება: **с-ца-шт** „წავალ“, **еи-лы-с-каа-шт** „გავიგებ“.

**-ша** სუფიქსის დართვით ზმნის ფუძეზე მიიღება ოდენ მომავალი დროის აღმნიშვნელი ინფინიტური ფორმა **მყოფ. II-ისა**. ფონეტიკური პროცესები არ ხდება: **с-ан-ца-ша** „როცა უნდა წავიდე“, **и-еи-лы-с-каа-ша** „რაც უნდა გავიგო“.

მყ. II	ფ.	<b>-ша-ит &gt; -ш-т</b>	<b>(с-ца-шт)</b>
	ინფ.	<b>-ша</b>	<b>(с-ан-ца-ша)</b>

**ш** გვხვდება თანდებულში: **шка** „-კენ“: **аклуб ашка** „კლუბისაკენ“.

## Ъ ъ

უკანაენისმიერი სადა სპირანტი, მჟღერი თანხმოვანი.

**ъ** შედის ლოკალურ პრევერბ **ъра**-ს შემადგენლობაში, „შიგ“ მნიშვნელობით: **игъы и-ъра-з** „მას გულში რაც ჰქონდა“.

**ъ** ლოკალური პრევერბის შემადგენლობაშია: **мъа-** „წელთან დაკავშირებით“ < **аѣа** „ზურგი“: **и-мъра-з** „რაც წელზე შემოეხვია“.

**X x**

უკანაენისმიერი სპირანტი.

**x** შედის **xa** ლოკალური პრევერბის შემადგენლობაში, მომდინარეობს **ახы** „თავი“ სიტყვისაგან; **и-хо-уп** „ზედ აბია“.

**-x** მადინამიკურებელი სუფიქსია: **д-хаца-х-еит** „მე იგი (ად.) კაცად ვაქციე“.

**x-** ძირ-სუფიქსია გარდამავალ, დინამიკურ ზმნებში: **и-та-с-х-ит** „რადაციდან ამოვიღე“.

**-x** სუფიქსით ნაწარმოებია მიმღეობები: **а-ча-х** „კვებული“ (**а-ча-ра** „პურობა“), **а-шәа-ра-х** „ნადირი“ (**а-шәа-ра** „ნადირობა“).

**-ха** სუფიქსის გამოყენება აფხაზურსა და აზაზურში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა.

**ауфы** „ადამიანი“, **ды-уаф-х-оит** < **ды-уаф-ха-уеит** „ადამიანდება“, **ахаца** „კაცი“, **ды-хаца-хе-ит** „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი (**-ха**) „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრივია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება. შდრ.: **а-ха-тәи** „თავისი პირადი“. აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **а-хата** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით: **с-хата** „მე თვითონ“, **у-хата** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ. (მაჭავარიანი 2015 (2)).

**x-** ფამილარული მიმართვის **-хеит** სუფიქსის შემადგენლობაშია, რომელიც მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის: **Адгур-хеит** „ჩემო ადგურ“ (გვანცელაძე 2003 : 46).

**x-** მონაწილეობს **аха** „მაგრამ“ მაპირისპირებელ კავშირში.

**x-** სუფიქსი გამოიყენება „კვლავ“ შინაარსის გამოსახატავად: **-азы акы-х-т** „მან (არაგონ.) წყალი კვლავ დაიჭირა“.

**ჩჲ ჳჲ**

უკანაენისმიერი ლაბიალური სპირანტი, მჟღერი თანხმოვანი.

### Хә хә

უკანაენისმიერი ლაბიალური სპირანტი.

**хә** გვხვდება ლოკალურ პრევერბში **хәла-** „შიგ, ყელში“ მნიშვნელობით, მიღებულია სიტყვისაგან - **ахәда** „კისერი“, **зы-хәла-м** „ყელში არა აქვს“.

### Җь җь

უკანაენისმიერი პალატალური სპირანტი.

-**җь** ნახევარსუფიქსი მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელია: **арба-җь** „მამალი“, **акәта-җь** „კვერცხი“ . (გვანცელაძე 2003 : 48).

### Хь хь

უკანაენისმიერი პალატალური სპირანტი.

**хь** ზმნის საგარემოებო ელემენტის შემადგენლობაშია: **ахь** „სადაც“: **с-ахь-цо** „სადაც მივდივარ“.

გვხვდება შემდეგ ნაკვთთა წარმოებაში:

ნამყ. უკვ.	ფ.	<b>-хьа-ит &gt; -хье-ит</b>	<b>(с-ца-хье-ит)</b>
	ინფ.	<b>-хьау- &gt; -хьоу</b>	<b>(с-ан-цахь-оу)</b>
	ინფ.	<b>-ц</b>	<b>(с-ан-ца-ц)</b>
ნამყ. წინარ. წარს.	ფ.	<b>-хьа-н</b>	<b>(с-ца-хьа-н)</b>
	ინფ.	<b>-хьа-з</b>	<b>(с-ан-ца-хьа-з)</b>

**-хьа** სუფიქსით ნაწარმოები მიმღებობია: **а-җа-та-хьа** „აღთქმა“ (**а-җы** „პირი“, **а-та-ра** „მიცემა“) **а-хәа-хьа** „ნათქვამი“ (**а-хәара** „თქმა“).

**-ахь-** „კენ, -ში“ თანდებულია: (**ашкол ахь** „სკოლისაკენ“) –

**-хь** სნეულების აღმნიშვნელი აფიქსოიდია, რომელიც **ахьаа** „ტკივილი“ სიტყვის ძირს უკავშირდება: **ахы-хь** „თავის ტკივილი, შაკიკი“, **агәы-хь** „გულის ტკივილი“(გვანცელაძე 2003 : 48).

**ხьын-** „ზედ“, „მიქცევით“ შინაარსის შემცველი ლოკალური პრევერბია: **зыгыгь а-а-хьын-ирхалт** „ყველაფერს ებლაუჭება“ (ლომთათიძე 1982: 45).

## Х х

ლარინგალური სპირანტი.

**х** I კ.-ის მრ. რ.-ის კუთვნილების ნიშანი სახელში: **хара х-бахча** „ჩვენი ბაღი“.

**х** I კ.-ის მრ. რ.-ის პრეფიქსი ზმნაში.

**х** მომდინარეობს **хара** „ჩვენ“ ნაცვალსახელისაგან: **хара Акэака х-цо-ит** „ჩვენ მივდივართ სოხუმში.“

## Хә хә

ლარინგალური ლაბიალური სპირანტი.

**-хәа** სუფიქს-ნაწილაკი, სხვათა სიტყვის ნაწილაკია, **а-хәа-ра** „თქმა“ ზმნის ძირისაგან მომდინარე, რომელიც უდრის ქართულის **-მეტეი**, **-თქო**, **-ო** ნაწილაკებს: **сар-гыгь с-цо-ит-хәа у-хәе-ит** „მეც წავალ-მეტეი, გითხარი“, **сар-гыгь с-цо-ит-хәа сы-з-и-ахә** „გადაეცი (ჩემთვის უთხარი) მას, მეც წავალ-თქო“, **сар-гыгь с-цо-ит-хәа с-еи-хәе-ит** „მეც წავალ, მითხრა მან“.

## Ө ө

ლარინგალური სპირანტი.

**ө** გვხვდება **өна < аоны** „სახლი“ სიტყვისაგან მომდინარე ლოკალურ პრევერბში, აღნიშნავს შინ მყოფობას: **д-өна-н** „შიგ (სახლშია)“.



**М м**

სონორი ბგერა.

**м-** უარყოფითობის აღმნიშვნელი ელემენტი ზმნაში, იგი ზოგ შემთხვევაში პრეფიქსია, ზოგ შემთხვევაში - სუფიქსი.

**м-** პრეფიქსია: დინამიკურ ზმნათა ფინიტურ წარმოებაში: ნამყო განუსაზღვრელში: **сы-м-ца-з-т** „არ წავედი და“ , აორისტში: **сы-м-це-ит** „არ წავედი“, ნამყო უკვეობითში: **сы-м-ца-ц-т** „არ წავსულვარ“, ნამყო წინარე წარსულში: **сы-м-ца-цы-з-т** „არ ვიყავი წასული“... და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმაში.

**м-** სუფიქსია: სტატიკურ ზმნებში: **сы-ка-м** „არ ვარ“, დინამიკური ზმნის ფინიტური წარმოების აწმყო დროში: **с-цо-м** „არ მივდივარ“, მყოფად პირველსა: **с-ца-ры-м** „არ წავალ“ და მყოფად მეორეში: **с-ца-ша-м** „არ წავალ“, ნამყო უსრულში: **сы-ка-мы-з-т** „არ ვყოფილვარ“.

თავისებურია უარყოფითი ბრძანებითის წარმოება, რომელშიც დინამიკური ზმნის ძირის წინ დგას უარყოფის პრეფიქსი, ხოლო ზმნის ძირის შემდეგ **-н** სუფიქსი, რომელიც მიღებულია უარყოფის **м-** ნაწილაკისაგან დისტანციური დისიმილაციით: **и-у-м-га-м > и-у-м-га-н!** „არ წაიღო!“

**у-м-ца-м > у-м-ца-н!** „არ წახვიდე!“

**м-** შედის კითხვითი **-ма** ელემენტის შემადგენლობაში: **иара аматъсыз и-бо-ма?** „მან გველთევზა ნახა?“

**мап, мамоу, мамо** „არა“, „ვერა“ უარყოფითი ნაწილაკებია.

**м-** ასევე გვხვდება:

**амаха** უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელ პრეფიქსში. იგი დაკავშირებულია ხელის აღმნიშვნელ **анапы / амапы** სიტყვასთან.

**амцан** „ძირას“ თანდებულში: **апѣацла амцан** „ვაშლის ხის ძირას, ქვეშ“.

**ма** „ან“ მაცალკეებელ კავშირში: **ма ацѣа, ма аха** „ან ვაშლი, ან მსხალი“.

**амала** „ოღონდ“, მაპირისპირებელ კავშირში: **акѣымзар || мамзар || макѣымзар** „თორემ“.

**мца** „წინ და ქვეშ, ქვევით“ ფუძე - წინდებულში: **и-мца-з** „წინ რომ ედო“.

**мгѣа** „შიგ, შუაში, შუაგულში“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულში, რომელიც მომდინარეობს **амгѣа** „მუცელი“ ლექსემისაგან: **и-а-амгѣа-з** „შიგ ჩაყრილი იყო“.

**მჟა-** „წელთან დაკავშირებულ“ ფუძე-წინდებულში, რომელიც მომდინარეობს სიტყვისაგან - **აბჟა** „ზურგი“: **ი-მჟა-3 ანპახუშაღა** „არდაგითა მით, რომელი მოერტყა“...

**მა/ყ** „ხედ (ქონება)“ შინაარსის შემცველ ლოკალურ პრევერბში: **აშა ამაა ა-მ-ფერიტ** „კარს სახელური მოსძვრა“ (ლომთათიძე 1982: 46).

**მჟახა (ჟახა)** „ხელში“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულში: **ამშა უ-ა-მჟახა-მ-შააიტ** „დათვს ნუ ჩაუვარდები (ხელში)“ (ლომთათიძე 1982: 51).

**მკაჟა ყ** // **მწყა ყ** – „ხელში“ შინაარსის შემცველ ლოკალურ პრევერბში, შედგება „ხელ“ სიტყვის ფუძისა და **პა-** წინდებულისაგან: **ატაღა რა-მკაჟა-რხალარც** „მათ ხელში რომ არ ჩაიგდონ ქვეყანა“ (ლომთათიძე 1982: 49).

## ნ ნ

სონორი ბგერა.

**ნა-** ნ. კლ.-ის III კ.-ის მხ. რ.-ის სუბიექტის ნიშანი გარდამავალ განკვეთილ ზმნაში, „ღ“-ს რიგისა: **აჟმა ი-კა-ნა-ჟეიტ** „თხამ ის (ნ.) გააკეთა“..

**-ნ** სუფიქსი გამოიყენება შემდეგ ნაკვთთა ფორმებში: სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: **სა-კა-ნ** „ვიყავი“, დინამიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: **ს-ნა-ნ** „წავედი“, დინამიკურ ზმნათა ნამყო წინარე წარსულში: **ს-ნა-ხა-ნ** უკვე წასული ვიყავი“, დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა მეორე თურმეობითში: **ს-ნა-ზაა-რა-ნ** „წავიდოდი“, დინამიკურ ზმნათა პირველ კავშირებითში: **ს-ნა-რა-ნ** „წავიდოდი“, დინამიკურ ზმნათა მეორე კავშირებითში: **ს-ნა-შ-ან** „წავიდოდი“.

**-ნ** ლოკალური მნიშვნელობის ელემენტი აღნიშნავს სიბრტყეზე მყოფობას: **იანუ უოფუი** „გზაზე მიმავალი“.

**-ნ** გვხვდება **ნიკა-(ნიკა)** „სიბრტყის გასწვრივ“ მნიშვნელობის მქონე ლოკალურ პრევერბში : **იჟსა ნიკაჟ-იწააიტ** „სული წაიწყმიდოს“ (ლომთათიძე 1982: 22).

**-ნი** გარდაქცევითობის აღმნიშვნელი სუფიქსია, აბსოლუტივის მაწარმოებელი: **ი-კაჟა-ნი ს-აა-იტ** „გავაკეთე რა, მოვედი“.

-**н** სუფიქსი მიიღება -**м** უარყოფითობის სუფიქსისაგან დისტანციური პროგრესული დისიმილაციით: **у-м-ца-м** > **у-м-ца-н**: „ არ წახვიდე!“

-**н** არის **ан-** დროის აღმნიშვნელ სპეციფიკურ საგარემოებო ელემენტში, რომელიც დაერთვის ზმნათა ინფინიტურ ფუძეებს: **д-ан-ба-но?** „როდის მიდის?“

-**ны** მიზან-პირობითი კილოს მაწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსია: **с-аан-ра-ны** „რათა მოვიდე“, **и-ка-с-ца-ра-ны** „რათა გავაკეთო“...

-**н** გვხვდება კავშირებითი კილოს წარმოებაში:

აქვს ორი ფორმა: **კავშირებითი I** იყენებს -**ра** სუფიქსიან მყოფადი I-ის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსის **а** ხმოვანი და დაერთვის -**н** სუფიქსი (**ფინიტური წარმოება**) ანდა - **з** სუფიქსი (**ინფინიტურ წარმოება**) **с-ца-ры-н** „წავიდოდი“, **с-ан-ца-ры-з** „როცა წავიდოდი“, **и-ка-с-ца-ры-з** „რასაც გავაკეთებდი“. **კავშირებითი II** ემყარება -**ша** სუფიქსიან II მყოფადის ფორმას და დაერთავს იმავე -**н** სუფიქსს (**ფინიტურ წარმოებაში**) ანდა -**з** სუფიქსს (**ინფინიტურ წარმოებაში**): **с-ца-ша-н** „წავიდოდი“, **с-ан-ца-ша-з** „როცა წავიდოდი“, **и-ка-с-ца-ша-н** „გავაკეთებდი“, **и-ка-с-ца-ша-з** „რასაც გავაკეთებდი“).

-**н** გვხვდება ასევე ნატვრით კილოში, -**нда** -**ндаз** სუფიქსის შემადგენლობაში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს აფიქსი მომდინარეობს ქართული „**ნეტა**“ ნაწილაკიდან -**з** კი ნამყო დროის ინფინიტური სუფიქსია: **с-ыка-нда(з)** „ნეტავი მამყოფა!“, **с-цо-нда (з)** „ნეტავი წავსულიყავი!“, **и-ка-с-ца-нда (з)** „ნეტავი გამეკეთებინა!“ და ა. შ.

-**ын||-н** სუფიქსი დასტურდება აგრეთვე ორიოდე ტოპონიმში **Апс-ны** „აფხაზეთი“, **Агыр-ны** „სამეგრელო“, **Бзып-ын** „ბზიფის აფხაზეთი“.

-**н** აღნიშნავს ჯერობას: ოცეულთა სახელების წარმოება შემდეგნაირია: „ორმოცს“ აღნიშნავს **оы-н-оажәа** რიცხვითი სახელი (არაგონიერთა, ნივთთა კლასი) ან **оы-н-оажәа-оы(к)** (გონიერთა, ადამიანთა კლასი), „სამოცს“ აღნიშნავს **хы-н-оажәа**, „ოთხმოცს“ **пшы-н-оажәа...** და ა. შ. ანუ სიტყვასიტყვით: „ორჯერ ოცი“, „ოთხჯერ ოცი“ და სხვ.

-**ны-к** სუფიქსები ერთვის **за** „ერთი“ რიცხვითი სახელის **з** ელემენტს და ვიღებთ **з-ны-к** „ერთხელ“ შინაარსს, „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან ჯერობის რიცხვითის მისაღებად.

## Л л

სონორი ბგერა.

ლ- ქ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ-ის კუთვნილების ნიშანი სახელში: **ლара л-ан** „მისი (ქ.) დედა“, „დედამისი“(ქ.)

ლ- ქ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ-ის პრეფიქსი ზმნაში „ლ“-ს რიგისა: **и-л-а-с-хә-еит** „მე მას (ქ.) ის (ნ.) ვუთხარი“.

ლ- მომდინარეობს **лара** (ის, ქ.) ნაცვალსახელისაგან.

ლ- შედის ინსტრუმენტალისის **-ла** სუფიქსის შემადგენლობაში – **напы-ла** „ხელით“.

**ла** ძირ-სუფიქსია გარდაუვალ დინამიკურ ზმნებში: **апла дкәлоит** „ხეზე ავიდა“.

**ла-** ლოკალური პრევერბია, გამოხატავს „შიგ“ მყოფობას: **илоуп** „შიგ არის“.

**-ла** „-ით“ თანდებულია: **шыапы-ла** „ფეხით, ქვეითად“, **‘ы-ла** „ცხენით“ და სხვ.

**-ла** სუფიქსი აღნიშნავს იქითა მიმართულებას, საპირისპიროა **-аа...**

**-ла** პრეფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმართულებას ზევიდან ქვევით: **д-ла-з-го-ит** „ჩამომყავს დაბლა“.

**лбаа** „ძირს“, „ქვევით“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბია: **апла ды-лбаа-ит** „ხიდან ძირს ჩამოვიდა“ (ლომთათიძე 1982: 21).

ლ- გვხვდება **-лак//-лакь//-лаг:** (ინფ.) მყოფადი I-ის მაწარმოებელ სუფიქსში: **с-ан-ца-лакь** „როცა წავალ“.

**-ла** სუფიქსი ზოგჯერ დამოუკიდებელი ფუძის სახითაც გვხვდება; მაგ.: მრავლობით რიცხვში: **аекәа ры-ла**, სიტყვასიტყვით: „**ცხენები მათ-ით**“... (მესამე პირის მრავლობითობის **р-** პრეფიქსის დართვით **-ла** ფუძე-სუფიქსზე).

**ла** ელემენტი ასევე ფორმდება ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: **уара уы-ла** „შენით“ (მკ.), **бара бы-ла** „შენით“ (ქ.).

ჩვენ ვფირობთ, რომ ინსტრუმენტალისის **-ла** სუფიქსის მასა-ლობრივი ერთიანობა ლოკალურ პრევერბ **-ла**-სა და იქითა მიმართულების აღმნიშვნელ **-ла** ელემენტს, ასევე ძირ-სუფიქს **ла**-ს შორის შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს და ამ **-ла-** ელემენტის თავდაპირველი ამოსავალი მნიშვნელობა „თან შეტანება, შიგ მყოფობა, საიქითო მიმართულების აღნიშვნა“ იყოს (მაჭავარიანი 2019).

**აა-** სუფიქსი აწარმოებს (ფუძის გაორკეცებით) ჯუფთობის სახელებს: **აკაკ-აა** „თითო-თითოდ“ (არაგონ, ნივთის შესახებ) **აჯაჯა-აა** „თითო-თითოდ“ (გონიერის, ადამიანის შესახებ) **-აა** სუფიქსი, სავარაუდოდ, ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი უნდა იყოს (გვანცელაძე 2003).

## P p

სონორი ბგერა.

**p-** III პ.-ის მრ. რ.-ის კუთვნილების აღმნიშვნელი პრეფიქსი სახელში : **ძარა რყ-ე-კაა** „მათი ცხენები“,

**p-** III პ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი ზმნაში „**ი**“-ს რიგისა: **ი-რყ-ც-ტ-ოიტ** „მე მათ მას (ნ.) ვაძლევ“,

**p-** კაუზატივის კატეგორიის ნიშანი ზმნაში: **ი-სყ-რ-ტა-ენტ** „მე მას ვსვამ, ვაიძულებ რომ დაჯდეს“.

**-რა** აბსტაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი სახელებში: **აჰაჰა-რა** „ვაჟკაცობა“.

**-რა** მასდარის მაწარმოებელი სუფიქსია: **ა-კ-რა** „ჭერა“.

**-რა** კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია ნაშიერთა და მცენარეთა სახელებში: **აყყ** „ჩიტი“, **აჰა-რა** „ჩიტები“.

**-რაა** სუფიქსი კრებითობის მაწარმოებელია: **ტყმირ-რაა** „თემური და მისიანები“, იხმარება აგრეთვე პატივისცემის ნიუანსის შემცველი მიმართვისას: **დად-რაა** „ჩემო შვილებო!“

გვხვდება ასევე:

**-რა** მყოფად პირველსა (ინფ.)

**-p** კატეგორიულ მყოფადში **-რაჟ, -რაჟყ...**

გამოიყენება კავშირებით კილოში, აქვს ორი ფორმა: **კავშირებითი I** იყენებს **-რა** სუფიქსიან მყოფადი I-ის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსის **a** ხმოვანი და დაერთვის **-ი** სუფიქსი (**ფინიტური წარმოება**) ანდა – **ჰ** სუფიქსი (**ინფინიტურ წარმოებაში**) **ც-ჰა-რყ-ი** „წავიდოდი“, **ც-ან-ჰა-რყ-ჰ** „როცა წავიდოდი“, **ი-ჰა-ც-ჰა-რყ-ჰ** „რასაც გავაკეთებდი“. **კავშირებითი II** ემყარება **-შა** სუფიქსიან II მყოფადის ფორმას და დაირთავს იმავე **-ი** სუფიქსს (**ფინიტურ წარმოებაში**) ანდა **-ჰ** სუფიქსს (**ინფინიტურ წარმოებაში**): **ც-ჰა-შა-ი** „წავიდოდი“, **ც-ან-ჰა-შა-ჰ** „როცა წავიდოდი“, **ი-ჰა-ც-ჰა-შა-ი** „გავაკეთებდი“, **ი-ჰა-ც-ჰა-შა-ჰ** „რასაც გავაკეთებდი“.

-**р** ტოპონიმთა მაწარმოებელი -**рыпш** სუფიქსის შემადგენლობაშია, რომლის -**р** თანხმოვანი შესაძლოა კუთვნილების პრეფიქსი იყოს, ხოლო -**пш** ელემენტის წარმოშობა გაურკვეველია: **Дә-рыпш** „დურიფში“ (გვანცელაძე 2003 : 48).

-**р-хаа** „მათი გორა, მათი ბორცვი“ მნიშვნელობის მქონე რთული ნახევარსუფიქსი აწარმოებს ტოპონიმებს: **Цы-рхаа** „ჯირხვა“, **Блабы-рхаа** „ბლაბურხვა“ (გვანცელაძე 2003 : 48).

გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მყოფადი I (ინფ.) ერთ-ერთი სუფიქსის შემადგენლობაშია:

-**ра, -лак, -лакь, -лаг с-ан-ца-ра** „სადაც წავალ“.

### კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ზოგადი სურათი:

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა შემადგენლობაში იშვიათად მონაწილეობენ: **е, о, ы, п, дә, тә, к, кь, къ, гә, кә, кь, з, цә, ч, ч, пы, в, ф, ж, шь, жь, ж, ь, ьә, хә, хә, օ...** ბგერები.

როგორც ცნობილია **и, е, о, у** ბგერები აფხაზური ენის სიტყვაფორმებში მეორეულია.

ზოგი ბგერა, მაგ.: **зә, гә, дә** მხოლოდ ლოკალურ და სხვა შინაარსის პრევერბებში გვხვდება.

დანარჩენ ბგერათაგან აფიქსურ მოხმარებაში ყველაზე დიდი ინტენსივობით გამოირჩევა **а, с, ь, д, з, и, р, л, м** ბგერები. სიხშირით მათ მოსდევს **ш, шә, цә, ч, х, ц** ბგერები.

# გრამატიკული მიმოხილვა

## შესავალი

აფხაზური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ჯგუფს. ამ ჯგუფში აფხაზურის გარდა გაერთიანებულია აბაზური, ყაბარდოული, ადიღეური და უბიხური ენები.

აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ცხოვრობენ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მცირე ჯგუფი ცხოვრობს აჭარაში (ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში).

აფხაზები ცხოვრობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე – თურქეთსა და სირიაში.

აფხაზური ენის დიალექტებია აბჟუური და ბზიფური. აბჟუური დიალექტი გავრცელებულია ოჩამჩირის რაიონში, ბზიფური დიალექტი – გუდაუთის რაიონში.

აფხაზური ახალდამწერლობიანი ენაა. დამწერლობის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის რუს გენერალს, კავკასიოლოგ **პ. უსლარს** (1862).

პირველი საანაზნაო წიგნი გამოიცა 1865 წელს თბილისში. ეს იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი აფხაზური ანბანი.

შემდგომში აფხაზურმა ანბანმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანის რამდენიმე სახეობა იხმარებოდა 1926 წლამდე. 1926-1938 წლებში გამოიყენებოდა ჯერ აკად. **ნ. მარის** მიერ შედგენილი ე. წ. ანალიზური ანბანი ლათინური ანბანის საფუძველზე, ხოლო შემდეგ **ნ. იაკოვლევის** მიერ ლათინურ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი. 1938-1954 წლებში იხმარებოდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანი, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მოქმედებს ისევ რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი (გვანცელაძე 2003: 18-20).

პირველი ცდა აფხაზური სიტყვებისა და ფრაზების ჩაწერისა მოცემულია თურქი მოგზაურის **ევლია ჩელების** ჩანაწერებში (XVIII), აგრეთვე ფრანგი მოგზაურის **ჟან გამბას** ჩანაწერებში (XIX ს.-ის I ნახ.).

აფხაზური ენის პირველი მოკლე მეცნიერული აღწერა მოცემულია გერმანელი ენათმეცნიერის **გ. როზენის** ნაშრომში "Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische", რომელიც ბერლინში დაიბეჭდა 1846 წელს.

აფხაზური ენის პირველი სრული გრამატიკული აღწერა ეკუთვნის **პ. უსლარს**, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი იბერიულ-კავკასური ენის შესწავლის საქმეში. **პ. უსლარის** მონოგრაფია "Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык" დღემდე აფხაზური ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევადაა აღიარებული და ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი ქართველი პედაგოგისა და მეცნიერის, **პ. ჭარაიას** გამოკვლევა "Об отношении абхазского языка к яфетическим", პეტერბურგი, 1912.

აღსანიშნავია **ნ. მარის** "К вопросу о положении Абхазского языка к яфетическим", 1912, "О языке и истории абхазов", М.-Л., 1938.

აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ კავკასიოლოგს **ა. დირს**, რომელიც შესულია მის წიგნში "Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen", ლაიფციგი, 1928.

აფხაზური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდა **ა. გენკო** აფხაზურ ენასთან მიმართებაში.

წარმატებით იკვლევდა აფხაზური ენის საკითხებს ცნობილი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი, აკად. **ს. ჯანაშია**.

შემდგომში აფხაზური ენის შესწავლის საქმე განაგრძო ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა **ქ. ლომთათიძემ**. აფხაზური ენის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი არ დარჩენილა ქეთევან ლომთათიძის ყურადღების მიღმა. ის გარემოება, რომ აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შედეგია.

უცხოელ მკვლევართაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრანგი კავკასიოლოგის **ჟ. დიუმეზილისა** და გერმანელი კავკასიოლოგის **გ. დეეტერსის** დამსახურება აფხაზური ენის კვლევის საქმეში.

აფხაზურ ენას დიდი წარმატებით იკვლევენ აფხაზი ენათმეცნიერებიც. აფხაზური ენის კვლევა აფხაზეთში **დ. გულიამ** დაიწყო, მან რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც შექმნა ამ დარგში. აფხაზ მკვლევართა ნაშრომები ეხება აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკას, ლექსიკოგრაფიას, დიალექტოლოგიასა და სხვა კარდინალურ საკითხებს.

აფხაზური ენის გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან აღსანიშნავია **ნ. მარის** მოკლე „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (მოსკოვი-ლენინგრადი-



დი, 1938), **ბ. ჯანაშიას** „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 1954), „აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ავტორთა კოლექტივისა (I ტ. სოხუმი, 1986, II ტ. სოხუმი, 1987), რომელიც ამ ენის პირველ განმარტებით ლექსიკონს წარმოადგენს.

ცალკე უნდა აღინიშნოს **ვ. კასლანძიას** „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (სოხუმი, 2003), **თ. გვანცელაძის** „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 2012), **ნ. მაჭავარიანის** 7000-სიტყვიანი „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით“ (თბილისი, 2018), ავტორთა კოლექტივის „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“ და დარგობრივ-ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

აფხაზური ენის სისტემურ კვლევას ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მიექცა ყურადღება. ამ მიზნით, აკად. **ივ. ჯავახიშვილს** განზრახული ჰქონდა, მოეწვია აფხაზური ენის კურსის წასაკითხად **პ. ჭარაია**, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. 1922-1924 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ენის კურსს კითხულობდა **დ. გულია**, შემდეგ კი 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე – აკად. **ს. ჯანაშია**, რომელსაც 1937 წლიდან შეენაცვლა **ქ. ლომთათიძე**. ქ. ლომთათიძემ აღზარდა აფხაზური ენის მრავალი აფხაზი, ქართველი და უცხოელი სპეციალისტი.

უცხოეთში აფხაზურ ენას იკვლევდნენ და იკვლევენ: **კ. ბოუდა**, **ვ. ალენი**, **ა. კუიპერსი**, **კ. პარი**, **გ. შარაშიძე**, **ჯ. ჰიუიტი**, **ა. სპრუიტი**, **ვ. ლუკასენი** და სხვანი.

აფხაზური ენის კვლევის მიმართულებით აღსანიშნავია აფხაზი ენათმეცნიერების **ლ. ჭკადუას**, **შ. არისთავას**, **კ. შაყრილის**, **ხ. ბლაჟბას**, **ვ. კონჯარიას**, **ვლ. კასლანძიას**, **ო. ძიძარიას**, **ე. კილბას**, **ლ. ჰაგბას**, **ა. ხეციას** და სხვათა ნაშრომები.

## ფონეტიკა

აფხაზური ენა ფონემათა სიუხვით გამოირჩევა. აფხაზურ სალიტერატურო ენაში **64** ფონემაა, ბზიფურ დიალექტში **9** დამატებითი ფონემა დასტურდება. აბჟურ დიალექტი აფხაზური სალიტერატურო ენის საფუძველია. ამ დიალექტში დღემდე (უფროსი თაობის მეტყველებაში) შეინიშნება კბილბაგისმიერი მკვეთრი **ფ**. სპირანტი, რომელიც ამჟამად გაქრობის გზაზეა და გადასულია **ჲ** მკვეთრ ხშულში.

## ხმოვნები

აფხაზურ სალიტერატურო ენაში 5 ხმოვანია: **a, e, ი, o, y**, დამატებით **ы** „ირაციონალური, ანუ ნეიტრალური“ ხმოვანი. ამათგან ძირითადია **a** და **ы** ხმოვნები, დანარჩენები დიფთონგური წარმომავლობისაა: **e** მიიღება **иа** ან **аи** კომპლექსებისაგან: **ецы < иацы** „გუმინ“ **и** მიიღება **иы** ან **иы** კომპლექსებისაგან **ицент < иыцент** „ისინი წავიდნენ“, **o** მიიღება **ya** და **ay** კომპლექსებისაგან: **оха < yoха < yaха** „ამაღამ“, ხოლო **y** მიიღება **ыу** ან **уы** კომპლექსებისაგან: **апату < апатыу** „პატივისცემა“.

აფხაზური **a** ხმოვანი დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია. გვხვდება სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში: **ан** „დედა“, **анапы** „ხელი“, **абарца** „აივანი“...

ასევე სიტყვის ყველა პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს ორი **aa** ხმოვანი, რომლის ამოსავლად **ʃa** მარცვალი ივარაუდება: **аблаам** „ბალღამი“.

ზოგ შემთხვევაში მოსალოდნელი სამი ან ოთხი ხმოვნის ნაცვლად მუდამ ორი **a** ხმოვანი დასტურდება: **анда < \*a-анда < \*a-ʃанда** „ღობე“.

**e** ხმოვანი წინა წარმოების საშუალო აწეულობის ფონემაა, გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში. აფხაზურ საკუთარ ლექსიკურ ფონდში მეორეული წარმოშობისაა. ნასესხებ სიტყვებში **e** ხმოვანი **a** ხმოვნითაა შეცვლილი: **წესი > ацас**, **ჩელტი > ачалт**.

თუ **e** ხმოვნის წინ გამსესხებელ ენაში **г, к, қ, ɣ, х, ʁ** თანხმოვნები დგას, მაშინ აფხაზურში **e** ხმოვნის პალატალიზაცია გადაეცემა თანხმოვანს და ვიღებთ **гь, къ, қь, ɣь, хь, ʁь** თანხმოვნებს, რომელთაც **a** ხმოვანი მოსდევს: **სარკე > асаркья**, **გემო > агьама**...

ხმოვანი **и** წინა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. მარტივი სახით თითქმის არ გვხვდება, დიფთონგური ბუნებისაა.

თუ **и** გამსესხებელ ენაში **г, к, қ, ɣ, х, ʁ** თანხმოვნებს მოსდევს, აფხაზურში ხდება ამ თანხმოვანთა პალატალიზაცია. **гь, къ, қь, ɣь, хь, ʁь** მათ შემდეგ კი თავს იჩენს ნეიტრალური **ы** ხმოვანი: **ადგილი > адгыыл**, **კობე > акьына**...

ხმოვანი **o** საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ფონემაა. იგი გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში: **yaха** „ამაღამ“, **дызбоит** „მე მას (ად.) ვხედავ“, **ицо** „ისინი მიდიან რა...“

ნასესხებ სიტყვებში **o** ხმოვანი დაიშლება **ya** კომპლექსად, თუ მის წინ დგას ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების მქონე თანხმოვანი **y** იქცევა წინა თანხმოვნის ლაბიალიზაციის მიზეზად, **a** ხმოვანი კი ხშირად შენარჩუნდება: მეგრ.: **ოხვამე > ауахэама** „ეკლესია“... დამატე-

ბითი ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების უქონელ თანხმომავნთა შემდეგ კი **o** ხმოვანი **a** ხმოვნით იცვლება: ფონი > აჟან...

ხმოვანი **y** უკანა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. **h** ხმოვნის მსგავსად უფროსი თაობის მეტყველებაში ისიც იშვიათად დასტურდება, რაკი დიფთონგური ბუნება აქვს. ნასესხებ სიტყვათა მახვილიანი **y** ხმოვანი აფხაზურში ზოგჯერ უცვლელი რჩება მეგრ. უღუ > აფხაზ. აუჟა || აუჟაჟი „უღელი“.

ნასესხებ სიტყვებში **y** ხმოვანი იწვევს ლაბიალიზაციის მიდრეკილების მქონე თანხმომავნთა ლაბიალიზებას და შემდეგ **h** ხმოვნის გაჩენას: დუქანი > ადჰანი <\* ადჰიჰანი...

ხმოვანი **h** უფრო ვიწროა ვიდრე **a**. იგი თითქმის არ გვხვდება სიტყვის თავში, ხშირია სიტყვის შუა და ბოლო პოზიციაში: აჰიჰა „საბანი“, აჰი „წყალი“. ხშირად **h** ხმოვანი მიღებულია **a** ხმოვნისაგან: აბაზური ჰა – აფხაზ. ა-ჰი „თავი“. **h** ნეიტრალური ხმოვანი ვერ ძლებს **x** თანხმომავნის გვერდით და მას ენაცვლება **a** ხმოვანი.

### ნახევარხმოვნები

ნახევარხმოვანი **h** (ჲ) შუაენისმიერი ფონემაა და დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში იარა „ის, იგი“ (მკ. ან არაგ.), აჰიჰანი „პირუტყვი“.

ნახევარხმოვანი **y** (ჳ) წყვილბაგისმიერი ბგერაა და ისიც ყველა პოზიციაში დასტურდება იარა „შენ“ (მკ.), იაჰიჰი „ხვალ“, დააჰიჰი „იგი (ად.) მოდის“...

### თანხმოვნები

აფხაზურ სალიტერატრო ენაში სულ 56 თანხმოვანი ფონემაა. ისინი იყოფა ხშულებად, აფრიკატებად, სპირანტებად, სონორებად.

ხშული თანხმოვნებია: ბ, ჰ, პ, დ, ტ, ტ, დჲ ტჲ, ტჲ, გ, კ, კ, გჲ, კჲ, კჲ, გჲ, კჲ, კჲ.

აფრიკატი თანხმოვნებია: ჯ, ძ, ძ, ჯჲ, ძჲ, ძჲ, შ, ჯ, ჯ, ჯ, ჯ.

სპირანტი თანხმოვნებია: ვ, ფ, ზ, ც, ჯ, შ, ჯჲ, შჲ, ჰ, ხ, ჰჲ, ჰჲ, ძჲ, ჰჲ, ჰ.

სონორი თანხმოვნებია: მ, ნ, ლ, რ.

ხშული და აფრიკატი თანხმოვნები ქმნიან სამეულთა სისტემას, სპირანტები წყვილულთა სისტემას, სონორები ცალეულთა სისტემას.

ხშული, აფრიკატი და სპირანტი თანხმოვნები გართულეულია ლაბიალიზაციით, პალატალიზაციით და ველარიზაციით (მაგარი ფონემები).

წყვილბაგისმიერი ხშულები სამეულთა ერთი რიგითაა წარმოდგენილი. მჟღერი **ნ**, ფშვინვიერი **ნჟ**, მკვეთრი **ნ**. ისინი გვხვდება სიტყვებში **აბარა** „დანახვა“, **აჟრა** „აფრა“ **აუპა** „ნაბადი“.

ენაკბილისმიერი ხშულები ხმოვანთა ორი სამეულის რიგით არის წარმოდგენილი: 1. სადა ენაკბილისმიერი **დ ტ თ**. ეს ბგერები არის სიტყვებში **ადა** „ძარღვი“, **ათაძა** „პატარძალი“, **ათყ** „ბუ“... 2. ლაბიალიზებული ენაკბილისმიერი **და თა ტა** სამეული რთული ბუნების ბგერებია. ეს ფონემები გვხვდება სიტყვებში: **ადაყ** „მინდორი“, **ათა** „თივა“, **ათაყ** „მონა“. ამ ორი რიგის თანხმოვანთა მჟღერებია: **დ, და; ფშვინვიერები: ტ, თა; მკვეთრები ტ, თა...**

უკანაენისმიერ ხშულთა სამეულები სამ რიგს ქმნიან: 1. სადა უკანაენისმიერი **გ, კ, კ**. ეს ფონემები არის სიტყვებში **აგარა** „აკვანი“, **აკყა** „სოფელი“, **აკაკარა** „კაკანი“.

2. ლაბიალიზებული უკანაენისმიერი ფონემებია **გა, კა, კა**. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აგაყ** „გული“, **აკა** „წვიმა“, **აკა** „უბე“.

3. პალატალიზებული უკანაენისმიერი **გჟ, კჟ, კჟ**. ისინი დასტურდება სიტყვებში: **ააგჟა** „ცული“, **აკჟა** „კარავი“, **აკაკჟა** „მაგარი“.

მჟღერებია: **გ, გა, გჟ; ფშვინვიერები: კ კა, კჟ; მკვეთრები კ, კა, კჟ...**

ფარინგალურ ხშულთა სისტემა ნაკლოვანია. ამ სისტემაში ამჟამად შედის მხოლოდ სადა ფარინგალური მკვეთრი **კ**, ლაბიალიზებული მკვეთრი **კა** და პალატალიზებული მკვეთრი **კჟ**. ამ სამეულებს აკლია ფშვინვიერი და მჟღერი სახეობები. დასახელებული ბგერები არის სიტყვებში: **აკაჟა** „წითელი“, **აკა** „სოხუმი“, **აკჟა** „ქნევა“.

სისინა აფრიკატები აფხაზურ სალიტერატურო ენაში სამეულთა ორი რიგის სახით არის წარმოდგენილი: 1. სადა სისინა აფრიკატები **ჟ, ძ, ძ**. ისინი არის სიტყვებში: **აჟა** „ნედლი“, **აძ** „ნისკარტი“, **აძა** „ფსკერი“.

2. ლაბიალიზებული სისინა აფრიკატები **ჟა, ძა, ძა** სპეციფიკური რთული ფონემებია. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აჟაყ** „ერთი ვიღაც“,

**აцә** „ხარი“, **ацәа** „ვაშლი“. დასახელებულთაგან: **з, зә** მჟღერია, **ц, цә** ფშვინვიერი, **ц, цә** – მკვეთრი.

შიშინა აფრიკატებიც ორი სამეულის სახით არის წარმოდგენილი. 1. სადა შიშინა აფრიკატები **шь, ч, ч.** ისინი არის სიტყვებში **ащ** „მუხა“, **ача** „პური“, **ачкәын** „ბიჭი“. 2. მაგარი ანუ ინტენსიური შიშინა აფრიკატები **ц, е, е** სპეციფიკური ფონემებია. ეს სამეული არის სიტყვებში. **ацыр** „ფოლადი“ **аеы** „ცხენი“, **афы** „პირი“. დასახელებულ ორ სამეულში მჟღერებია: **шь, ц;** ფშვინვიერები: **ч, е;** მკვეთრები: **ч, е.**

კბილბაგისმიერ სპირანტთაგან აფხაზურს მოეპოვება მჟღერი **в** და **ф** ფონემათაგან შემდგარი წყვილეული. ეს ფონემები არის სიტყვებში: **авара** „გვერდი“, **афы** „ელვა“.

წინაენისმიერი სადა სისინა **з** და **с** წყვილეულიდან **з** მჟღერია, **с** – ყრუ. ეს ფონემები არის სიტყვებში: **амза** „მთვარე, თვე“, **асас** „სტუმარი“.

წინაენისმიერი შიშინა სპირანტები აფხაზურში სამი წყვილეულით არის წარმოდგენილი: 1. სადა შიშინა **жь, шь.** ეს ფონემები დასტურდება სიტყვებში: **ажь** „ყურძენი“, **ажья** „კურდღელი“. 2. ინტენსიური, შიშინა **ж, ш** არის სიტყვებში: **ажра** „თხრილი“, **аша** „მწარე“... 3. ლაბიალიზებული შიშინა **жә, шә** დასტურდება სიტყვებში: **ажә** „ძროხა“, **ашә** „ყველი“. დასახელებულ სამ წვილელში მჟღერებია: – **жь, ж, жә, ყრუებია: – шь, ш, шә** ფონემები.

უკანაენისმიერი სპირანტებიც სამი წყვილეულით არის წარმოდგენილი

1. სადა **ф, х** თანხმოვნები. ისინი გვხვდება სიტყვებში: **афа** „მტერი“, **ахы** „თავი“. 2. ლაბიალიზებული **фә, хә.** ისინი დასტურდება სიტყვებში: **афәы** „ფიცარი“, **ахәда** „კისერი“. 3. პალატალიზებულ **фь, хь** სპირანტები გამოითქმის როგორც ერთ ფონემად შერწყმული **фь, хь** კომპლექსები. ეს ფონემები არის სიტყვებში: **афьыц** „ფოთოლი“, **ахьы** „ოქრო“... დასახელებული ბგერებიდან მჟღერებია **ф, фә, фь, ხოლო х, хә, хь** ყრუ ფონემებია.

ლარინგალური სპირანტებიდან აფხაზურს სამი ფონემა მოეპოვება: ყრუები – **х** და **хә**, მჟღერი **ф.** ეს ფონემა არის სიტყვებში: **ах** „ბატონი“. **х** თანხმოვნით გადმოიცემა ქართული **х** ფონემა. მაგ.: **ორხაო** > **ауархал** „ხალიჩა“. ამ ფონემას არ მოეპოვება თავისი რიგის მჟღერი ლა-

რინგალური შესატყვისი ფონემა. ლაბიალიზებული **xə** დასტურდება სიტყვებში: **axəpa** „თქმა“, **axəyc** „ხბო“. აფხაზური ენის ლაბიალიზებული ლარინგალური **ɸ** ფონემა სპეციფიკურია. იგი არის სიტყვებში: **aɸy** „ღვინო“, **aɸaɸy** „მოსწავლე“.

სონორი ბგერებიდან **m** ბაგისმიერ-ცხვირისმიერია, **n** – ცხვირისმიერი. ისინი არის სიტყვებში: **ampa** „მზე“, **an** „დედა“... ნარნარა **ɲ, p** თანხმოვნები უფრო ინტენსიურია, ვიდრე შესაბამისი ქართული ფონემები. ისინი დასტურდება სიტყვებში: **an** „მურყანი“, **ap** „ჯარი“... ოთხივე სონორი მჟღერი ბგერაა.

### ძირთა სტრუქტურა, მარცვალი და მახვილი

აფხაზური სიტყვის ძირი ისტორიულად მარტივი იყო. ახლაც მრავალი საკუთრივ აფხაზური ძირი შედგება ცალი თანხმოვნისაგან, რომელსაც **a** ან **y** ხმოვნები ახლავს. ზოგჯერ ძირისეული თანხმოვანი უხმოვნოდაც არის წარმოდგენილი **C: a-ɲ-a** „ფსკერი“, **a-k-pa** „ჭერა“ **a-c-pa** „ცემა“. ვარუდობენ, რომ აფხაზურისათვის ამოსავალი იყო **CV: a-ɲ-a-pa** „წაღება“. ამჟამად **CVC**-ც დასტურდება. მაგ.: **a-ɲyɲ-pa**... აფხაზურ ძირთა დიდი ნაწილი წარმოქმნილია კომპოზიციით ან რედუქციკაციით. ამ დროს მახვილის ზემოქმედებით მიიღება თანხმოვან-თკომპლექსები. კომპლექსთა წარმოქმნისას მნიშვნელობა აქვს მეზობლად მოხვედრილ ფონემათა რაგვარობას. აფხაზურისათვის შეუთავსებელი კომპლექსის დასაძლევად თანხმოვნებს შორის გაჩნდება **y** ხმოვანი (ჩვეულებრივ, ორი თანხმოვნის წინ ან შემდეგ). ამჟამად ენაში ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტებია ბაგისმიერი **ɲ, ɲy, m** თანხმოვნები: **ɲz, ɲjy, ɲz, ɲɲ, ɲɸ, ɲc, ɲɲy, ɲɲ, ɲx, ɲxy, ɲx, ɲxə, ɲy, ɲt, ɲp, mz, mɲ, mɲ, mjə, mp, mc, mt, mɲ, mkə, mɲə, mɲ, mɲ, mz, mɲ, mɲ, mx, mɸ** რაც შეეხება **ɲk, ɲk, tk** კომპლექსებს, ისინი დასტურდება ძირითადად ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მახვილის ძლიერი ზემოქმედების შედეგად ფუძე შეიძლება ძალზე შეიცვალოს და მივიღოთ რამდენიმე თანხმოვნისანი კომპლექსი: **aɲcɲxə** „ღრუბელი“, **aɲɲxə** „გამოსავალი“, სადაც ხშირად არის სპირანტი ან სონორი თანხმოვანი.

მახვილი აფხაზურში ინტენსიური და მოძრავია, იგი შეიძლება სიტყვას მოუდიოდეს ნებისმიერ პოზიციაში. მრავალი ომონიმური სი-

ტყვა დღესდღეობით თითქოს მახვილის მიხედვით განსხვავდება. მაგ. **ала** „თვალი“, **ала** „ძალი“, **аҕа** „საბერველი“ და **аҕа** „მტერი“, მაგრამ ისტორიულად ეს სხვადასხვა ფუძეებია. ანუ აფხაზურში მახვილი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით არ არის აღჭურვილი.

### ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკურ პროცესთაგან აფხაზურში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია და რედუქცია. ყველაზე ხშირია ასიმილაციის პროცესი ხმოვნებსა და დიფთონგებში; როგორც პროგრესული, ისე რეგრესული; სრული და არასრული, კონტაქტური ან დისტანციური.

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერის გავლენით იცვლება მომდევნო და მთლიანად (იშვიათად), ან ნაწილობრივ ემსგავსება მას. მაგ.:

**иа > ие > е: иахьа > иехьа > ехьа** „დღეს“.

**уа > уо > о: уацәы > уцәы > оцәы** „ხვალ“.

**шб > шп; уышбакоу > уышпакоу** ? „როგორ ხარ შენ (მკ.)?“

**рт > рд: ацартаҕы > ацардаҕы** „სკამლოგინი“.

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერა მომდევნო ბგერის ზეგავლენით ემსგავსება მას.

**аи > еи сцант > сцент** „წავედი“.

**сб > зб апхьысба > апхәызба** „ქალიშვილი“.

კონტაქტური დისიმილაციის შედეგად კაუზატივის მაწარმოებელი **p-** თავსართის გავლენით ზმნის III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი **p-** იცვლება **d-** ნიშნით (განემსგავსება კაუზატივის ნიშანს): **рыркацент > дыркацент** „მათ მას (მკ.) რაღაც გააკეთებინეს“...

დისტანციური დისიმილაციის შედეგად უარყოფით ბრძანებებში უარყოფის პრეფიქსი **m-** განიმსგავსებს უარყოფისავე **m-** სუფიქსს: **ыумгам! > ыумган!** „შენ (მკ.) ის არ წაიღო!“...

მეტათეზისის დროს ბგერები ადგილს უცვლიან ერთმანეთს. მაგ.: **аклаҕад > акалҕад** „წინდა“...

სუბსტიტუციის დროს ერთ ბგერას ჩაენაცვლება მეორე. მაგ. **ашьамсиа > ачамсиа** „ქოლგა“...

რედუქცია ძალზე გავრცელებულია. მაგ.: **амашын > амшын** „ზღვა“. ხმოვნები უჩინარდებიან მახვილის ზემოქმედებით (გვანცელაძე 2003: 25–36).

## მორფოლოგია

აფხაზურ ენაში გამოიყოფა მეტყველების 10 ნაწილი: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა (მასდარი, აბსოლუტივი, მიმღეობა), 6. ზმნიზედა, 7. თანდებული, 8. კავშირი, 9. ნაწილაკი, 10. შორისდებული.

### არსებითი სახელი

აფხაზურ ენაში სახელები, შედარებით ზმნასთან, კატეგორიათა სიმცირით გამოირჩევა. მაგალითად, ამ ენაში არ არის ბრუნვათა სისტემა. არსებით სახელს არ გააჩნია ბრუნება, მაგრამ, სამაგიეროდ ამ კატეგორიის უქონლობა შევსებულია ენაში მოქმედი სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებით და ამით ხდება ბრუნვათა სისტემის უქონლობის კომპენსაცია.

ის, რაც სხვა ენებში სახელთა დერივაციით გადმოიცემა, აფხაზურში თავმოყრილია ზმნაში. ამით ხდება ენაში გარკვეული ბალანსირება კატეგორიებით ღარიბ სახელსა და კატეგორიებით მდიდარ ზმნას შორის; რის მორფოლოგიურ გამოხატვასაც სახელი ვერ ახერხებს, ის ზმნური კატეგორიებით გადმოიცემა.

აფხაზური ენის არსებითი სახელი განარჩევს: 1. ზოგადობის 2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, 3. გრამატიკული კლასის, 4. რიცხვის, 5. კუთვნილების, 6. გარდაქცევითობის, 7. ინსტრუმენტალისის, 8. უქონლობის მორფოლოგიურ კატეგორიებს.

#### 1. ზოგადობის კატეგორია, სალექსიკონო ფორმა

განსხვავებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზურისათვის სპეციფიკურია არსებითი სახელის **ზოგადი** სალექსიკონო ფორმის არსებობა, რომელსაც **a**- პრეფიქსი აწარმოებს. ასეთი ზოგადი ფორმები არსებითის გარდა აქვთ აგრეთვე ზედსართავ სახელებს, მასდარს, ერთი ტიპის მიმღეობებს, ზმნიზედათა გარკვეულ ნაწილს.

ზოგადი ფორმის **a**- პრეფიქსი დაერთვის როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვებს. თუ სიტყვის ფუძე იწყება **e, ი, o, y** ხმოვნებით, **ი** და **y** ნახევარხმოვნებითა და თანხმოვნებით, მაშინ **a**- პრეფიქსი მუდამ უცვლელად იქნება წარმოდგენილი: **a-хаца** „კაცი“, **a-оны** „სახლი“, **a-муча** „მუქთახორა“.



თუ სიტყვა ფუძისეული **a-** ხმოვნით იწყება, მაშინ ზოგად ფორმაში ხდება ფუძისეული ხმოვნისა და პრეფიქსის შერწყმა ერთ **a** ხმოვნად: „\***a-ია-ბა** > \***a-აბ** > **აბ** „მამა“, \***a-იანა** > \***a-ან** > **ან** „დედა“ და სხვ.

ორი **a** ხმოვნის შემთხვევაშიც ფუძის თავში ზოგადი ფორმის **a-** პრეფიქსი შეერწყმის წინ მდგომს და სამი **a-**ს ნაცვლად მაინც ორი **a-** ხმოვანი დარჩება: **აანდა** „ღობე“, **აამტა** „დრო“, **აამыста** „აზნაური“.

## 2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია.

ზოგადი ფორმის **a-** პრეფიქსიანი სახელები ითავსებენ **განსაზღვრულობის** გადმოცემის ფუნქციასაც და აღნიშნავენ განსაზღვრულ, ცნობილ საგანსა თუ მოვლენას: **აҕы** „ცხენი“, **აцәа** „კანი“, **ацәа** „ვაშლი“, **ацкы** „კაბა“...

**a-** პრეფიქსი გვხვდება აფხაზურ გვარსახელებშიც: **Амаршьан** „მარშანიას გვარის (ეს) ადამიანი“, **а-Бҕажәба** „ბლაჟებას გვარის (ეს) ადამიანი“.

**განუსაზღვრელობით** კატეგორიაში ზოგად სახელს ჩამოშორდება ხსენებული **a-** თავსართი, თუ იგი ფუძის კუთვნილებას არ წარმოადგენს, ან: ბოლოს დაერთვის **-к** განუსაზღვრელობითი სუფიქსი, რომელიც **акы** „ერთი“ რიცხვითი სახელის ძირიდან უნდა მომდინარეობდეს (ლომთათიძე 1974-1975).

**ҕык** „რომელიღაც ცხენი“, **цәак** „რომელიღაც ვაშლი“ **цкык** „რომელიღაც კაბა“, მაგრამ **ан** „დედა“ – **анк** „რომელიღაც დედა“, **аб** „მამა“ – **анк** „რომელიღაც მამა“, რადგან **a-** ამ სიტყვებში ფუძისეულია.

## 3. გრამატიკული კლასის კატეგორია

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად აფხაზურშიც არის **გრამატიკული კლასის** მორფოლოგიური კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელების გარდა განარჩევს რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა (აბსოლუტივი, მიმღეობა).

არსებითი სახელი განარჩევს **გონიერთა** (ადამიანისა) და **არაგონიერთა** (ნივთის) მორფოლოგიურ კლასებს.

**გონიერთა** (ადამიანის) კლასში შედის: 1. ადამიანის აღმნიშვნელი **საზოგადო** არსებითი სახელები: **ауады** „ადამიანი“, **ахаца** „კაცი“, **агәыла** „მეზობელი“... 2. **საკუთარი** სახელები: **Ахра**, **Кәаста**, **Агрба**... 3. **ეთნონიმები**: **аҕсуа** „აფხაზი“, **акыртуа** „ქართველი“, **аурыс** „რუსი“... 4. **ნათესაობის ტერმინები**: **ан** „დედა“, **аб** „მამა“, **аҕа** „ვაჟიშვილი“... 5. ხელობის სახელები: **ажьи** „მჭედელი“, **ахьча** „მწყემსი“,

**арпачы** „მასწავლებელი“... 6. **ანთროპომორფულ** არსებათა სახელები: **анцаа** „ღმერთი“, **абыстаа** „ემმაკი“, **зызлан** „ალი“... ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **дарбан?** „ვინ? რომელი?“.

**არაგონიერთა** (ნივთთა) კლასში შედის: ყველა დანარჩენი სახელი, მიუხედავად იმისა, სულიერს აღნიშნავს თუ უსულოს: **аеы** „ცხენი, **аеада** ვირი“, **амза** „მთვარე“...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **иарбан?** „რა? რომელი?“

ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენები, არც აფხაზური, განსხვავებით ინდოევროპულ ენათაგან, არ განარჩევს სახელთა გრამატიკულ სქესს.

არ აღინიშნება არსებით სახელებში არც კლასის მორფოლოგიური კატეგორია, იგი აქ მხოლოდ სემასიოლოგიურია.

სახელთა სემასიოლოგიური გრამატიკული კლასი მორფოლოგიურად განირჩევა მრავლობითობის, კუთვნილების კატეგორიებში, აგრეთვე ზმნათა პირ-კლასის აღმნიშვნელი აფიქსებით.

#### 4. რიცხვის კატეგორია

მრავლობითის წარმოება აფხაზურში ნაირ-ნაირია. განსხვავებას ქმნიან ნივთისა და ადამიანის კლასებში გაერთიანებული სახელები.

**ნივთის** კლასის სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოყენებულია **-кәа** სუფიქსი: **ала** „თვალი“, **алакәа** „თვალები“. თუ სიტყვას ბოლოში მოუდის მახვილი, მას მრავლობითობის სუფიქსი გადაიზიდავს. თუ სიტყვა მთავრდება ნეიტრალური **ы-** ნახევარხმოვნით, მრავლობითობის სუფიქსის დართვისას ეს **ы** ჩავარდება, რადგან მახვილს დავარგავს: **ананы** „ხელი“, **анакәа** „ხელები“, **ахы** „თავი“, **ахкәа** „თავები“.

**ადამიანის** კლასის სახელების მრავლობითობა გამოიხატება **-цаа** სუფიქსით. ამ შემთხვევაშიც: თუ სიტყვის ბოლო მარცვალი მახვილიანია, ეს მახვილი სუფიქსზე გადაინაცვლებს: **апәа** „შვილი“ **апәацаа** „შვილები“, **ачкәын** „ბიჭი“, **ачкәынцаа** „ბიჭები“, **азҕаб** „გოგო“, **азҕабцаа** „გოგოები“...

მაგრამ **ан** „მამა“, **анцаа** „მამები“, **ан** „დედა“, **анцаа** „დედები“... ფუძისეული **-а** ხმოვანი აღდგება მრავლობით რიცხვში.

განუსაზღვრელ ფორმაში სახელს მრავლობით რიცხვშიც ჩამოსცილდება განსაზღვრულობა-ზოგადობის **а-** ნიშანი, ხოლო განუსაზღვრელობითი **-к** სუფიქსი კი დაერთვის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსის შემდეგ: **аекәа** „ცხენები“ (ზოგადი ფორმა), **екаак** „რომელიღაც ცხენები (განუსაზღვრელი ფორმა).

განუსაზღვრელობით კატეგორიაში გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ ადამიანთა კატეგორიის სახელები. აქ სახელი დაირთავს **-ცა** ადამიანთა კლასის მრავლობითობის აღსანიშნავ სუფიქსს და კიდევ **-კა** ნივთთა კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსს: **астудент-ца** „სტუდენტები“ (ზოგადი ფორმა), **студентцәкәак** „რომელიდაც სტუდენტები“ (განუსაზღვრელი ფორმა), **аҟәацә** „გოგოები“, **зҟәацәкәак** „რომელიდაც გოგოები“, **аҟәа** „შვილები“, **цәкәак** „რომელიდაც შვილები“.

გონიერთა კლასში შემავალი ზოგი არსებითი სახელი დაირთავს მხოლოდ არაგონიერთა კლასის **-კა** სუფიქსს: **ахәса ахәса-кәа** „ქალები“, **ахәычы – ахәыч-кәа** „ბავშვები“.

წარმომავლობის სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ხშირია ოდენ **-კა** სუფიქსის გამოყენება **-ცა**-ს პარალელურად: **аурыкәа || аурыцәа** „რუსები“, **ақырткәа || ақыртцәа** „ქართველები“.

არსებით სახელთა **კრებითობა** გადმოიცემა **-აა** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ძირითადად გამოიყენება გვარსახელის, ტომის წარმომადგენელთა ან წარმომავლობის სახელთა კრებითი ფორმის საწარმოებლად: **аҟәы-аа** „აბჟულები“, **Акә-аа** „სოხუმელები“, **аҟә-аа** „აფხაზები“...

ზოგ სიტყვას მრავლობითი თავისებურად აქვს ნაწარმოები: **ауды** „ადამიანი“, **ауаа** „ადამიანები“.

**აა-** კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი გვხვდება აფხაზური წარმოშობის გვარებში სიმრავლის, კრებითობის გამოსახატავად. **Ҡар-ба, Дел-ба, Аш-ба...** **ба<цә** „შვილი“ ფუძისაგან; იგი ახლავს სახელს მხოლოდ რიცხვში. ზოგჯერ **ба**-ს ადგილას გვხვდება **-цә** ან **-па**: **патеи-па** „პატეი-შვილი“. მრავლობითობის წარმოებისას ხსენებული **-ба, -па** სუფიქსი ჩამოშორდება გვარს და მის ადგილს დაიჭერს **-аа** სუფიქსი: **Ҡар-ба, Ҡар-аа, Дел-ба, Дел-аа**.

კრებითობის მაწარმოებელია აგრეთვე რთული **-ра-аа>ра-аа>раа** სუფიქსი: **Бесик-раа** „ბესიკი და მისიანები“ **дад-раа** „პაპა“ (მიმართვისას, გადმონაშთია გვაროვნული თემური წყობილებისა).

ცხოველ-ფრინველთა ნაშიერების ან მცირე ზომის საგანთა **-с** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-с** ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის **-р(а)** სუფიქსი: **арҟыс** „ჭაბუკი“, **арҟара** „ჭაბუკები“, **асыс** „ბატკანი“, **асара** „ბატკნები“, **ахәыс** ხბო“, **ахәара** „ხბორები“.

**-с** დიმიუნტივის სუფიქსი, ქ. ლომთათიძის აზრით, მომდინარეობს **ацыс** „ჩიტი“ სიტყვისაგან (ლომთათიძე).

ამრიგად, აფხაზურში მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსებია: **-кәа, -цәа, -аа, -ра, -раа < р+аа < а+аа**.

## 5. კუთვნილების კატეგორია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

მხ. რ.

I პ.	<b>сара</b> –	„მე“	<b>с(ы)</b>
II პ.	<b>уара</b> –	„შენ“ (მკ.)	<b>у(ы)</b>
	<b>бара</b> –	„შენ“ (ქ.)	<b>б(ы)</b>
III პ.	<b>иара</b> –	„ის“ (მკ.)	<b>и(ы)</b>
	<b>лара</b> –	„ის“ (ქ.)	<b>л(ы)</b>
	<b>иара</b> –	„ის“ (ნ., არაგ.)	<b>а</b>

მრ. რ.

I პ.	<b>хара</b> –	„ჩვენ“	<b>х(а)</b>
II პ.	<b>шара</b> –	„თქვენ“	<b>шә(ы)</b>
III პ.	<b>дара</b> –	„ისინი“	<b>р(ы)</b>

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში – მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (ნივთის) ქვეკლასები. მეორე პირში **н(ы)** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდედრობითი სქესის ადამიანებს. უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირში: **и(ы)**- პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (ღმერთი, ანგელოზი, წინასწარმეტყველი, ეშმაკი, ქაჯი, ტყის კაცი), **л(ы)**- პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **а**- პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულიერია მფლობელი, თუ უსულო:

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აჟჟაბ** **ლ-ნაпы** „გოგოს ხელი“.

თუ სიტყვას მახვილი მოუდის ზოგადობის **ა-** პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **ყ-** ნახევარხმოვნითაა წარმოდგენილი: **აღა** „თვალი“ **ყღა** „ჩემი თვალი“, მაგრამ **აღა** „ძალი“, **აღა** „ჩემი ძალი“.

	მხ. რ.		მრ. რ.
I პირი	<b>с(ы)- шәкәы</b> „ჩემი წიგნი“	I პირი	<b>ха- шәкәы</b> „ჩვენის წიგნი“
II პირი	<b>у(ы)- шәкәы</b> „შენი (მკ.) წიგნი“	II პირი	<b>шәы- шәкәы</b> „თქვენი წიგნი“
	<b>н(ы)- шәкәы</b> „შენი (ქ.) წიგნი“	III პირი	<b>ры- шәкәы</b> „მათი წიგნი“
III პირი	<b>и(ы)- шәкәы</b> „მისი (მკ.) წიგნი“		
	<b>л(ы)- шәкәы</b> „მისი (ქ.) წიგნი“		
	<b>а- шәкәы</b> „მისი (არაგ./ ნივთ.) წიგნი“		

### 6. გარდაქცევითობის კატეგორია

არსებით სახელთა გარდაქცევითობის ფორმები ასრულებს ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას, თუმცა ბრუნვა არ არის. იგი იწარმოება ზოგადობის **ა-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეზე **-с** სუფიქსის დართვით: **а-хаца** „მამაკაცი“, **хаца-с** „მამაკაცად“, **а-нцар** „იარალი“, **нцар-с** „იარაღად“, **ауал** „ვალი“, **уал-с** „ვალად“.

### 7. ინსტრუმენტალისის კატეგორია

ინსტრუმენტალისი იწარმოება სახელის ზოგადობის **ა-** პრეფიქსამოცილებულ ფორმაზე **-ла** სუფიქსის დართვით. ეს ფორმა ქართულად ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა: **а-напы** „ხელი“, **напы-ла** „ხელით“, **ашьапы** „ფეხი“, **шьапы-ла** „ფეხით“, **а-ҕы** „ცხენი“, **ҕы-ла** „ცხენით“.

მრავლობით რიცხვში მდგარ სახელებთან **-ла** „დამოუკიდებელ ფუძედ“ იქცევა და დაირთავს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით **ры-** პრეფიქსს, ხოლო არსებითი სახელი წარმოდგენილია მრავლობით

თი რიცხვის ფორმით: **ანაп-қәа ры-ла** „ხელებით“, **ашап-қәа р-ыла** „ფეხებით“, **ае-қәа ры-ла** „ცხენებით“.

ასევე ფორმდება **-ла** ელემენტი ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: **сара сы-ла** „ჩემით“, **уара уы-ла** „შენით“ (მკ.), **Алиас ны-ла** „ალიასის მეშვეობით“.

## 8. უქონლობის კატეგორია

**უქონლობას** გამოხატავს **-да** სუფიქსი, რომელიც სახელის ფუძეს დაერთვის: **ахы** „თავი“, **хы-да** „უთავო“, **аеы** „ცხენი“ **еыда** „უცხენო“, **аоны** „სახლი“, **оны-да** „უსახლო“.

უქონლობის კატეგორიის წარმოებისას, ისევე როგორც ინსტრუმენტალისის კატეგორიაში, სახელს ზოგადობა/განსაზღვრულობის **а-**პრეფიქსი ჩამოსცილდება და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება **-да** უქონლობის სუფიქსით. ამგვარ ფორმებს აფხაზურში ზმნიზედური მნიშვნელობაც აქვს.

## 9. არსებით სახელთა სიტყვაწარმოება

აფხაზურში გვხვდება **ოდენფუძიანი, კომპოზიციით მიღებული** და **აფიქსაციით ნაწარმოები** არსებითი სახელები.

**ოდენფუძიანია:** **азы** „წყალი“, **ахы** „თავი“, **ацәа** „ვამლი“ და სხვ.

**კომპოზიციით** (ფუძეთა შეერთებით) მიღებული არსებითი სახელები აფხაზურში მრავლადაა. გვხვდება ორ, სამ და მეტკომპონენტია-ნი კომპოზიტები.

1) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტებია: **абнакәыты** „ხოხობი“ **абна** „ტყე“, **акәты** „ქათამი“, **ацәымц** „კრაზანა“, **ацә** „ხარი“, **амц** „ბუზი“, **амцаңз** „ალი“, **амц** „ცეცხლი“, **анз** „ენა“.

ეს სახელები შედგება ორი არსებითი სახელისაგან, ამასთან წინამავალი არსებითი სახელი მიმართებითი ზედსართავის ფუნქციით გვევლინება, ამიტომაც წინ უძღვის საზღვრულს, გამოდის მსაზღვრელად.

2) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტები, რომლებიც შედგება არსებითი და ზედსართავი სახელების ფუძეებისაგან: **ауащәпш** „წითური კაცი“, **ауафы** „კაცი, ადამიანი“, **апш** < **акапш** „წითური“, **аеиқәа** „შავი ცხენი“, **аеы** „ცხენი“, **аиқәа** „შავი“, **жәрацәгъа** „სიბერე ცუდი“, **ажәра** „სიბერე“, **ацәга** „ცუდი“.

3) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტები, რომლებიც შედგება ორი არსებითი სახელისაგან და დაკავშირებულია ერთიმეორესთან **и-** კავში-

რით: **აყეიწყყყყყ** „პურ-მარილი“, **აყყ** „პური“, **აყყყყ** „მარილი“, **აყყეიყყ** „სხეული“, **აყყა** „კანი“, **აყყყყ** „ხორცი“.

4) ორკომპონენტიანი კომპოზიტები, რომლებიც შედგება რიცხვითი სახელის ფუძისა და არსებითი სახელისაგან: **ა-ფყ-მაა** „არფა“ **ფნა** „ორი“, **ამაა** „ხელი“.

5) ორკომპონენტიანი კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური ძირისა და ზმნური ძირისაგან. **აყააყყყ** „ანდაზა“, **აყაა** „სიტყვა“, **აყყყ-რა** „გაჭრა“, **ამრაყყყყ** „აღმოსავლეთი“, **ამრა** „მზე“, **აყყყყ** „ადგომა“.

6) სამკომპონენტიანი კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური ფუძეებისაგან: **აყყყყყყყყ** „ობობას ქსელი“, **აყყყ** „ენა“, **აკათა** „ბადე“, **აყყყ** „ქსოვა“, **ლაყყყყყყყყ** „უბედური“. **აყაყყ** „შუბლი“, **ა-წყა-რა** „დაწერა“, **აყყყყ** „ცუდი“.

7) ოთხკომპონენტიანი კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური ფუძეებისაგან. **ამყყყყყყყ** „იდაყვი“, **ა-მა-ყყ** || **ა-წყა-ყყ** „ხელი“, **ა-ყყყ-ყყ** „ფეხი“, **აყაა** „მოღუნული“, **ა-წყა-რა** „გამოდრომა“, **აყყყყყყყ** „საოფლე, თოქალთო“, **აყყ** „ცხენი“, **ა-ყყყ** „ნაბადი“, **ყა** „ქვეშ“, **ა-წყა-რყა-რა** „ქვეშ დაგება“.

კომპოზიციის (თხზვის) დროს ზოგადობის **ა-** პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ ახალი, რთული სიტყვის (კომპოზიტის) პირველ რთულ წევრ ფუძეს.

**აფიქსაცია** ავხაზურში პროდუქტიულია. აფიქსთა ერთი ნაწილის მნიშვნელობა გამჭვირვალეა, ისინი პრაქტიკულად ნახევარაფიქსებს წარმოადგენენ, ზოგი აფიქსის წარმომავლობა კი საგანგებოდაა საკვლევი:

ა) განყენებულ ცნებათა (აბსტრაქტული სახელების) მაწარმოებელი **-რა** სუფიქსი: **აყაწყა-რა** „ვაჟყაცობა“, **აყყყყ** „აფხაზობა“

ბ) პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი **-ფყ** სუფიქსი, რომელიც ადამიანის აღმნიშვნელ ძირს ემთხვევა: **არწყა-ფყ** „მასწავლებელი“, **აყაფყ** „მოსწავლე“, **აყყა-ფყ** „მოცურავე“...

გ) თვისების, ჩვევის, მანერის ან ხერხის აღმნიშვნელი **-ყყყ** სუფიქსი: **აყაფყ-ყყყ** „ადამიანობა“, **აკაყ-ყყყ** „თვისება, ხასიათი“, **აყყა-ყყყ** „ცურვის ხერხი“...

დ) სამოქმედო საგნის ან დანიშნულების **-ტა** სუფიქსი, რომელიც ემთხვევა **ა-ტა** „საკუთრება“ სიტყვის ძირს: **აყყყ-ტა** „სამუშაო, გასაკეთებელი რამ“, **აყა-ტა** „საჭმელი“, **აყაყა-ტა** „სათარგმნი“

ე) მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი **-გა** სუფიქსი: **აყყყ-გა** „სასროლი (იარაღი)“, **აყყ-გა** „ბარი“, **არწყა-გა** „სახელმძღვანელო“

ვ) კნინობით-ალერსობითი სახელების -**ჯა** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება **აჯა** „ბებერი, ძველი“ სიტყვის ფუძეს: **атакәа-жа** „დედაბერი“, **алыга-жа** „ბერიკაცი“, **агаза-жа** „ბრიყვი, სულელი“

ზ) ფამილარული მიმართვის -**хит** სუფიქსი, რომელიც მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის: **манча-хит** „ჩემო მანჩა“

თ) ნაშიერთა ან მცირე ზომის საგანთა მაწარმოებელი (დომინუტივის) -**с** სუფიქსი: **асы-с** „ბატკანი“, **азы-с** „თიკანი“, **ахәы-с** „ხბო“

ი) ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი -**к** სუფიქსი, რომელიც განუსაზღვრელობასაც გამოხატავს: **ҕы-к** „ერთი ცხენი“, **шәкәы-к** „ერთი წიგნი“ **хах-к** „ერთი ქვა“

კ) ერთეულის ცალის აღმნიშვნელი -**ц** სუფიქსი: **ахапы-ц** „ცალი კბილი“, **аһы-ц** „ცალი ფოთოლი“, **ашхы-ц** „ერთი ფუტკარი“.

ლ) სიმცირის აღმნიშვნელი -**ба** სუფიქსი, რომელიც სიმცირისავე აღმნიშვნელ -**с** || > **з** სუფიქსს მოსდევს: **ала-с-ба** „ლეკვი“, **арһы-з-ба** „ჭაბუკი“, **аһхәы-с** „ქალიშვილი“...

მ) ეთნონიმთა, ტომის სახელთა ან სადაურობის მაწარმოებელი -**оа**, სუფიქსი, რომელიც ემთხვევა ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელ -**оа** ძირს: **аһсы-уа** „აფხაზი“, **акырт-уа** „ქართველი“, **агыр-уа** „მეგრელი“...

ნ) გვარსახელთა მაწარმოებლად თავდაპირველად **а-һа** „ვაჟი, ძე“ სიტყვის კუთვნილების პრეფიქსიანი **и-һа** „მისი (მკ.) ძე“ ფორმა დაერთვოდა ძირითად სახელს. ეს წარმოება რამდენიმე გვარსახელს დღესაც აქვს: **Инал-иһа** „ინალის ძე“, **Дадал-иһа** „დადალის ძე“. შემდგომში **иһа** ელემენტი შეერწყა წინამავალ საკუთარ სახელებს, დაიკარგა კუთვნილების **и**- პრეფიქსი, ხოლო **һ**- თანხმოვანი გამჟღერდა. ამ გზით მივიღეთ -**ба** სუფიქსი, რომელიც აფხაზურ გვარსახელთა უმრავლესობას აწარმოებს. **Кыс-ба**, **Цәыц-ба**, **Шынкә-ба**... თუ -**ба** სუფიქსიან გვარს მოსდევს ამ გვარის მამაკაცის სახელი, მაშინ -**ба** სუფიქსი უჩინარდება:

ქალის აღნიშვნისას -**ба** სუფიქსის ნაცვლად -**һа** „ასული“ ფუძე ემატება გვარსახელის ძირითად ნაწილს: **Кәасы-һа**, **Цәыц-һа**...

აფხაზური წარმოშობის რამდენიმე გვარს აწარმოებს კრებითობის -**аа** სუფიქსიც: **Ашәац-аа**, **Бармыш-аа**, **Абгац-аа**... სხვა შემთხვევაში ორი **а** ხმოვნით გადმოიცემა ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში -**ва** დაბოლოებით გვხვდება: **Читанаа** < ჭითანავა, **Сичинаа** < სიჭინავა...

ო) ადგილის აღმნიშვნელი -**та** სუფიქსი: **агә-та** „შუა ადგილი, შუაგული“, **агәар-та** „ქართა, საქონლის სადგომი“, **Бзыһ-та** „ბზიფის ხეობა“.

პ) ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე რთული -**р-та**, -**с-та**, **т-ра** სუფიქსები: **аус-урта** „სამუშაო ადგილი“, **ацәарта** „საწოლი“ **аһхә-рта** „სამკითხველო“



ჟ) ტოპონიმთა მაწარმოებელი **-рыпш** სუფიქსი, რომლის **-р** თანხმოვანი შესაძლოა კუთვნილების პრეფიქსი იყოს, ხოლო **-пш** ელემენტის წარმოშობა გაურკვეველია: **Дә-рыпш** „დურიფში“, **Цанд-рыпш** „ცანდრიფში“... ტოპონიმებს აწარმოებს აგრეთვე რთული **-р-хәа** „მათი გორა, მათი ბორცვი“ ნახევარსუფიქსი: **Цы-рхәа** „ჯირხვა“, **Блабы-рхәа** „ბლაბურხვა“... ორიოდე ტოპონიმში დასტურდება აგრეთვე **-ын||-н** სუფიქსი: **Апс-ны** „აფხაზეთი“, **Агыр-ны** „სამეგრელო“, **Бзып-ын** „ბზიფის აფხაზეთი“.

რ) ნაშრომის, ნაკეთობის აღმნიშვნელი **-мта** სუფიქსი: **афы-мта** „ნაწერი, თხზულება“, **аусу-мта** „ნაშრომი“, **акаца-мта** „ნაკეთობა“

ს) მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-н** ნახევარსუფიქსი: **арна-н** „მამალი“, **акәта-н** „კვერცი“ სიტყვაშიც.

ტ) სნეულების აღმნიშვნელი **-хь** ნახევარსუფიქსი, რომელიც **ахьаа** „ტკივილი“ სიტყვის ძირს უკავშირდება: **ахы-хь** „თავის ტკივილი, შაკიკი“, **амгәа-хьаа** „მუცლის ტკივილი“, **агәы-хь** „გულის ტკივილი“

უ) ვაზის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი **-жь**, რომელიც **ажь** „ყურძენი“ სიტყვას უკავშირდება, **ахәыхәы-жь** „მტრედყურძენა“ **азны-жь** „ზამთრის ყურძენი“, **азы-жь** „წყალყურძენი“.

### ნაცვალსახელი

ნაცვალსახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზურ ენაში. ნაცვალსახელის მეშვეობით გამოიხატება აფხაზურში ე. წ. სახელთა კუთვნილებითი კატეგორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურში არ არის ნათესაობითი ბრუნვა და საერთოდ ბრუნვები. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (ე. ი. კუთვნილება) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი შინაარსის მქონე პრეფიქსებით, ანუ პირის ნაცვალსახელებიდან მომდინარე ფორმანტებით.

### კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

მხ. რ.																
I პ.	<b>сара</b>	–	„მე“	–	<b>с(ы)</b>											
II პ.	<table border="0"> <tr> <td rowspan="2">}</td> <td><b>уара</b></td> <td>–</td> <td>„შენ“ (მკ.)</td> <td>–</td> <td><b>у(ы)</b></td> </tr> <tr> <td><b>бара</b></td> <td>–</td> <td>„შენ“ (ქ.)</td> <td>–</td> <td><b>н(ы)</b></td> </tr> </table>	}	<b>уара</b>	–	„შენ“ (მკ.)	–	<b>у(ы)</b>	<b>бара</b>	–	„შენ“ (ქ.)	–	<b>н(ы)</b>				
			}	<b>уара</b>	–	„შენ“ (მკ.)	–	<b>у(ы)</b>								
<b>бара</b>	–	„შენ“ (ქ.)		–	<b>н(ы)</b>											
III პ.	<b>иара</b>	–	„ის“ (მკ.)	–	<b>и(ы)</b>											



ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოებითი რიცხვის კუთვნილებითი **a-** პრეფიქსი განსხვავდება ნივთთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის **нара** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **на-** ძირისაგან. ეს **a-** პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებითი **p-** ნიშანი, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი **дара** „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურ ელემენტ **д-ს**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **дара** „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „**рара**“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **p-** მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **и-д-рашэит //и-р-рашэит** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად პირველადი უნდა ყოფილიყო არა **дара**, არამედ **рара** (აფხ. ენის გრამატიკა 1968: 34).

ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, რომ III პირის მრავლობითის ნიშანი **д-** უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **p-** იგი ( **д-**) უნდა მომდინარეობდესო **дара** ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945).

ამრიგად, სახელურ სინტაგმაში აფხაზურში ასეთ შემთხვევებში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნელის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ла(ра)||апххэыс лыцкы капшыуп** „მისი ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც (გვანცელაძე 2003: 60).

აფხაზურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში ხშირად გვევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული **а-тэы** „კუთვნილება, საკუთრება“ ან **а-хатэы** „თავისი, პირადი“ ფუძეები, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა დაჩრდილულია.

**са(ра) – стэы** „ჩემი კუთვნილი“

**иа(ра) – итэы** „მისი (მკ.) კუთვნილი“ და ა. შ.

**ха(ра) х-тэы** „ჩვენი კუთვნილი“

**шаа(ра) шэ-тэы** „თქვენი კუთვნილი“

### ჩვენებითი ნაცვალსახელი

ჩვენებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს მოსაუბრესთან ახლოს ან შორს მყოფობას. ჩვენებითი ნაცვალსახელიც შეიძლება შეგვხვდეს სრული ან შემოკლებული სახით:

მოსაუბრესთან ახლოს მყოფი: **აბრი//არი** „ეს“, **აბართ//ართ** „ესენი“.

მოსაუბრესთან მოშორებით მყოფი, ხილული: **აბნი ანი** „ეგ, ის“, **აბანტ ანტ** „ეგენი, ისინი“.

მოსაუბრესთან შორს მყოფი და უკვე ნაცნობი: **ყბრი//ყი** „ის, იგი“, **ყბართ ურტ** „ისინი“.

ჩამოთვლილი ნაცვალსახელები ხშირად ენაცვლება III პირის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელებს. შესიტყვებაში ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია და წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: **აბრი//არი აფნი** „ეს სახლი“, **აბნი//ანი აფნი** „ეგ სახლი“, **ყბრი აფნი** „ის სახლი“, **აბართ//ართ აფიკაა** „ეს სახლები“, **აბანტ//ანტ აფიკაა** „ეგ სახლები“, **ყბართ//ურტ აფიკაა** „ის სახლები“ (გვანცელაძე 2003: 59).

### კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

დამოუკიდებელი კითხვითი ნაცვალსახელი აფხაზურს არ გააჩნია. ამ მნიშვნელობით აფხაზური იყენებს **ნა** ძირს, „**ნ**“-ს რიგის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსებით გაფორმებულს:

**სარბან სარა?** „მე ვინ, რომელი ვარ?“

**ყარბან ყარა?** „შენ (მკ.) ვინ, რომელი ხარ?“

**ბარბან ბარა?** „შენ (ქ.) ვინ, რომელი ხარ?“

**დარბან?** { **იარა?**  
**ლარა?** „ის (ადამ.) ვინ, რომელია?“

**იარბან იარა?** „ის (ნ., არაგ.) რა, რომელია?“

**ხარბან ხარა?** „ჩვენ ვინ, რომელი ვართ?“

**შაარბან შაარა?** „თქვენ ვინ, რომელი ხართ?“

**იარბან დარა?** „ისინი ვინ, რომელი არიან?“

იგივე **-ბა** ძირია კითხვით სიტყვაში **избан?** „რატომ“, „რისთვის“, ეს ძირი ნაწილაკად ჩართვის დროსაც გვხვდება.

კითხვით ნაცვალსახელებში დიფერენცირებულია ადამიანისა და ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიები, **дарбан?** „ვინ?“ (ადამიანი) და **иарбан?** „რა?“ (ნივთი, არაგონ.).

„ვინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება ადამიანის კლასის კითხვითი **-და < дарбан?** „იგი (ადამ.) რომელი, ვინ (არის)?“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

- сара сызус(та)да?** „მე ვინ ვარ?“
- уара узус(та)да?** „შენ (მკ.) ვინ ხარ?“
- бара бзус(та)да?** „შენ (ქ.) ვინ ხარ? და ა. შ.

კითხვით-კუთვნილებითი „ვისი?“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა აფხაზურში გადმოიცემა საკუთრების აღმნიშვნელ **тәы** ძირზე ადამიანის კლასის კითხვითი **-და** სუფიქსის დართვით:

- сыз(тәы)да?** „მე ვისი ვარ?“
- уз(тәы)да?** „შენ (მკ.) ვისი ხარ?“
- быз(тәы)да?** „შენ (ქ.) ვისი ხარ?“ და ა. შ.

„ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელთა მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე დამხმარე **акәзаара** „ყოფნა“ ზმნის კითხვითი კილოს ფორმები:

- сара сзакәы(зе)и?** „მე ვინ, რა ვარ?“
- уара узакәы(зе)и?** „შენ (მკ.) ვინ, რა ხარ?“
- бара бзакә(зе)и?** „შენ (ქ.) ვინ, რა ხარ?“ და ა. შ.

### განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: **а-хата** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით:

- с-хата** „მე თვითონ“
- у-хата** „შენ (მკ.) თვითონ“
- б-хата** „შენ (ქ.) თვითონ“ და ა. შ.

**дасу/доусы** „ყოველი“, **рызагы** „ყველა“, **иззыгы** „ყველა“, **аеа /даеа** „სხვა“, **егы** „სხვა, მეორე“...

### განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: **акы** „რადაც, რამე“ (არაგონიერთა კლასის რიცხვით სახელისაგან „ერთი“ მომდინარე), **азы** „ვიდაც, ვინმე (გონიერთა კლასის „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან მომდინარე), **акыр** „რამე; რამდენიმე“, **зыр** „ვინმე, ვიდაც, **пытык** „რამდენიმე“ (არაგ.) **пытык** „რამდენიმე“ (აღამ.), **поуку/ шыоуку** „ზოგი, ვინმე“ (გვანცელაძე 2003: 61-63).

### ზედსართავი სახელი

აფხაზურ ენაში ზედსართავი სახელი მეტყველების ნაწილთა შორის გამოყოფილია როგორც სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელის დამახასიათებელი ნიშნებიც აქვს. ესენია ზოგადობის პრეფიქსი **а-**, განუსაზღვრელობის **-к** სუფიქსი, მრავლობითობის **-кәа** სუფიქსი, გარდაქცევითობის **с** სუფიქსი...

მაგ.: <b>а-капш</b>	„წითელი“ (ზოგადი ფორმა)
<b>капшы-к</b>	„რომელიღაც წითელი (განუსაზღვრელი ფორმა)
<b>капш-кәа</b>	„წითლები“
<b>капшы-с</b>	„წითლ(ად)“...

ზედსართავი სახელი არის ვითარებითი და მიმართებითი. ატრიბუტულ სინტაგმაში ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: **асы шкәакәа** „თოვლი თეთრი“, **аеы дыу...** „ცხენი დიდი“ და სხვ.

მრავლობით რიცხვში ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიაში მრავლობითობის **-кәа** სუფიქსით ფორმდება მსაზღვრელი: **аеы дыу** „დიდი ცხენი“, **аеы дукәа** „დიდი ცხენები“.

ადამიანის კლასში (გონიერთა კატეგორიაში) კი ადგილი აქვს სხვაობას: ადამიანთა კატეგორიის სახელს მრავლობითში ექნება თავისი **-цаа** სუფიქსი, ან რომელიმე სხვა სუფიქსი, მაგ.: კრებითობის **-ра, -аа...** ხოლო ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს, რომელიც აგრეთვე მოსდევს საზღვრულს, თავისი, ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიის **-кәа** სუფიქსი: **ахацаа дыукәа** „დიდი კაცები“, ზედმიწ.: „კაცები დიდები“... **афынцаа бзиақәа** „ამხანაგები კარგები“ **ачкәынцаа хәычкәа** „ბიჭები პატარები“...

### ვითარებითი ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

ვითარებით ზედსართავ სახელთა შედარებითი ხარისხის ფორმა იწარმოება აღწერით **-аиха** „მეტად“, **ацкыыс** „უფრო, ვიდრე“ დამოუკიდებელ სიტყვათა კუთვნილებითი ფორმის დამატებით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სტატიკური ზმნის დაბოლოებას იღებს **уи ахаца еиха дууп** „ის კაცი უფრო დიდია“, **ари чкэын иарá ицкыыс бзиоуп** „ეს ბიჭი იმაზე უფრო კარგია“...

ვითარებით ზედსართავ სახელთა აღმატებითი ხარისხის ფორმა იწარმოება ინტენსივობის **-за, -зза** სუფიქსებით: **аду** „დიდი“, **иду-зза** „უდიდესი“...

აღმატებითი ხარისხი აღწერითადაც გამოიხატება, ამისათვის გამოყენებულია **даара-за** „ძალიან“, **кырза** „ბევრად“ სიტყვები, რომლებიც დაერთვის სტატიკური ზმნის ფორმის მქონე ვითარებით ზედსართავს: **даара ипшзо-уп** „ძალზე მშვენიერია“ **кырза бзио-уп** „ძალიან კარგია“.

თვისების ინტენსიურობის გამომხატველია აგრეთვე ვითარებით ზედსართავ სახელებს დართული ხმაბაძვითი, ფუძეგაორკეცებული სიტყვა-სუფიქსები: **-кэакэара, -цэацэара, -хахара, -шьшьыра...**, რომლებიც შესაძლოა **-за** სუფიქსითაც იყოს წარმოდგენილი: **ипшза-кэакэара** „ძალიან ლამაზი“, **икапш-какара-за** „ძალზე წითელი“...

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობით ხარისხს აწარმოებს **цэы-პრეფიქსი. а-цэы-капш** „მოწითალო“, **а-цэы-хэа** „მონაცრისფრო“...

მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული სუბსტანტიური სინტაგმაა.

მიმართებითი ზედსართავები ავხაზურში სხვა სახელთა ფუძისგანაც შეიძლება იყოს ნაწარმოები. კუთვნილებითობის **-тэы** სუფიქსით, რომელიც **а-тэы** „საკუთრება“ სიტყვიდან მომდინარეობს: **ахахэ-тэы аоны** „ქვის სახლი“, **амфытэи гэара** „ხის ღობე“, **тагалантэи быңь** „შემოდგომის ფოთოლი“...

### რიცხვითი სახელი

ავხაზურში რიცხვითი სახელი არის რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი, მიახლოებითი, ჯერობის, ჯუფთობის...

რაოდენობითი რიცხვითი სახელი განასხვავებს კლას-კატეგორიას. ნივთის (არაგონიერთა) კლასის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს, ორიდან მოყოლებული, ერთვის **-ნა** ან მისგან მომდინარე **-ნა** სუფიქსი, ადამიანის კლასში კი **ნა**-ს ნაცვლად გვაქვს **-ფი**, სამიდან მოყოლებული, რომელიც **ააფი** „ადამიანი“ სიტყვიდან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს. ამასთან ზოგადობის **ა**- პრეფიქსი რიცხვით სახელს ჩამოშორდება. **-ფი** სუფიქსს შესაძლოა **-კ** განუსაზღვრელობის აფიქსიც დაერთოს **ა-ფი(კ)** „სამი რომელიღაც ადამიანი“...და სხვ.

არაგონიერი, ნივთი	გონიერი, ადამიანი
<b>აკы</b> „ერთი“	<b>აჟы</b>
<b>ფ-ნა</b> „ორი“	<b>ფი-ნა (-კ)</b>
<b>ა-ნა</b> „სამი“	<b>ა-ფი (-კ)</b>
<b>ნшы-ნა</b> „ოთხი“	<b>ნшы-ფი (-კ)</b>
<b>ა-ნა</b> „ხუთი“	<b>ა-ფი (-კ)</b>
<b>ფ-ნა</b> „ექვსი“	<b>ფ-ფი (-კ)</b>
<b>ნж-ნა</b> „შვიდი“	<b>ნж-ფი (-კ)</b>
<b>აა-ნა</b> „რვა“	<b>აა-ფი (-კ)</b>
<b>ა-ნა</b> „ცხრა“	<b>ა-ფი (-კ)</b>
<b>აა-ნა</b> „ათი“	<b>აა-ფი (-კ)</b>

განსხვავებას ქმნის: „ერთი“ რიცხვითი სახელი არაგონიერთა კლასში **-აკы**, ადამიანთა კლასში **აჟы**.

„ორი“ არაგონიერთა კლასში **ფ-ნა**, ადამიანთა კლასში **ფი-ნა**; რიცხვი ორსავე შემთხვევაში არის **ფ** „ორი“, **-ნა** არაგონიერთა (ნივთის), ხოლო **-ნა** ადამიანთა კლასის ნიშანია.

**ა-ნა** **ნ** მიღებულია **ნა**-საგან **ნ**-ს **ნ**-დ დაყრუების შედეგად **ა**-ს მომდევნო პოზიციაში.

თერთმეტიდან მოყოლებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები იხმარება ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიის **-ნა** სუფიქსის გარეშე, ადამიანის (გონიერთა) კლასისათვის კი **-ფი** შენარჩუნებულია.

თერთმეტიდან რიცხვითი სახელი მიიღება ასე: **აა** „ათი“, რომელსაც ერთვის ან კავშირით **-ი**, ან უკავშიროდ ერთეულისავე (ათამდე) რიცხვითი სახელის ძირი **-ნა**-ს გარეშე.

არაგონიერთა ნივთთა კლასი

გონიერთა, ადამიანის კლასი

**აა-на** > **აаи** „თერთმეტი“

**აа-на-фи(-к)**



<b>ჯაა-აა</b>	„თორმეტი“	<b>ჯაა-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯაა-აა</b>	„ცამეტი“	<b>ჯაა-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯა-ი-აა</b>	„თოთხმეტი“	<b>ჯა-ი-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯა-ი-აა</b>	„თხუთმეტი“	<b>ჯა-ი-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯაა-აა</b>	„თექვსმეტი“	<b>ჯაა-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯა-ი-აა</b>	„ჩვიდმეტი“	<b>ჯა-ი-აა-აა(-კ)</b>
<b>ჯა-აა</b>	„თვრამეტი“	<b>ჯა-აა-აა (-კ)</b>
<b>აა-ი-აა</b>	„ცხრამეტი“	<b>აა-ი-აა-აა(-კ)</b>

ოცის შემდგომ „ოცდაცხრამეტი“ ჩათვლით რიცხვითი სახელები იწარმოება შემდეგნაირად: „ოცის“ აღმნიშვნელ **ააჯაა** ფუძეს ემატება რიცხვითი სახელები „ერთიდან“ „ცხრამეტამდე“. შუაში ჩაერთვის **ი** კავშირი, რომელიც იწვევს **აი > აი** ცვლილებას ნაწილობრივი ასიმილაციით და მიიღება:

**არაგონიერთა, ნივთთა კლასი**

<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაერთი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაორი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდასამი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაოთხი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდახუთი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდექვსი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაშვიდი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდარვა“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაცხრა“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაათი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდათერთმეტი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდათორმეტი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაცამეტი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდათოთხმეტი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდათხუთმეტი“ და ა. შ.

**გონიერთა, ადამიანის კლასი**

<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაერთი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაორი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდასამი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდაოთხი“
<b>ააჯა(ა)ი ააი</b>	„ოცდახუთი“

ოცეულთა სახელების წარმოება შემდეგნაირია: „ორმოცს“ აღნიშნავს **აა-ი-ააჯაა** რიცხვითი სახელი (არაგონიერთა, ნივთთა კლასი) ან

**ფი-ნ-ფაჟა-ფი(კ)** (გონიერთა, ადამიანთა კლასი), „სამოცს“ აღნიშნავს **ხი-ნ-ფაჟა**, „ოთხმოცს“ **ჟში-ნ-ფაჟა...** და ა. შ. ანუ სიტყვასიტყვით: „ორჯერ ოცი“, „ოთხჯერ ოცი“ და სხვ. **-ნ** თანხმოვანი აღნიშნავს ჯერობას.

ასეულებს აფხაზურში ასეთი წარმოება აქვს: **შაკი** „100“ **შაკიაკი** „ას ერთი“, **ფიშა** „ორასი“, **ხიშა** „სამასი“, **ჟაშა** „ცხრაასი“ და მისთ.

**ზიყი** „ათასი“, **ზიყიფი(კ)** „ათასი ადამიანი“ (გონიერთა, ადამიანთა კლასი)

ათასეულებს შორის თვლა ისევე გრძელდება, როგორც ასეულებს შორის.

**რიგობითი** რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე **ა-** პრეფიქსის და დანიშნულების **-თი** სუფიქსის დართვით მიიღება. **ა-ფა-თი** „მეორე“, **ა-ჟა-თი** „მესამე“ და ა.შ.

რიგობით რიცხვით სახელებში გამოიყენება **-ფა** სუფიქსიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

პირველისათვის გამოიყენება **აჟა** „წინ, წინა“ ზმნიზედა, რომელსაც დანიშნულების **-თი** სუფიქსი დაერთვის: **აჟა-თი** „პირველი“, ან **ჟ-აჟა-თი** „მათგან უპირველესი“, სადაც **ჟ-** III პირის მრავლობითობის ნიშანია. ზედმიწევნით: „მათგან უპირველესი“...

**წილობითი** რიცხვითი სახელი აღწერთად გადმოიცემა: **ფიშაშანი ხაჟა** „ერთი მეორედი“, ზედმიწევნით: „ორგან გაყოფილი ერთი ნაწილი“ და სხვ.

თუ წილადის მრიცხველი „ერთია“, მაშინ მნიშვნელის როლში მყოფ რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის **ჟ-აკ** „მათგან ერთი, ერთი მათგანი“ **ჟა-ჟ-აკ** „ერთი მესამედი“, **ჟაჟა-ჟ-აკ** „ერთი მეოთხედი“... „ნახევარს“ აღნიშნავს სიტყვა **აჟა: აჟა აჟა** „ვამლის ნახევარი“.

**კრებითი** რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით სახელზე **ა-** პრეფიქსის დართვით **ა-ხა** „ხუთივე“, **ა-ჟაა** „ათივე“. ასევე **ა-** პრეფიქსისა და **-გი** „ც“ ნაწილაკის დართვით: **ა-ხა-გი** „ხუთივე“, **ა-ჟაა-გი** „ათივე“...

**მიახლოებითი** რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობით რიცხვით სახელზე **აკა** „ტოლი, ოდენი“ სიტყვისაგან მომდინარე **-კა** სუფიქსის დართვით: **ა-კა** „ორიოდე რამ“, **ფიშა-კა** „ორიოდე ვინმე“; ან ჩამოთვლით: **ა-ჟა** „ორი-სამი რამე“, **ფიშა-ჟა** „ორი-სამი ვინმე“.

**ჯერობის** რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე რთული **-ნ-თ** სუფიქსის დართვით იწარმოება, რომელშიც **-ნ** ჯერობის

სუფიქსია, **-თა** კი დანიშნულების: **ფы-н-та** „ორჯერ“, **хы-н-та** „სამჯერ“ და ა. შ.

„ერთი“ რიცხვითი სახელისაგან ჯერობის რიცხვითის მისაღებად **за** „ერთი რიცხვითი სახელის 3 ელემენტს ერთვის **-ны-к** სუფიქსები და ვიღებთ **з-ны-к** „ერთხელ“ შინაარსს.

**ჯუფთობის** სახელები იწარმოება ფუძის გაორკეცებით: **ак-ака** „თითო-თითო რამე“, **о́на-о́на** „ორ-ორი რამ“, **фыца-фыца** „ორ-ორი ვინ-მე“, **акакала** „თითო-თითოდ“ (არაგონ, ნივთის შესახებ) **азаазаала** „თითო-თითოდ“ (გონიერის, ადამიანის შესახებ) **-ала** სუფიქსი, სავარაუდოდ, ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი უნდა იყოს.

## ზ მ ნ ა

აფხაზური ზმნა მორფოლოგიურ კატეგორიათა სიუხვით გამოირჩევა. ამ ენას არ გააჩნია ბრუნების სისტემა, ამიტომ ის, რაც სხვა ენებში სახელის ბრუნვათა მეშვეობით აისახება, აფხაზურში ზმნის საშუალებით გადმოიცემა.

### მასდარი

მასდარი აფხაზურში ზმნის საწყისი ფორმაა, რომელსაც **a-** თავსართი და **-pa** ბოლოსართი აწარმოებს.

ერთმანეთისაგან განსხვავდება დინამიკური და სტატიკური ზმნის მასდარი.

დინამიკური ზმნის მასდარი ზემოთ აღნიშნული **a-** პრეფიქსისა და **-pa** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება **a-каца-ра** „კეთება“, **a-та-ра** „მიცემა“, **a-п-ар-а** „სწავლა“...

სტატიკური ზმნის მასდარს დაერთვის **-заа** ე. წ. მდგომარეობის ხანგრძლივობის, დიურატიულობის აღმნიშვნელი სუფიქსი.

**a-ма-заа-ра** „ქონა, ყოლა“, **a-ка-заа-ра** „ყოფნა-არსებობა“.

ზოგჯერ მასდარი წარმოდგენილია ზოგადობის **a-** პრეფიქსის გარეშე და ასრულებს მიზნის გარემოების როლს. მაგ.: **хызырацара дцеит** „სახელის მოსახვეჭად წავიდა“ (გვანცელაძე 2003: 64).

### სტატიკურობა-დინამიკურობა

ზმნები აფხაზურში ორ რიგად იყოფა: სტატიკური და დინამიკური.

სტატიკურობა-დინამიკურობას აფხაზური ზმნის უღლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

### სტატიკური ზმნები

სტატიკურ ზმნებს თავისებური ფუძე აქვთ და ისინი დროთა წარმოების მიხედვით ძალზე შეზღუდულია, აქვთ აწმყო დრო -**п** სუფიქსით ნაწარმოები და ნამყო განუსაზღვრელი დრო -**н** სუფიქსით ნაწარმოები.

სტატიკური ზმნის ფუძედ შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი და ზედსართავი სახელის ფუძე (**а**-პრეფიქსჩამოშორებული და დრო-კილოთა, პირ-კლასისა და სხვა კატეგორიათა ნიშნებდართული: **сара сызныуп>сызныуп** „მე კარგი ვარ“, **сара сыдыуп** „მე დიდი ვარ“.

-**заа** სუფიქსიანი მასდარისაგან სტატიკური ზმნის წარმოებისას ეს სუფიქსი ძირს ჩამოსცილდება: **а-ка-заа-ра** „ყოფნა, არსებობა“, **сы-ко-уп** „მე ვარ“, **а-ма-заа-ра** „ქონა, ყოლა“, **исы-мо-уп** „ის მე მაქვს, მყავს“.

ზოგჯერ სტატიკური ზმნა დინამიკური ზმნის ფუძისაგანაც იწარმოება, მას შედეგობითი შინაარსი ექნება:

**и-ка-с-цо-ит** „მე რაღაცას ვაკეთებ“.

**и-ка-по-уп** „იგი გაკეთებულია“.

ამგვარი წარმოებისას დინამიკური გარდამავალი ზმნა სტატიკურ გარდაუვლად იქცევა. სტატიკური ზმნა ყოველთვის გარდაუვალია.

ზოგი ზმნური ფუძე დინამიკურ და სტატიკურ ზმნას ერთდროულად აწარმოებს. მაგ.: **а-тәа-ра** „ჯდომა“, **а-гыла-ра** „დგომა“, **а-цәа-ра** „დაძინება“, **сытәоуп** „ვზივარ“, **сытәоит** „ვჯდები“, **дцәоуп** „სძინავს მას“, **дцәоит** „იძინებს იგი“...

### დინამიკური ზმნები

დინამიკური ზმნები იწარმოება საკუთრივ დინამიკურ ზმნათა ფუძეებიდან: **а-на-ра** „ხედვა“, **а-ца-ра** „წასვლა“, **а-ныл-ра** „წვა“...

გარდა ამისა ნასახელარი სტატიკური ზმნური ფუძეებისაგანაც:

ა) ნასახელარ სტატიკურ ზმნას ერთვის გარდაქცევითობის მადინამიკურებელი -**ха** სუფიქსი:

**а-кәыш** „ჭკვიანი“, სტატიკური: **д-ы-кәышуп** „იგი ჭკვიანია“, დინამიკური **д-ы-кәыш-хе-ит** „იგი დაჭკვიანდა“.

ბ) გარდამავალი ნასახელარი დინამიკური ზმნის მისაღებად გამოიყენება **а-тәы** „მონა, საკუთრება“ სიტყვისაგან მომდინარე -**тәы** აფიქსი, რომლის წინ ფუძეში ჩნდება სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები: **аңза** „ცოცხალი“ – სტატ. **и-ңзы-уп** „იგი (არაგ.) ცოცხალია“, დინამიკ. **и-ңза-с-тә-ит** „მე იგი (არაგ.) გავაცოცხლე“.

გ) დინამიკური ზმნის საწარმოებლად გამოიყენება **p-** კაუზატივის პრეფიქსი: **а-иаша** „მართალი“, – სტატ. **и-ашо-уп** „იგი (არაგ.). მართალი“, – დინამიკ. **исы-р-иаше-ит** „მე იგი (არაგ.) გავამართლე“.

დ) გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ერთი ჯგუფი იყენებს გასადინამიკურებლად დამოუკიდებელ სახელთა ფუძეებისაგან მომდინარე ფუძე-წინდებულებზე დართულ ძირ-სუფიქსებს: **-па, -х, -ла, -п...** **а-кә-па-ра** „რამეზე დადება“, **акәы-х-ра** „ზედაპირიდან აღება“, **а-кә-ла-ра** „რამეზე ასვლა“, **а-кәы-п-ра** „რაიმედან გამოსვლა“.

**-па, -х** სუფიქსები გარდამავალ, ხოლო **-ла, -п** სუფიქსები გარდაუვალ ზმნებს ახასიათებს.

### პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორია აფხაზურში

#### გარდამავლობა, ინვერსია

ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ძირითადად **ქ. ლომთათიძის** დებულებებს ემყარება:

აფხაზური ენის ზმნას პიროვან-კლასოვანი უღვლილება ახასიათებს, რაც კლასოვანი უღვლილების განვითარების შედეგია (ჩიქობავა 1953: 51-63; 131, 181).

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აფხაზურშიც ზმნა პოლიპერსონალურია; იგი ასახავს სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირს. თუ ქართველურ ენებში ზმნას შეუძლია მხოლოდ ორი პირის და მესამის რიცხვის (ძვ. ქართულში) მორფოლოგიური ნიშნის შეგუება, აფხაზურ ზმნას ერთსა და იმავე დროს სამი და მეტი მორფოლოგიური პირის აფიქსის ასახვა ძალუძს.

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები აფხაზურ ზმნაში პრეფიქსებია. ერთადერთი გამონაკლისია ნივთთა კლასის მრავლობითობის **-кәа** სუფიქსის გამოვლენა ზმნაში, გარკვეულ შემთხვევებში.

აფხაზური ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ადამიანისა და ნივთთა კლასის კატეგორია.

გრამატიკულ კლასებს ზმნა განარჩევს მხოლოდითი რიცხვის II და III პირში; მხოლოდითი რიცხვის II პირში ზმნა ასხვავებს მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებს: მკ. ქვეკლასის ნიშანია **y-**, ხოლო ქ. ქვეკლასის ნიშანი არის **н-; y-цонт** „შენ (მკ.) მიდიხარ“, **н-цонт** „შენ (ქ.) მიდიხარ“...

მხოლოდითი რიცხვის III პირში ზმნა განარჩევს ადამიანთა კლასს (მკ.-ისა და ქ.-ისას ერთად), მკ.-ის ქვეკლასს, ქ.-ის ქვეკლასს, ნივთთა კლასს. ადამიანთა (გაუდიფერენცირებლად) კლასის ფორმანტია **д-**,

მკ.-ის ქვეკლასს აღნიშნავს პრეფიქსი **ი-**, ქ.-ის ქვეკლასს კი **ი-**; ნივთის კლასის მაჩვენებლობა **ი-**, **ა-**, **ია-** პრეფიქსები...

აღნიშნული აფიქსები კლასის ჩვენების გარდა, გამოხატავენ აგრეთვე, სუბიექტისა და ობიექტების პირსა და რიცხვს.

აფხაზურში გამოყოფენ პირისა და კლასის ნიშანთა ორ წყებას:

პირის ნიშანთა ის წყება, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასებსა (ცალ-ცალკე) და ნივთთა კლასს, პირობითად წოდებულია „ი“-ს რიგად (ქ.-ის ქვეკლასის აფიქსის **ი-**-ს მიხედვით), ხოლო მეორე რიგი აფიქსებისა, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ის (გაუდიფერენცირებლად) კლასს, ადამიანს (პიროვნებას) და ნივთს (საგანს) სახელდებულია „ა“-ს რიგად. ადამიანის (გონიერის) კლასის აფიქს „ა“-ს მიხედვით (ლომთათიძე 1942: 389-392; დირი 1907: 76, 77; ლომთათიძე 1967; ამიჭბა 1984; შაყრილი 1961; აფხაზური ენის გრამატიკა 1968).

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშანთა სქემა:

„ი“		„ა“		
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
Iპ.	<b>ი-/ი-</b>	<b>ი(ა)-/ია</b>	<b>ი-</b>	<b>ი(ა)-</b>
IIპ.	<b>ი-</b> (მკ. კ.) <b>ი-</b> (ქ. კ.)	<b>ია-</b>	<b>ი-</b> (მკ. კ.) <b>ი-</b> (ქ. კ.)	<b>ია-</b>
IIIპ.	<b>ი-</b> (მკ. კ.) <b>ი-</b> (ქ. კ.) <b>ია-/ია-</b> (არაგონ. კ.)	<b>ი-/ი-</b>	<b>ი-</b> (ადამ. კ.) <b>ია-</b> (არაგონ. კ.)	<b>ი-</b>

იმისდა მიხედვით, თუ რომელი პირის ნიშანი დგას ზმნის ძირის წინ და რომელი იცვლება პირისა და კლასის მიხედვით, სუბიექტისა თუ ობიექტისა, პირის ნიშანთა წყობა იქნება სუბიექტური ან ობიექტური.

წყობა სუბიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ რეალური და გრამატიკული სუბიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. სუბიექტური წყობა გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

წყობა ობიექტურია, თუ ზმნის ფუძის წინ ობიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. ობიექტური წყობა გარდაუვალ და ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს.

აფხაზური ზმნის ფორმებში გამოჰყოფენ ე. წ. მიმართებით ნაცვალსახელებს, მიმართებით პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები განარჩევს „ა“-სა და „ი“-ს რიგს; იხმარება მიმდებარე წარმოებაში პირ-კლასის

აფიქსთა ნაცვლად: „**д**“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად იხმარება **и**- სამიმართებო პრეფიქსი, „**п**“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად **з**- სამიმართებო პრეფიქსი: **и-п-шо** „რასაც ხედავს“, **и-ка-з-по** „ვინც აკეთებს“...

პირის ნიშანთაგან განსხვავებით, **и**- და **з**- პრეფიქსები პირს, კლასსა და რიცხვს არ განარჩევს... სახელური მრავლობითობის ნიშანი ამ წარმოებებშიც დაერთვის ზმნას და რიცხვს გამოხატავს. ასეთივე წარმოება დადასტურებულია ადიღურშიც. ეს ფორმები სიტყვა-წინადადებებს წარმოადგენენ მიმღეობის ფუნქციით (ლომთათიძე 1942).

აფხაზურში არ არის ქართველურ ენათა მსგავსი პირის ნიშანთა დიფერენციაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებად, მაგრამ ჩანასახის სახით ასეთი დაპირისპირება მაინც გვაქვს: (შდრ. **на**- პრეფიქსი, რომელიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

პირისა და კლასის ნიშნები აფხაზურში სუბიექტის აღსანიშნავადც გამოიყენება და ობიექტის აღსანიშნავადაც.

მათი სხვადასხვა როლში გამოსვლა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „**д**“-ს რიგის პირის ნიშნები გამოყენებულია: ა) გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ბ) გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად. ხოლო „**п**“-ს რიგის პირის ნიშნები: ა) გარდამავალ ზმნათა სუბიექტისა, ბ) ირიბი ობიექტისა და გ) გარკვეული ნაწილაკის დართვით ინსტრუმენტალობის გამოსახატავად.

აფხაზურ ზმნას პირ-კლასის ნიშნები თავში მოუდის. მათი ადგილი მკაცრად განსაზღვრულია:

ზმნის მთლიან ფორმაში პირველ ადგილას ყოველთვის „**д**“-ს რიგის აფიქსები გამოდის, მათ მოსდევს „**п**“-ს რიგის აფიქსები.

გარდაუვალ ზმნაში პირველ ადგილას არის სუბიექტის ნიშანი „**д**“-ს რიგისა, II ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „**п**“-ს რიგისა: **д-п-шьталоит** „იგი (გონ.) შენ (ქ.) მოგსდევს“.

გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „**д**“-ს რიგისა, ხოლო II ადგილას სუბიექტის ნიშანი „**п**“-ს რიგისა.

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „**д**“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტის და სუბიექტის ნიშნები „**п**“-ს რიგისა: **и-у-с-тоит** „მე შენ (მკ.) გაძლევ მას (ნ.)“.

ზოგ ზმნას პირის ნიშნების ინვერსიული წყობა ახასიათებს. ინვერსიულია გრძნობა-აღქმის, კუთვნილების გამომხატველი და ზოგი სხვა ზმნა.

ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის პირის ნიშანი აღნიშნავს რეალურ ობიექტს, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნით რეალური სუბიექტია გამოხატული. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია, ისინი სტატიკურიც შეიძლება იყოს და დინამიკურიც. ინვერსიულ ზმნებში გარდამავალ ზმნათა მსგავსად, რეალური სუბიექტი „**ი**“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება, მაგრამ „**ი**“-ს რიგის აფიქსებით სინამდვილეში ირიბი ობიექტია გადმოცემული.

ყველა გარდამავალი ზმნა ზოგ ზმნურ კატეგორიაში (პოტენციალისი, უნებურობა) ინვერსიული, ე. ი. გარდაუვალი ხდება.

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, პირისა და კლასის ნიშნები პრეფიქსებია ორსავე რიცხვში. რთულფუძიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშანი განკვეთს ფუძეს და ძირის წინ აღმოჩნდება: **ი-ka-с-пент** „მე ის გავაკეთე“, **акацара** „კეთება“.

ეს მოვლენა იმდენად სისტემატური ხასიათისაა, რომ აფხაზური ზმნის გარდამავლობის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული.

ნივთის კლასის სუბიექტის პირის ნიშნად გარდამავალ განკვეთილ ზმნებში გვხვდება **на-ფორმანტი: ацма и-ka-на-пент** – „თხამ გააკეთა“... (ლომთათიძე 1942).

სათანადო ფონეტიკურ გარემოში პირისა და რიცხვის ნიშნებს ცვლილება მოსდით:

I სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდობითა და მრავლობითში და II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს: **с-**, **х-**, **шә-** გარდამავალ ზმნაში მყდერი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ მოსდის ასიმილაცია: **с > з**, **х > аа**, **шә > жә**...

როგორც ქ. ლომთათიძემ გაარკვია, პირის ნიშანთა გამჟღერება ხდება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან. აფხაზური ენის დიალექტებში აღნიშნულ მოვლენას (იგულისხმება პირის ნიშანთა გამჟღერება) ადგილი აქვს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებულ ზმნაშიც. აფხაზურში გამჟღერებული პირის ნიშანი ზოგჯერ მაშინაც გვხვდება, როდესაც საამისო პირობა არ არსებობს: **дзымбент < дсымбент** „იგი ვერ (არ) ვნახე“, ეს ფაქტები (უკანასკნელს მკვლევარი დადებით ფორმათა ანალოგიით ხსნის) ქ. ლომთათიძეს ამ მოვლენის (პირის ნიშანთა გამჟღერების) უნიფიკაციის მომასწავლებლად მიაჩნია.

„**ი**“-ს რიგის III პირის მრავლობითობის ნიშანი **р-**, კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ **р-** ფორმანტთან შეხვედრისას განიცდის



დისიმილაციას: **p > d...** ე. ლომთათიძის აზრით, ამ ფონეტიკურ მოვლენას აქვს გარკვეული მორფოლოგიური საფუძველი: – „ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული... კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითობის აფიქსი უნდა ყოფილიყო... შესაძლოა, დისიმილაციის ამ ფაქტით შემოგვენახა პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობა (ლომთათიძე 1945: 91).

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში **-კაა** ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტით: **икаспейт** „მე ის გავაკეთე“, **икаспакәейт** „მე ისინი გავაკეთე“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რ. ჯანაშიამ (ჯანაშია 1964).

**-კაა** სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

ამ შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა **-კაა** სუფიქსით; ე. ი. „**д**“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. შდრ.: ძველი ქართულის ვითარება: **-ენ** სუფიქსით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში **-კაა** სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „**д**“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი **и**- ფორმანტით, როცა მხოლოდობით რიცხვში იმავე რიგში ორი: **д**- და **и**- ფორმანტი გვაქვს – ერთი ადამიანისა და მეორე ნივთისათვის.

„**д**“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად **-კაა** სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ დამახასიათებელი, მეორეული მოვლენაა (ჯანაშია 1964: 247-251).

აფხაზური ზმნისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევები (განპირობებული სხვადასხვა მიზეზებით), როდესაც ზმნაში სუბიექტისა ან რომელიმე ობიექტის პირი არ აისახება:

სუბიექტის პირი არ ჩანს გარდამავალ ზმნაში:

- ა) აბსოლუტივში,
- ბ) დადებით ბრძანებითში.

ა) აბსოლუტივში ზმნის სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, მომდევნო ზმნის საშუალებით ირკვევა, რომელი პირია მოქმედი: **и-ка-с-цеит** –

„მე გავაკეთე“ – პირიანი ფორმა, **и-капаны с-аант** – „კეთებით მოვედი“ – აბსოლუტივია.

აბსოლუტივში სუბიექტის პირის ნიშნის უქონლობა გარდამავალ ზმნაში ქ. ლომთათიძეს იმ უძველეს მოვლენად მიაჩნია, როდესაც გარდამავალ ზმნაში მხოლოდ პირდაპირი ობიექტის პირი აღინიშნებოდა (ლომთათიძე 1948: 4-13).

... ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალური პრევერბები ირიბ ობიექტს შეიწყობენ კონკრეტული (განსაზღვრული) შინაარსით გამოყენებისას, ხოლო უობიექტოდ წარმოგვიდგებიან, როცა ისინი განზოგადებულად (განუსაზღვრელი შინაარსით) იხმარება: შდრ.: **ашә амаа а-фы-и-жәент** – „კარის სახელური მოჰკლიჯა“, **илимхакәа фы-и-жәент** „ყურები ააგლიჯა“.

შეიძლება ზოგჯერ ირიბი ობიექტის პირის ნიშანი მორფემისეულ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე იყოს გაუჩინარებული; ამის ნიადაგზე წარმოქმნილ რთულ, შერწყმულ მორფემაში იგი უთუოდ დაცვულად უნდა ჩაითვალოს (ლომთათიძე 1982: 60, 61).

პირის ნიშნები აფხაზურში პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს. ეს ფაქტი ჯერ კიდევ უსლარმა აღნიშნა. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება გაზიარებულია (უსლარი 1862: 15).

პირის ნაცვალსახელებში კი თავკიდურა თანხმოვანთა სახით კლას-კატეგორიის ზოგი ფორმანტი შემოგვენახა (ჩიქობავა 1953).

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია უღვლილების კლასოვან-პიროვანი ტიპი. აფხაზურ ენაში პოლიპერსონალური ზმნის წარმოქმნა ხდებოდა კლასოვანი უღვლილების თანდათანობითი მოშლისა და პიროვანი უღვლილების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესში (როგავა 1953: 443).

აფხაზურმა ენამ კლასოვანი უღვლილებიდან კლასოვან-პიროვან უღვლილებაზე გადასასვლელად გამოიყენა პრეფიქსული გზა. „ძ“-ს რიგის აფიქსები „ძ“-ს რიგის აფიქსთა ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს; შემდეგ მოხდა მათი გამოყენება უკვე პირის ნიშნებად (გ. თოფურია 1962: 55).

აფხაზურ ზმნაში მონოპერსონალიზმის დროისაა „ძ“-ს რიგის აფიქსები, რომლებიც ახლა ადამიანის კლასს აღნიშნავს (ანდლულაძე 1968: 149). ისტორიულად „ძ“ აფიქსი ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (როგავა 1954: 9-12; როგავა 1953: 443, 447).

აფხაზურში კლასებად დაყოფას საფუძვლად ედო დაყოფა პიროვნებისა და საგნის კლასებად.

ნივთთა კლასის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლასის აღნიშვნა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელია. აფხაზურში ნივთთა კლასის **ძ-** ნიშანი ადამიანთა კატეგორიის აღსანიშნავადაა გამოყენებული; **ძ-** ნიშნის ნივთთა კლასის ნიშნიდან მომდინარეობას ადასტურებს მისი (**ძ-** ფორმანტის) გამოვლენა III პირის მრავლობითობის ნიშნად კაუზატივის კატეგორიის წარმოებაში (ლომთათიძე 1945). ხოლო საერთო წესის მიხედვით, იბერიულ-კავკასიურ ენებში მრავლობითობის ნიშანი ადამიანთა კატეგორიის ნიშნიდან არ მიიღება, ე. ი. **ძ-** ნივთისა იყო (ანდლულაძე 1968: 151).

ნივთთა კლასიდან **ძ-** ნიშანი ადამიანთა კატეგორიაში გადმოვიდა ჯერ ქალის კლასის აღსანიშნავად და შემდეგ განზოგადდა ადამიანის კატეგორიის ნიშნად.

**ნ-** ნიშანი აფხაზურში უნდა ყოფილიყო ქალის კატეგორიის საერთო ნიშანი პირების გარჩევამდე. ადიდ. **ფ-ხ<sup>0</sup> > ბ-ხ<sup>0</sup>** – „ქალი“, შდრ.: **ხ<sup>0</sup>** – „მამაკაცი“, აფხაზურში ქალის კლასი II პირში გამოიხატება **ნ-** ნიშნით, II პირის მამაკაცის **ყ-** ნიშანი გენეტურად უკავშირდება საერთო იბერიულ-კავკასიურ **“ვ”**- ნიშანს: ხუნძ. **ვუგო** – „ვარ“, ქართვ. **ვარ**. ზან. **ვორექ** – „ვარ“, სვან. **ხვარი** – „ვარ“ (როგავა 1954: 10).

ქ. ლომთათიძის აზრით, აბსოლუტივის კატეგორია წინ უსწრებს დროის კატეგორიას. დროის ჩამოყალიბებასთან ერთად, თავი იჩინა სუბიექტის პირმაც ზმნაში. ამ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდა:

აბსოლუტივი – **д(ы)-на-ны** – „იგი (ად.) ნახვით“...

ნამყო განუსაზღვრელი – **ды-з-на-н** – „მე ვნახე იგი“

ბ) აფხაზური გარდამავალი ზმნის დადებითი ბრძანებითის ფორმაში არ აისახება სუბიექტის პირი:

**и-ка-у-цент** – „შენ (მკ.) გააკეთე ის (ნ.)“

**и-ка-ца!** – „გაკეთე! ის (ნ.)“...

ქ. ლომთათიძე უშვებს, რომ ბრძანებითისა და აბსოლუტივის წარმოების პრინციპს შორის გარკვეული კავშირი უნდა იყოს სუბიექტის გამოუხატველობის მხრივ; ... სუბიექტის პირის გაჩენა გარდამავალ ზმნაში მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად გარდაუვალ ზმნაში გამოიხატებოდა სუბიექტის პირი, გარდამავალში პირდაპირი ობიექტისა, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენებში. ე. ი. აფხაზური გარდამავალი ზმნაც ნეიტრალურია გვართა მიხედვით (ლომთათიძე 1942: 12). შესაძლოა, აფხაზურ ზმნაში გაუჩინარდეს ნივთის კლასის III პირის უახლოესი ობიექტის ნიშანი, თუ ზმნის ფორმას წინ უძღვის ნაცვალსახელი, ან არსებითი სახელი:

**ача (и)-у-с-тоит** „მე შენ (მკ.) პურს გაძლევ“ შებრუნებულ წყობაში უახლოესი (პირდ.) ობიექტის ნიშანი აღდგება: **и-у-с-тоит ача** – „გაძლევ პურს“.

ირიბი ობიექტის ნიშანი შეიძლება არ ახლდეს ზოგ პრევერბიან ზმნას. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შინაარსით არის პრევერბი გამოყენებული ზმნაში: კონკრეტულითა თუ განზოგადებულით.

ვ. კონჯარიას აზრით, პირველად აფხაზურში ...**уара** ნაცვალსახელით აღინიშნებოდა როგორც ქალი, ისე კაცი (**в-** ადამიანს ნიშნავდა საერთოდ) თანდათან ... ფორმანტმა დაიწყო მკ. კლასის II პირის ნიშნის ფუნქციის შესრულება (კონჯარია 1963: 391, 392).

**и**, რომელიც I გრამატიკულ კლასს, ნივთთა კლასს და აქედან მრავლობით რიცხვს გამოხატავს, ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს ისტორიულად და ნივთთა კლასის **р-** დ-ს უნდა უკავშირდებოდეს... საფიქრებელია, ნივთთა კლასის **на> а** უკავშირდებოდეს იმავე **д-ს**. **а-ს** ნივთთა კლასის ფუნქცია **и-ს** დაკარგვის შემდეგ უნდა ჰქონდეს მიღებული, თავდაპირველად იგი კლასის ნიშნის თანმდევი თანხმოვანი უნდა ყოფილიყო (შდრ. **ჭა, და, ლა...**)“ (ანდლულაძე 1968: 151).

აფხაზურისათვის ნავარაუდევია ოთხკლასიანი ამოსავალი სისტემა:

I	<b>в &gt;у ...</b>
II	<b>д &gt;л</b>
III	<b>н(а) &gt;н</b>
IV	<b>д    р    и</b>

პირისა და კლასის ნიშანთა წარმოშობის თაობაზე, როგორც ვხედავთ, ძირითადად, ერთი აზრისანი არიან მკვლევრები: პირისა და კლასის ნიშნები კლასის ნიშანთაგან და პირის ნაცვალსახელთაგან მომდინარეობს.

ტაპანთურში პირისა და კლასის ნიშნები იგივეა, რაც აფხაზურში, აქაც ორი რიგი გამოიყოფა პირისა და კლასის ნიშნებისა (იმავე პრინციპით): „**д**“-ს რიგი, „**л**“-ს რიგი.

გარდამავალ მჟღერი თანხმოვნით დაწყებულ ზმნასთან, აფხაზურის მსგავსად, ტაპანთურშიც I სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდობით და I და II სუბიექტური პირის ნიშნები მრავლობითში მჟღერდება. ტაპანთურში გამჟღერებას იწვევს მკვეთრი თანხმოვნით დაწყებული ერთი **акъабара** – „ბანა“ ზმნაც (ლომთათიძე 1944).

ტაპანთურში დაცულია ის მჟღერი – **ჭ** – სპირანტი, რომლისგანაც მომდინარეობს აფხაზური **х > аа** (I პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში): **иҭа-ჭ-иың** – „მას (ნ.) შიგ ჩავაგდებთ“ (ლომთათიძე 1944: §40).

აფხაზურში III პირის სუბიექტის ნიშნად ნივთთა კლასში (თუ ზმნა გარდამავალი სამპირიანია, ან ორპირიანი რთულფუძიანი) გვევლინება **на**- პრეფიქსი. დანარჩენ შემთხვევებში არის **а**-. ტაპანთურშიც ასეა, მაგრამ აქ ზმნებს უფრო ახასიათებთ წინდებულის ფორმები. პირის ნიშანიც ასეთ შემთხვევაში ექცევა წინდებულის შემდეგ და რთული ფუძის მქონე ზმნათა მსგავსად, ნივთთა კლასის სუბიექტის პირის ნიშანი წარმოგვიდგება **на**-ს და არა **а**-ს სახით: **аеы даннаба** – „ის (ად.) ცხენმა როცა დაინახა“.

**на**- ფორმანტი ა. გენკოს **а**- ფორმანტისაგან მიღებულად მიაჩნია სინტაგმის არასწორი დაყოფის პირობებში (გენკო 1955: 191).

ტაპანთურში წარმოდგენილი პირის, კლასისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ზმნურ ფორმაში მატერიალურადაც და აგებულების პრინციპითაც სავსებით ემთხვევა აფხაზურისას.

თითქმის ასეთივე ვითარებაა აშხარულშიც:

1. ზოგჯერ აშხარულში **а**- კლასის ნიშნის მაგიერ **и**- იხმარება, რაც შემთხვევითი ფაქტის შთაბეჭდილებას ახდენს: **ашә ичәы ааихт** – „იგი (ნ.) კართან მოვიდა“. ეს შეიძლება ადილურის გავლენით აიხსნას.

2. „სხვა“ – სიტყვა ყველა დიალექტში ხან **дача**-ს სახითაა, ხან **ача**-ს სახით. აშხარულში დასტურდება **рачак**, რაც „д“-ს გრამატიკული კლასის ნიშნად კვალიფიკაციას უეჭველს ხდის.

3. აშხარულში I პირის ნიშნის გაუმჟღერებელი სახეობაც დასტურდება მრავლობით რიცხვში: **ихажәып** – „დავლევთ“...

4. ზმნის უარყოფით ფორმაში, სადაც გამჟღერების პირობა მოხსნილია, ხშირად გვხვდება პირის ნიშნის გამჟღერებელი სახეობა (ლომთათიძე 1954: §35).

ტაპანთური და აშხარული დიალექტები უმნიშვნელო გადახრათა მიუხედავად, მიჰყვება აფხაზურ ენას პირის, კლასისა და რიცხვის კატეგორიათა წარმოების საკითხში.

### წარმოქმნის კატეგორიები

პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აფხაზურ-ადილურ ენათათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალურ ზმნას სამუალება ეძლევა გამოხატოს ნაირგვარი მიმართება სუბიექტურ და ობიექტურ, ან ობიექტურ პირებს შორის. ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული, პირებს შორის არსებული ურთიერთმიმართება ქმნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის მორფოლოგიურ და სიტყვაწარმოებით კატეგორიათა მრავალფეროვნებას.

აფხაზურ-ადიღური ენების რელატიურ (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა – პირის, კლასის, რიცხვის) გარდა მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

## ქცევის კატეგორია

აფხაზური ენის ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია.

აფხაზურში ქცევის კატეგორია რამდენადმე განსხვავდება ქართველურ ენათა ქცევის კატეგორიისაგან.

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აზაზურში გამოყოფს ორ ქცევას: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს (ლომთათიძე 1947: 411-419; ლომთათიძე 1967; ლომთათიძე 1976).

აფხაზური ენის გრამატიკაში გამოყოფილია აგრეთვე ქცევის მესამე სახეობაც, ნეიტრალური ქცევა. ცალკეა გამოყოფილი უკუქცევილობის კატეგორია (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 136-143).

ქ. ლომთათიძის ნაშრომებში აფხაზურში ნეიტრალური ქცევის გამოყოფის შემთხვევას ვერ ვხვდებით; უკუქცევილობის კატეგორიას ქ. ლომთათიძე სათავისო ქცევად მიიჩნევს (ლომთათიძე 1976).

1. სათავისო (სასუბიექტო) ქცევა იწარმოება ზმნურ ფორმაში – რეფლექსურობის ელემენტის მონაწილეობით. ეს ელემენტი მოსდევს „ი“-ს რიგის აფიქსებს და აღნიშნავს გარდამავალი ზმნის სუბიექტის მხოლოდ თავისავე თავზე მოქმედებას. აფხ.: **и-е-и-цәахит** – „მან თავი დაიმალა“.

**е-** რეფლექსურობის ელემენტს ქ. ლომთათიძე ადასტურებს ტაპანთურშიც. თუ აფხაზურში რეფლექსურობის ელემენტს კუთვნილებითი აფიქსი მუდამ წინ ახლავს, და პირის ორ ნიშანს წარმოგვიდგენს: აფხ. **с-еы-с-шьуент** – „თავს ვიკლავ“, ტაპანთურში რეფლექსური ფორმების **е-** ელემენტს კუთვნილების გამომხატველი პირის ნიშნები აღარ ერთვის და აფხაზური **с-е-с-шьуент**-ის ნაცვლად ტაპანთურში **сеысшьит** ფორმას ვხვდებით.

ტაპანთურში ზმნა საკუთარი თავისაკენ მიმართულ მოქმედებას კაუზატივის ფორმითაც გამოხატავს: **пшак ссырсып** – „ცოტა ქარს მოვიქროლებ“... (ლომთათიძე 1976: §44; 152).

რეფლექსურობის ელემენტი აშხარულში თითქოს ფუძესაა შეზრდილი; ეს ნათელი ხდება საგარემოებო აფიქსთა წარმოებისას: **-ш-**, **-ан-**..., რომლებიც რიგით პირველი პირის აფიქსის შემდეგ დაისმის აფხაზურში: **с-е-аны-с-шьуа** – „მე თავს როცა ვიკლავ“... აშხარულში კი

**ჟ-** ელემენტი საგარემოებო აფიქსების შემდეგ მოხვედრილა: **шәы-ҟы-д-сы-р-дырра** – „მათ მე როგორც თავი გავაცნო“...

აღნიშნულ ფორმათა წარმოებისას აშხარულში დასტურდება სამი საფეხური:

1) **ჟ** ელემენტს ახლავს კუთვნილებითი აფიქსი: **уҟыртла** „გაიხადე“, 2) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია: **ҟылшыт** „თავი მოიკლა“, 3) კუთვნილებითი აფიქსი ჩამოშორებულია და ზმნას უჩნდება ობიექტის ნიშანი.

აშხარულში, აფხაზურისაგან განსხვავებით, ტაპანთურის მსგავსად, უკუქცევითი მოქმედება შეიძლება პირის ნიშნის გაორკეცვითაც მოხდეს: **наассырдырп** „მე ჩემს თავს გავაგებინებ“ (ლომთათიძე 1954: §38).

2. სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში.

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური **з-**, (ზზიფური **з'** - აფიქსით): ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

**з-** აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

**з-** ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: **сҟонт** – „მივდივარ“, **сизсҟонт** – „მისთვის მივდივარ“, **иҟассҟонт** – „მე მას ვაკეთებ“, **илзыҟассҟонт** – „მე მას მისთვის (ქ.) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება **цә-** აფიქსით.

**цә-** აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მიმართულ მოქმედებას.

**цә-** ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს **з-**ს შემთხვევაში იყო: **стәонт** – „ვჯდები“, **сицәтәонт** – „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჯდები“, **изҟонт** – „მე ის მომაქვს“, **илцәызҟонт** – „მე ის მისი (ქ.) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

3- ელემენტი ქ. ლომთათიძის აზრით, იგივეა, რაც სახელებში გამოყენებული (ა)зы – „თვის“ თანდებული. თუ ეს ელემენტი სახელს დაერთო, ზმნაში აღარ იქნება წარმოდგენილი და მასაც ერთი, ირიბი ობიექტური პირი დააკლდება: **ахычы изы (и)каспоит, ахычы изыкаспоит** – „ბავშვისთვის ვაკეთებ“, – **ахычы изы каспоит** „ბავშვს ვუკეთებ“... **икаспоит** ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, – **изыкаспоит** სამპირიანია. სასხვისო ქცევაში ზმნას ემატება ერთი – ირიბ ობიექტური პირი (ლომთათიძე 1947: 415).

სასხვისო ქცევის 3- და **цә** – პრეფიქსები მასდარშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ზმნის ფუძესაა შეზრდილი: **азхара** – „ზრდა, თვის მატება“, **азпара** – „კლება, თვის მცირება“...

3- და **цә**- პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის 3- და **цә**- პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის „ვუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს (ლომთათიძე 1947: 418).

### პოტენციალისის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა შესაძლებლობის (პოტენციალისის) კატეგორია (ლომთათიძე 1955: 163).

პოტენციალისი ეწოდება გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს.

პოტენციალისის კატეგორია დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან.

პოტენციალისის კატეგორია მორფოლოგიურად აისახება ზმნაში.

აფხაზურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება 3- (ბზიფ. 3' -) პრეფიქსით.

აფხაზურ-აბაზურში პოტენციალისის ნიშნის ადგილი მკაცრად ლოკალიზებულია: კერძოდ, ის ყოველთვის დგას რეალური სუბიექტის პირის ნიშნის შემდეგ: **и-сы-3-гом** – „მე მას (ნ.) ვერ წავიღებ“... **и-3-цом** – „ის ვერ მიდის“...

პოტენციალისის ნიშანი რთულ ზმნებში იწვევს სუბიექტის ნიშნის რთული ფუძიდან გადმოსმას: **и-ка-с-поит** – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“... **и-с-зы-капом** „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“.



სამპირიან გარდამავალ ზმნაში პოტენციალისის წარმოებისას ირ-  
ღვევა კუთვნილებით აფიქსთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობა  
(ლომთათიძე 1955: 249-255).

როგორც ცნობილია, სამპირიან გარდამავალ ზმნებში I ადგილას  
დგას პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ნიშანი, II ადგილი ირიბი  
ობიექტური პირის ნიშანს უკავია, ხოლო III ადგილას გვხვდება სუბი-  
ექტური პირის აფიქსი: **ი-ც-ყ-თ-მ** „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ მოგცემ“. **ი-ა-  
ც-ჰო-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ გეტყვი“.

პოტენციალისის ფორმაში იმავე სამპირიან ზმნაში რეალური სუ-  
ბიექტის ნიშანს უკავია II ადგილი: **ი-სყ-ვ-ყ-თ-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.)  
ვერ მოგცემ“, **ი-სყ-ვ-ყ-ა-ჰომ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ გეტყვი“...

პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება,  
ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაი-  
რად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის  
პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას  
პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში: გრამატიკული სუბი-  
ექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობი-  
ექტური პირის ადგილას:

**ი-კა-ც-ჰოიტ** – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“

**ი-კა-ც-ჰო-მ** – „მე მას (ნ.) არ ვაკეთებ“

**ი-ც-ვყ-კაჰო-მ** – „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან.

**ი-ყ-ც-თოიტ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) გაძლევ“...

**ი-ყ-ც-თომ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) არ მოგცემ“...

**ი-სყ-ვ-ყ-თომ** – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქ-  
სის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვ-  
ლად.

ავხაზურში პოტენციალისის კატეგორია ზმნის უარყოფით ფორ-  
მებს უფრო ახასიათებს, დადებით წარმოებაში კი იშვიათად გვხვდება  
(ლომთათიძე 1955: 154).

ავხაზურში პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება ზმნას ყველა  
დროსა და კილოში (ბრძანებითის გარდა), კაუზატიურ წარმოებასა და  
სათანაო კატეგორიაში.

უარყოფით წარმოებათა გვერდით, პოტენციალისი გვხვდება  
ზმნის დადებით – ფინიტურ ფორმებში: **-ოიტ** და **-ყი** სუფიქსიანებში,  
**-ჰა** ნაწილაკთან ერთად, ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო

ზმნა ყოველთვის უარყოფითშია: **и-с-зы-фот-хәа сы-ка-м-ызт** „მე არ მეგონა, თუ შევჭამდი“... **и-с-зы-фа-п-хәа сы-ка-м-ызт** „მე არ მეგონა, შევჭამ-მეთქი“... ასეთი წარმოება პირობით შინაარსს შეიცავს.

დადებით წარმოებაში პოტენციალისი გვხვდება:

1. კითხვით ფორმებში: **изхысуоу?** „შეუძლია ისროლოს?“, პირობით კილოში: **узахәазар** „შენ (მკ.) თუ შეგიძლია უშველო“... 2. ნატურით კილოში: **сызцандаз-хәап** „ნეტავ შევიძლო წასვლა“.

აფხაზურში პოტენციალისი აღწერიტადაც გადმოიცემა: **алшара** „შეძლება“ ზმნის საშუალებით. **аилкаара сылымшеит** „ვერ შევიძელ გამეგო“... შდრ.: პოტენციალისის ფორმა: **и-с-з-е-и-лы-м-кааит**... „ის მე (ჩემთვის) ვერ გავიგე“ (ლომთათიძე 1955).

აფხაზურში **адырра** – „ცოდნა, გაგება“ ზმნის უარყოფითი ფორმები პოტენციალისის აფიქსის გარეშე არ იწარმოება. იგი მუდამ ქართული „ვერ“ ნაწილაკის შინაარსს ატარებს, აშხარულში კი **игьсыздырам** „არ ვიცი“ ფორმის გვერდით ჩვეულებრივია **игьыздырам** – „არ ვიცი“.

## უნებურობის კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება **амха /амаха** პრეფიქსით. ეს პრეფიქსი შედგება ორი **(а)ма** და **ха** ნაწილისაგან. **ма-** ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1955; ლომთათიძე 1976).

იგივე **ма-** ელემენტს გამოყოფს ქ. ლომთათიძე ე. წ. მიჩნევის (მოჩვენების) კატეგორიაშიც (ლომთათიძე 1970: 157). აზაზური ამ კატეგორიის საწარმოებლად იყენებს **-ма** პრეფიქსს.

**маха>мха** პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორც პოტენციალისის წარმოებისას: **дцәент** – „მან (ად.) დაიძინა“, **дамхацәент** – „მას (ად.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

ქ. ლომთათიძის აზრით, პოტენციალისის კატეგორია უნებურობის კატეგორიასთან ისეთ მიმართებაში უნდა იყოს, როგორ მიმართებაშიც არის ე. წ. სასარგებლო **з-**, **зы-** და ე. წ. საზიანო **цә-** პრეფიქსებით ნაწარმოები ქცევის კატეგორიები ერთიმეორესთან. **з-** პრეფიქსი გამოხატავს მიმართულებას ირიბ ობიექტური პირისაკენ, ხოლო **цә-** პრეფიქსი კი მიმართულებას ირიბ ობიექტური პირიდან: **исцааигент** – „მომიტანა მე მან“, **исцәигент** – „წაიღო ის ჩემგან მან“.

**цә-** საზიანო ქცევის და **амха-** უნებურობის პრეფიქსები დასტურდება კონტამინირებულ ფორმებშიც: **(и)сцәамхафент** – ის (ნ.) ჩემგან (მე) უნებურად შემომეჭამა... **исзыкамцент** – „ის მე ვერ გავაკეთე“, **исзыуамхәент** – „ის მე შენ ვერ გითხარი“... ასეთი ფორმები უმთავრესად უარყოფითი წარმოებებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო **исамхакацент** – „ის მე უნებურად გავაკეთე“, **исамхаухәент** – „ის მე შენ უნებურად გითხარი“ – ფორმები კი დადებითისათვის.

პოტენციალისისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან.

### კაუზატივის კატეგორია

ავხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია ავხაზურ ენაში **р-** პრეფიქსით იწარმოება.

კაუზატიურ წარმოებაში ზმნას ემატება ერთი, პირდ.ობიექტის პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება. გარდამავალ ზმნებში **р-** პრეფიქსს შეაქვს შუალობის შინაარსი: ზმნას უჩნდება ახალი, სხვისი საშუალებით მოქმედების შემსრულებელი პირი:

არაკაუზატიური ფორმა გარდაუვ. ზმნა	კაუზატიური ფორმა გარდამ. ზმნა
<b>ды-гылт</b> „ის (ად.) დადგა“	<b>ды-и-р-гылт</b> „მან (ად.) ის (ად.) დააყენა“
<b>и-лы-фыит</b> „დააწერა მან“ (ქ.)“	<b>и-лы-и-р-фыит</b> „დააწერინა მან (მკ.) ის (ნ.) მას (ქ.)“

სამპირიანი ზმნებიდან კაუზატიურ შინაარსს აფხაზური ენა აღწერითად გამოხატავს: **и-лырттаратэы ка-с-цап** „შენ (მკ.) იგი (ქ.) მათ რომ მოგცენ ვიქმ“.

სამპირიან ზმნათა ფუძეში ნაწილაკებისა და ქცევის აფიქსთა მონაწილეობითა და კაუზატივის აფიქსით იწარმოება კაუზატივის კატეგორია: **и-у-зы-л-сы-р-захуент** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე მას (ქ.) ვაკერი-ნებ“, **и-у-зы-ыыхэа-сы-р-гылап** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე დავდგამ კერასთან“.

კაუზატივის მნიშვნელობა შეიძლება გადმოიცემოდეს **тә-** დანიშნულების აფიქსით (ლომთათიძე 1945: 89).

კაუზატივის **р-** პრეფიქსი მარტივფუძიან ზმნებში ძირის წინ დგას, რთულფუძიან ზმნებში კი ხან ფუძის წინ დგას, ხან ჩართულია ფუძეში (ლომთათიძე 1945: 89).

ზმნა კაუზატივის ფორმით, ყოველთვის გარდამავალია; თუ კაუზატივის ნიშანი განკვეთილ ფუძეშია, სუბიექტის ნიშანი მის წინ დგას, თუ კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ გამოდის, სუბიექტის ნიშანიც მას გადმოჰყვება.

კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში **р-** პრეფიქსი; იგივე **р-** პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის **р-** პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის **р-** ნიშანი წარმოდგენილია **д-**ს სახით: **сыдыртэит** „მე მათ დამსვეს“, **\*сырыртэит... иддырбоит** „ისინი მათ მას ანახვებენ“, **\*ирырбоит...**

კაუზატივის ნიშანთან შეხვედრისას III პირის მრავლობითი რიცხვის **р-** ნიშნის **д-**დ ქცევა დისიმილაციურ მოვლენადაა ცნობილი.

**ქ. ლომთათიძე** თვლის, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**р > д**) მოეპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი **р-**ს თავმოყრას კარგად იგუებს: **арырхара** „შეშინება“, ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებული, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

დისიმილაციის ამ ფაქტში **ქ. ლომთათიძე** ხედავს პირის ნიშნის მოსალოდნელი სახეობის შემონახვის შემთხვევას: სწორედ იმიტომ უნდა განსხვავებულიყო ეს ორი აფიქსი ერთმანეთისაგან, რომ მათ ერ-

თი წარმოშობა ჰქონდათ; (შდრ. ადილ. ირ. ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანი **ია-**, **ი-** ერთ-ერთი **р-**დ გადადის, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებიან).

ქ. ლომთათიძის აზრით, ზმნის კაუზატივის ფორმაში III პირის ნიშნად გამოვლენილი **д-** შეიძლება უკავშირდებოდეს სათანადო „**дара**“ ნაცვალსახელს, რაც თავისთავად იმას არ გამორიცხავს, რომ მასთან კავშირი ჰქონდეს ადამიანის კლასის **д-** ნიშანსაც: ეს მოვლენა აფხაზურისათვის არაა უცხო: შდრ. ...**уара-у, сара-с...** კავკასიური ენებიდან ცნობილია მრავლობითის აფიქსით ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ საერთოდ ადამიანის კლას-კატეგორიის გაფორმებაც (ლომთათიძე 1945: 93; როგავა 1954: 9-12).

ტაპანთურშიც კაუზატივის აფიქსი იწვევს III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნის **д-**დ ცვლას. აფხაზურში ეს მოვლენა სისტემატურია, როდესაც **р-** აფიქსით III პირის სუბიექტის მრავლობითობაა გადმოცემული, ხოლო როდესაც **р-** ირიბ ობიექტს გამოხატავს, შესაძლოა **д-**ს გვერდით **р-**ც გვექონდეს: **и-д-дыр-гылеит, и-р-дыр-гылеит** – „ისინი მათ მას უყენებენ“.

ტაპანთურში კი **р-** აფიქსი ირიბი ობიექტის როლშიაც სისტემებრ **д-**თია წარმოდგენილი: **идержахт** „მათ მათ ის შეაკერინეს“...

ტაპანთურს (ადილეურის გავლენით) ერთი თავისებურება ახასიათებს:

თუ ერთპირიანი გარდაუვალი ზმნა კაუზატივში სამპირიანი გახდება, ორმაგად იქნება მასში გამოხატული კაუზატივის შინაარსი, აფხაზურისაგან განსხვავებით, ზმნაში იქნება ორი კაუზატივის აფიქსი: **дыиррыгээзэиҭа** „ის მას მათგან შეეშინებინა“, **дыдыирыҭаҭ** „მათ იგი მან გააგზავნინა“ (ლომთათიძე 1944: 130).

კაუზატივის კატეგორია აშხარულშიც სხვა დიალექტთა მსგავსად იწარმოება, ოღონდ აქ უფრო ხშირად გამოიყენება. რთულფუძიან ზმნებში კაუზატივის **р-** აფიქსის ფუძეში, ძირის წინ წარმოდგენა (და არა მის წინ, როგორც ეს აფხაზურშია) სისტემატურადაა გატარებული აშხარულში. აფხაზურის მონაცემი მეორეული ჩანს.

აშხარულისათვის უცხოა კაუზატივის ნიშნის ორმაგი ხმარება, რაც ტაპანთურში ჩვეულებრივი მოვლენაა (ადილეურის გავლენით) (ლომთათიძე 1954: §36).

ამრიგად, აფხაზურ-აბაზურში კაუზატივის კატეგორიის წარმოება პრეფიქსულია, მცირეოდენ გადახრათა გათვალისწინებით, კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით აფხაზური და აბაზური ენების დიალექტთა შორის თანხვედრაა.

აფხაზურში გამოიყოფა აღწერითი და სიტყვაწარმოებითი სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივიც.

აფხაზურსა და აბაზურში კაუზატივის **p**- პრეფიქსი გენეტურ კავშირშია ამავე ენაში არსებული მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ **p**-ფორმანტთან.

### საურთიერთო კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადიღურ ენებში განიხილავს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1961).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში **a(и), a(и)-ц, a(и)-ба**.

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს **аи-** პრეფიქსის **ц-** და **ба-** ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (**-а/еиц-**) და საურთიერთო-საორმხრივო (**а/еиба-**) ქვეკატეგორიები.

**ц-** სათანაოს ფუნქციით დამოუკიდებლადაც გვხვდება: **сара лара слыщун** – „მე მას ვახლავარ“, **дицкэашэонт** – „ის (ად.) მასთან (მკ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: **илицысфонт** – „მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჭამ“, საურთიერთო-სათანაო **аиц-** პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქცევა: **илицысфонт > иеицахфонт** – „ჩვენ მას ერთად ვჭამთ“, ე. ი. ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტის პირს (ლომთათიძე 1960/1961: 279).

საურთიერთო კატეგორიის წარმოების პრინციპი აფხაზურში, ადიღურსა და უბიხურში ერთნაირია.

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით;

ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **აიბა**- პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აი**- საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, **ბა**- პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

**აიბა**-/**ეიბა**- პრეფიქსი, განსხვავებით **აი**-/**ეი**- და **აიц**-/**ეиц**- პრეფიქსებისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

**აი**-/**ეი**- პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა, ან წინდებულთა დართვას იწვევს; **აიბა**- პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს. მარტივ მზნებში თითქოს **ბა**- ელემენტს აქვს დაკისრებული ფუძის გამრთულების ფუნქცია. ეს ფაქტი, შესაძლოა, **ბა**- ელემენტის ზმნიზედურ წარმოშობაზე მიუთითებდეს.

რთულ **აიბა**- პრეფიქსს გარკვეულ შემთხვევაში (თუკი მასში გაერთიანებული იქნება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები) შეუძლია ზმნა გარდაუვლად აქციოს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **дырдыруент** „ისინი მას იცნობენ“, **еибадыруент** „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **иласхәент** – „მე მას (ქ.) ის ვუთხარი“, **еибырхәент** – „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში:

**длырбоит** – „ის (ქ.) მას (ად.) ხედავს“, **еибарбоит** – „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის **აი**-/**ეი**- და საურთიერთო სათანაო ქვეკატეგორიის **აиц**-/**еиц**- პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზურში მუდამ ფუძის წინ გვხვდება.

**აიბა**- პრეფიქსი რთულფუძიან ზმნებში ფუძეშია ჩასმული აფხაზურში, ხოლო ტაპანთურში **აиба**- || **иба**- პრეფიქსი ასეთ შემთხვევებ-

შიც ფუძის წინ დაისმის: **აბაგაჲრა** – „წაჯიკავება“, **აბაბაგაჲრა** ურთიერთწაჯიკავება (ლომთათიძე 1944: 191).

ფუძეში **აიბა**- პრეფიქსი გვხვდება სახეცვლილი სახით: **აიბა** > **ეიბა** > **იიბა** > **იბა**...

## უღლები კატეგორიები

ზმნა აფხაზურ ენაში გამოირჩევა თავისი რთული აგებულებით. ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში თავი შეიძლება მოიყაროს ათზე მეტმა მორფემამ, რომლებიც წარმოქმნისა და უღლების კატეგორიებს მიეკუთვნება.

ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ზმნა რთული მორფოლოგიით ხასიათდება. ამ მხრივ აფხაზური ზმნა ზერთულად შეიძლება დახასიათდეს.

აფხაზური ზმნით შეიძლება სხვა ენათა მთელი წინადადებით გამოხატული აზრის გადმოცემა. განსაკუთრებით ეს ეხება ფინიტურ-ინფინიტურ წარმოებას ზმნისა (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ). ეს უკანასკნელი სხვა ენათა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ფუნქციებს ითავსებს.

## ზმნის ფინიტური და ინფინიტური ფორმები

აფხაზურს არ მოეპოვება დამოკიდებული და მთავარი წინადადებები, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური კატეგორია, არა აქვს აგრეთვე დამოკიდებული წინადადების კავშირები. ის, რაც სხვა ენებში სინტაქსის სფეროს განეკუთვნება და წარმოდგენილია მთავარი და დამოკიდებული წინადადებების სახით, აფხაზურში თავისებურადაა ასახული ზმნის დრო-კილოთა ფორმებში.

ამის მიხედვით აფხაზურში გვაქვს დროთა წარმოების ორი ფორმა. მთავარი წინადადების შესაბამისი დროთა ფინიტური წარმოება და ფინიტური წარმოების ზმნური დაბოლოებები. ეს დაახლოებით, მთავარი წინადადების როლში გამოდის სხვა ენებში მაგ.: **сара сцент** „მე წავედი“.

დროთა ისეთ წარმოებას კი, რომელიც სხვა ენების დამოკიდებულ წინადადებას შეესაბამება, ქეთევან ლომთათიძე უწოდებს ინფინიტურ წარმოებას.



### საგარემოებო ელემენტთან ზმნათა ინფინიტური წარმოება

ინფინიტური წარმოების ზმნა ფინიტური წარმოების ზმნისაგან იმით განსხვავდება, რომ მას პრეფიქსად უჩნდება სხვადასხვა საგარემოებო ელემენტი: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის...

დროის -**ан** „როცა“, ადგილის -**ахь** „სადაც“, ვითარების -**ш** „როგორც“, მიზეზის **з-** „იმიტომ, ვის, რის გამო“.

ეს საგარემოებო ელემენტები ზმნაში დაისმის „**д**“-ს რიგის აფიქსთა შემდეგ. საგარემოებო პრეფიქსის დართვა იწვევს ზმნის სუფიქსის შეცვლასაც: ფინიტობის -**н** სუფიქსი ინფინიტური წარმოებაში -**з** სუფიქსით შეიცვლება:

<b>с-ц-о-н</b>	„მე წავედი“
<b>с-ан-цо-з</b>	„როცა წავედი“
<b>с-ахь-цо-з</b>	„სადაც წავედი“
<b>с-ш-цо-з</b>	„როგორც წავედი“

იმისათვის, რომ წინადადებას დასრულებული სახე ჰქონდეს, აფხაზურში აუცილებელია წინადადებაში ერთი ფინიტური წარმოების ზმნა მაინც იყოს (გამონაკლისია კითხვითი წინადადება) **с-ахь-не-и-уа и-у-а-с-хәо-м** „არ გეტყვი სად მივდივარ“, ზედმიწევნით: „სადაც მივდივარ (იმას) შენ (მკ.) მე არ გეტყვი“.

ზმნის ფინიტურობა ანუ დასრულებულობა საგანგებო მორფემებით გამოიხატება, ამათგან ზოგი მხოლოდ ფინიტობის გამოიხატველია, ზოგი კი ერთდროულად გადმოგვცემს ფინიტობასაც და დროსაც:

ოდენ ფინიტობისაა დინამიკურ ზმნათა -**нт** > **т**, ფინიტობასთან ერთად დროსაც აღნიშნავს -**н** და სტატ. ზმნათა -**п** სუფიქსები.

სტატიკურ ზმნებსაც, ისევე, როგორც დინამიკურს, აქვთ დროთა ინფინიტური წარმოებაც. ფინიტობის -**уп** სუფიქსი აწმყო დროისა, რთული მონაცემია. ინფინიტურ წარმოებაში -**п** ჩამოშორდება და დარჩება მხოლოდ -**у**. მაგ.: **д-ан-коу...** „როცა არის“, **д-ахьы-коу...** „სადაც არის“, **ды-шы-коу** „როგორც არის“.

### სამიმართებო პრეფიქსიანი ინფინიტური წარმოება

აფხაზურს არ მოეპოვება მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც... სხვა ენების რთულ წინადადებათა წევრ-კავშირები აფხაზურში მოქცეულია ინფინიტური წარმოების ზმნაში და გამოხატავს სასუბიექტო და

საობიექტო მიმართებებს: „წამსვლელი – ის ვინც მიდის“, „ის რაც მიდის“, ოღონდ:

დროთა ინფინიტურ წარმოებაში გამოიყენება მიმართებითი 3-პრეფიქსი ადამიანისათვის (გონიერთა კლასი) და **и** – ნივთისათვის (არგონიერთა კლასი). მაგ.: **и-з-фо** „ვინც ჭამს, მჭამელი“, **и-и-фо** „რასაც ჭამს, შესაჭმელი“.

ზმნის ფორმაში მხოლოდ ერთი პირი შეიძლება იყოს მიმართებითი **изфа** „ვინც შეჭამა“, **илфа** „რაც შეჭამა“, **иуста** „რომელიც მე შენ (მკ.) მოგეცა“, **дузта** „ვინც შენ (მკ.) ის (აღ.) მოგცა“...

ამრიგად:

**и(ы)** ენაცვლება „д“-ს რიგის პირ-კლასის აფიქსებს, მუდამ პირველ ადგილას დგას ზმნაში და გამოხატავს: ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ირიბ ობიექტსა და გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს:

ერთპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა	
ფინიტური წარმოება	ინფინიტური წარმოება
<b>Сара сы-коуп</b> „მე ვარ“	<b>(и)ы-коу</b> „ვინც, რაც არის“
ერთპირიანი გარდაუვალი დინამიკური ზმნა	
<b>Сара сцит</b> „მე მივდივარ“	<b>и-цо</b> „ვინც, რაც მიდის“
ორპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა	
<b>Сара д-сы-моуп аыза</b> „მე მყავს მეგობარი“	<b>сара и-сы-моу аыза</b> „მეგობარი, რომელიც მე მყავს“
ორპირიანი გარდამავალი დინამიკური ზმნა	
ფინიტური წარმოება	ინფინიტური წარმოება
<b>Сара дызбоит ахычы пшза</b> „მე ვხედავ ლამაზ ბავშვს“	<b>сара избо ахычы дыпшзоуп</b> „ბავშვი, რომელსაც მე ვხედავ, ლამაზია“

მსგავსივე ვითარებაა სამპირიან გარდამავალ ზმნებშიც: **и-у-а-с-хээз** „რაც მე შენ (მკ.) გითხარი ის“...

3- გამოიყენება მხოლოდ ორპირიან და სამპირიან ზმნებში და არ იხმარება ერთპირიანებში, რადგან იგი ენაცვლება „и“-ს რიგის პირ-კლასის პრეფიქსებს, ეს უკანასკნელნი კი არ გამოიყენებიან ერთპირიან ზმნებში.

სამიმართებო 3- პრეფიქსი ენაცვლება ორპირიანი გარდამავალი ზმნისა და ყველა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, აგრეთვე გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტის ნიშნებს:



სტატიკურ ზმნებს თავისებური ფუძე აქვთ და ისინი დროთა წარმოების თვალსაზრისით ძალზე შეზღუდულია, დინამიკური ზმნა კი უფრო მდიდარია ნაკვეთებით.

სტატიკური და დინამიკური ზმნების ყველა ნაკვეთის ფორმა განარჩევს ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებას.

### სტატიკური ზმნის ნაკვეთები

სტატიკურ ზმნას აქვს ფინიტური აწმყო -**უი** სუფიქსით ნაწარმოები და ფინიტური ნამყო განუსაზღვრელი -**ი** სუფიქსით ნაწარმოები. რთული -**უი** სუფიქსი დროსა და ფინიტობას ერთდროულად გამოხატავს. -**უ** დროისაა, -**ი** ფინიტობის მაგ.: **сыкоуп** „ვარ“, **ибноуп** „კარგია“, **ихаауп** „ტკბილია“...

აწმყოს ინფინიტურ ფორმას ოდენ -**უ** სუფიქსი აწარმოებს. მაგ.: **сахыкоу...** „სადაც ვარ“, **ишноу...** „ის რომ კარგია“, **ихаау...** „რაც ტკბილია“...

ნამყო განუსაზღვრელის ფინიტურ ფორმას აწარმოებს -**ი** სუფიქსი. მაგ.: **сыкан** „ვიყავი“, **ибно** „კარგი იყო“. ინფინიტურ ფორმაში კი -**ი** სუფიქსის ადგილას -**ი** სუფიქსი ჩნდება, ფონეტიკური ცვლილება არ ხდება; მაგ.: **сахыкоу** „სადაც ვიყავი“, **ишыбно** „კარგი რომ იყო“...

ზოგ სტატიკურ ზმნას ერთვის განგრძობითობის (დიურატიულობის) -**აა** სუფიქსი, რითაც ემსგავსება დინამიკურ ზმნას.

### დინამიკური ზმნის ნაკვეთები

1. აწმყო, 2. მყოფადი I, 3. მყოფადი II, 4. ნამყო უსრული 5. ნამყო განუსაზღვრელი 6. ნამყო სრული ანუ აორისტი, 7. ნამყო უკვეობითი 8. ნამყო წინარე წარსული.

#### 1. აწმყო

იწარმოება სუფიქსით: -**უა-იტ** > -**უე-იტ**, სადაც -**უა** დროისაა, -**იტ** კი ფინიტობისა...

თუ ზმნის ფუძე **ა-** ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ -**უეიტ** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით -**ოიტ** სახეობას იძლევა: **с-ца-уа-ит** > **с-ца-уеит** > **с-цоит** „მივდივარ“, **из-ба-уа-ит** > **и-з-ба-уеит** > **и-з-боит** „ვხედავ“.

თუ ზმნის ფუძე ბოლოვდება ნებისმიერი თანხმოვნით, **и, у...** ნახევარხმოვნებით, **аа** ხმოვნებით ან **ха** მარცვლით, მაშინ **-უეიტ** სუფიქსი არ განიცდის ცვლილებას: **и-с-ты-с-х-уеит** „მე მას (ნ.) ვხატავ“, **с-неи-уеит** „მივდივარ“, **и-у-уеит** „ყმუის“, **еи-лы-с-каа-уеит** „მესმის, ვიგებ“, **с-баха-уеит** „ვბარავ“...

**აწმყოს ინფინიტურ ფორმაში** ზმნის ფუძეს ოდენ დროის აღმნიშვნელი **-ya** სუფიქსი დაერთვის, რომელიც ერწყმის ფუძის **а-** ბოლო ხმოვანს და იძლევა **о-ს (а-ya>о)**: **с-ахь-ца-ya > с-ахь-цо** „სადაც მივდივარ“, **и-з-ба-ya > и-з-бо** „რასაც ვხედავ“, სხვა შემთხვევებში **-ya** უცვლელი რჩება: **и-ты-с-х-ya** „რასაც ვხატავ“, **с-ахь-неи-ya** „სადაც მივდივარ“, **и-у-ya** „რაც ყმუის“, **и-еи-лы-с-каа-ya** „რაც მესმის, ვიგებ“, **д-ан-баха-ya** „როცა ბარავ“...

ზოგჯერ აწმყოს ფორმას მყოფადის შინაარსიც აქვს, ქართულის მსგავსად: **уацәы Акәа сцоит** „ხვალ სოხუმში მივდივარ, წავალ“.

## 2. მყოფადი I

გამოხატავს იმ მოქმედებას, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს. ფინიტური ფორმა იწარმოება ზმნის ფუძეზე **-п** სუფიქსის დართვით. ამ დროს ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება. **с-ца-п** „წავალ“, **д-ы-з-ба-п** „მას (ად.) ვნახავ“, **и-ты-с-хы-п** „დავხატავ“, **еи-лы-с-каа-п** „გავიგებ“.

**ინფინიტურ ფორმაში** **-п-** სუფიქსს ენაცვლება **-ра** ან **-лак//лакь//лаг** სუფიქსები: **сан-ца-ра//с-ан-ца-лак// с-ан-ца-лакь //с-ан-ца-лаг** „როცა წავალ“...

## 3. მყოფადი II

ახასიათებს მომავლის უფრო განუსაზღვრელი შინაარსი. ფინიტურ ფორმას აწარმოებს რთული **-ш-т<-ша-ит**, რომელშიც **-ша>-ш** მომავალი დროის აღმნიშვნელია, ხოლო **-ит >т** ფინიტობისა. ამ რთული სუფიქსის დართვისას ფონეტიკური ცვლილებანი არ ხდება: **с-ца-шт** „წავალ“, **еи-лы-с-каа-шт** „გავიგებ“.

ინფინიტური ფორმა მყოფ. II-ისა მიიღება ოდენ მომავალი დროის აღმნიშვნელი **-ша** სუფიქსის დართვით ზმნის ფუძეზე. ფონეტიკური პროცესები არ ხდება. **с-ан-ца-ша** „როცა უნდა წავიდე“, **и-еи-лы-с-каа-ша** „რაც უნდა გავიგო“.

#### 4. ნამყო უსრული

აწარმოებს **-ya-н** სუფიქსი, რომელიც ემყარება აწმყოს ნაკვთის **-ya** სუფიქსიან ინფინიტურ ფუძეს, რომელიც გართულებულია დროისა და ფინიტობის ერთდროულად გამომხატველი **-н** სუფიქსით. (შდრ. სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელის **-н** სუფიქსი).

**-yaн** სუფიქსი ფუძისეულ **-a** ხმოვანთან შერწყმისას იძლევა **-он** დაბოლოებას: **с-ца-ya-н > с-ц-он** „მივდიოდი“, **д-ы-з-ба-ya-н > дызбон** „მას (ად.) ვხედავდი“...

აქაც: თანხმოვნებით, **и, у** ნახევარხმოვნებით, **-aa** და **-ха** მარცვლებით დამთავრებულ ფუძეებში უცვლელია **-ya-н** დაბოლოება: **и-ты-с-х-ya-н** „ვხატავდი“, **с-неи-ya-н** „მივდიოდი“, **еи-лы-с-kaa-ya-н** „მესმოდა, ვიგებდი“, **с-баха-ya-н** „ვბარავდი“.

**ინფინიტური წარმოებისას -ya** სუფიქსს **-н** სუფიქსის ნაცვლად ინფინიტურობის **-з** სუფიქსი ერთვის: ფონეტიკური პროცესები კი იგივეა, რაც ფინიტურ ფორმათა წარმოებისას: **с-ахь-ца-ya-з > с-ахь-ц-о-з** „სადაც მივდიოდი“, **д-аны-з-ба-ya-з > д-ан-ы-з-бо-з** „როცა მას (ად.) ვხედავდი“, **и-ты-с-х-ya-з** „რასაც, ვისაც ვხატავდი“, **с-ахь-неи-ya-з** „სადაც მივდიოდი“, **и-еи-лы-с-kaa-ya-з** „რასაც ვიგებდი, რაც მესმოდა“, **с-ан-баха-ya-з** „როცა ვბარავდი“...

#### 5. ნამყო განუსაზღვრელი

**-н** სუფიქსით იწარმოება. ეს სუფიქსი დროსა და ფინიტობას ერთდროულად გამოხატავს. ფონეტიკური ცვლილება არ ხდება, მხოლოდ თანხმოვანთა შორის **-ы-** ნეიტრალური ხმოვანი გაჩნდება.

**с-ца-н** „წავედი (და)“..., **ды-з-ба-н** „იგი (ად.) დავინახე (და)“..., **и-ты-с-хы-н** „დავხატე (და)“... **с-неи-н** „მივედი (და)“..., **и-еи-лы-с-kaa-н** „გავიგე (და)“..., **сы-баха-н** „დავბარე (და)“...“.

**ინფინიტურ ფორმაში -н** სუფიქსს ინფინიტივის **-з** სუფიქსი ენაცვლება: **с-ан-ца-з** „როცა წავედი“, **д-ан-ы-з-ба-з** „როცა იგი (ად.) დავინახე“, **и-с-ты-с-хы-з** „რაც, ვინც დავხატე“, **с-ахь-не-и-з** „სადაც მივედი“, **и-еи-лы-с-kaa-з** „რაც გავიგე“, **с-ан-бах-а-з** „როცა დავბარე“.

#### 6. ნამყო სრული, აორისტი

**-ит** ფინიტობის სუფიქსის დართვით იწარმოება, ეს სუფიქსი ზოგ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მარტო **-т-**ს სახით შეიძლება შეგვხვდეს: **и-з-дыр-т** „გავიგე“, **с-хал-т** „ავედი“ ცალი **а-** ხმოვნით და-

მთავრებულ ფუძეებში **-იტ** სუფიქსის **ი**-ს გავლენით **ა** ხმოვანი იცვლება **-ე** ხმოვნით: **с-ца-ит > с-це-ит** „წავედი“, **д-ы-з-ба-ит > ды-з-бе-ит**“ იგი (ად.) ვნახე“.

ხოლო თანხმოვნებით, **у** ფონემით, **аа, ха** მარცვლებით დასრულებულ ფუძეებში ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება: **и-ты-с-х-ит** „დავხატე“, **и-з-у-ит** „გავაკეთე, ვქენი“, **и-еи-лы-с-каа-ит** „გავიგე“, **с-баха-ит** „დავბარე“, **и-** ფონემით დამთავრებულ ფუძეებში ზოგჯერ ერთი **-ი-** იკარგება: **с-не-ит < с-неи-ит** „მივედი“, **с-ааи-ит > с-аа-ит** „მოვედი“.

ინფინიტური ფორმა აღარ დაირთავს დროისა და ინფინიტურობის სუფიქსს, არ ხდება ფონეტიკური ცვლილებები: **с-ан-ца** „როცა წავედი“, **д-ан-ы-з-ба** „როცა იგი (ად.) ვნახე“, **и-ты-с-х(ы)** „რაც დავხატე“, **с-ахь-неи** „სადაც მივედი“, **еи-лы-с-каа** „რაც გავიგე“, **с-ан-баах-а** „როცა დავბარე“.

ზოგჯერ, ქართულის მსგავსად, ამ ფორმას აწმყო – მყოფადის მნიშვნელობაც აქვს: **с-цеит шта аоныка** „წავალ (წავედი) – აწი შინ (სახლში)“...

## 7. ნამყო უკვობითი

**-хьа-ит > хье-ит** სუფიქსი აწარმოებს, **хьа-** უკვობითობის აღმნიშვნელია, **-т** კი ფინიტობის: **с-ца-хьеит** „უკვე წავედი“, **ды-з-ба-хьеит** „უკვე ვნახე“, **и-ты-с-х-хьеит** „უკვე დავხატე“, **с-неи-хьеит** „უკვე მივედი“ **и-еи-лы-с-каа-хьеит** „უკვე გავიგე“.

ინფინიტურ ფორმაში გამოიყენება ორი სუფიქსი: უფრო გავრცელებულია რთული **-хьау-** > **-хьоу-**, სადაც **-хьа** უკვობითობას აღნიშნავს, ხოლო **-у** იგივეა, რაც დასტურდება სტატიკურ ზმნათა აწმყოში.

მეორე, უფრო იშვიათი ხმარებისაა **-ц** სუფიქსი, რომელიც უკვობითობის აღმნიშვნელია: **и-ка-с-ца-хьоу// и-ка-с-ца-ц** „რაც უკვე გამოკეთებია“, **и-з-ба-хьоу//и-з-ба-ц** „რაც, ვინც უკვე მინახავს“, **и-ты-с-хьоу // и-ты-с-хьы-ц** „რაც, ვინც უკვე დამიხატავს“...

გავრცელებულია ამგვარ გამოთქმებში: **икасцац касцит** „იმასვე ვაკეთებ, რაც მიკეთებია“, **изутац ит!** „შენ (მკ.) ვისთვისაც მიგიცია, (კვლავ) მიეცი!“

## 8. ნამყო წინარე წარსული

**-хьа-и** სუფიქსი აწარმოებს, რომელშიც **-хьа** უკვობითობას აღნიშნავს, ხოლო **-и** ნამყო დროსა და ფინიტობას ერთდროულად: **с-ца-**

**ხьან** „უკვე წასული ვიყავი“, **ды-з-ба-хьан** „უკვე მენახა, ნანახი მყავდა“, **и-ты-с-х-хьан** „უკვე დახატული მყავდა“, **с-ней-хьан** „უკვე მისული ვიყავი“, **и-ей-лы-с-каа-хьан** „უკვე გაგებული მქონდა“...

ინფინიტურ ფორმაში ორი რთული სუფიქსია: **-хьа-з** და **-цы-з**. **-хьа** და **-ц** უკვეობითობას აღნიშნავენ, ხოლო **-з** ნამყო დროის აღმნიშვნელია. აქედან **-цы-з** უფრო უარყოფით ფორმებში დასტურდება: **с-ан-ца-хьаз** „როცა უკვე წასული ვიყავი“, **и-з-ба-хьа-з** „რაც, ვინც უკვე ნანახი მქონდა, მყავდა“, **и-ты-с-х-хьаз** „რაც, ვინც დახატული მქონდა, მყავდა“, **с-ан-ней-хьаз** „როცა უკვე მისული ვიყავი“, **и-ей-лы-с-каа-хьаз** „რაც უკვე გაგებული მქონდა“... შდრ. უარყოფითი ფორმები: **с-аны-м-ца-цыз** „როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი წასული“, **и-сы-м-ба-цыз** „ვინც, რაც ჯერ კიდევ არ მენახა“, **и-т-сы-м-х-цыз** „ვინც, რაც ჯერ კიდევ არ დამეხატა“, **с-аны-м-ней-цыз** „როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი მისული“, **и-ей-л-сы-м-каа-цыз** „რაც ჯერ კიდევ არ (ვერ) გამეგო“.

### კატეგორიული მყოფადი

იწარმოება აღწერით, **-аун** „არის“ მემველი ზმნის დახმარებით (გამოყოფს ზოგი მკვლევარი).

ამ დროს ზმნა წარმოდგენილია აწმყოს ინფინიტურ **-ya** სუფიქსიან, ან აორისტის ინფინიტურ უსუფიქსო ფორმაზე დამყარებული პირობითი კილოს **-p** მაწარმოებლიანი ფორმით: **и-ка-с-па-р аун** „უნდა გავაკეთო“ (რათა, რომ გავაკეთო არის) **и-ка-с-па-р акэын** „უნდა გამეკეთებინა“ (“რათა რომ გამეკეთებინა, იყო“).

ზოგჯერ ძირითადი ზმნის პირობითი **-p** სუფიქსის წინ ჩნდება **-за** სუფიქსი, რომელიც დიურატიულობის, განგრძობითობისაა: **и-ды-руа-за-р аун** „მან (მკ.) უნდა იცოდეს“...

### ნაკვეთისა და კილოს ფორმას შორის გარდამავალია:

თურმეობითი I

**-заа-п**

თურმეობითი II

**-заа-ры-н**

იწარმოება როგორც სტატიკურ ისე დინამიკურ ზმნათაგან, იყენებს საყრდენად ზმნათა წმინდა ფუძეს; აწმყოს **-ya>o** დაბოლოებიან ან უკვეობითის **-хьа** სუფიქსიან ფუძეებს: **сыка-заа-п** „თურმე ვყოფილვარ“, **д-цо-заа-п** „თურმე მიდის“, **сыка-заа-ры-н** „თურმე ვყოფილვარ“,



**д-ца-заа-ры-н** „წასულა“, **д-ца-хья-заа-н** „თურმე უკვე წასულა“, **д-ца-хья-заа-ры-н** „თურმე უკვე წასულიყო“.

ცხრილი

1.	აწმყო	ფ.	- <b>уаи-т &gt; уе-т</b>	( <b>сцоит</b> )
		ინფ.	- <b>уа &gt; о</b>	( <b>санцо</b> )
2.	მყ. I	ფ.	- <b>п</b>	( <b>сцап</b> )
		ინფ.	- <b>ра, -лак, -лакь, -лаг</b>	( <b>санцалак</b> )
3.	მყ. II	ფ.	- <b>ша-ит &gt; -ш-т</b>	( <b>сцашт</b> )
		ინფ.	- <b>ша</b>	( <b>санцаша</b> )
4.	ნამყ. უსრ.	ფ.	- <b>уа-н &gt; он</b>	( <b>сцон</b> )
		ინფ.	- <b>уаз</b>	( <b>санцоз</b> )
5.	ნამყ. განუს.	ფ.	- <b>н</b>	( <b>сцан</b> )
		ინფ.	- <b>з</b>	( <b>санцаз</b> )
6.	ნამყ. სრ., აორისტო	ფ.	- <b>ит&gt;т</b>	( <b>сцеит</b> )
		ინფ.	- <b>0</b>	( <b>санца</b> )
7.	ნამყ. უკვ.	ფ.	- <b>хья-ит &gt; -хье-ит</b>	( <b>сцахьеит</b> )
		ინფ.	- <b>хьяу- &gt; -хьюу</b>	( <b>санцахь-оу</b> )
		ინფ.	- <b>ц</b>	( <b>санца-ц</b> )
8.	ნამყ. წინარ. წარს.	ფ.	- <b>хья-н</b>	( <b>сцахьян</b> )
		ინფ.	- <b>хья-з</b>	( <b>санцахьяз</b> )
		ინფ.	- <b>цы-з</b>	( <b>санцацыз</b> )
9.	კატეგორიული მყოფ.		- <b>р ауп</b> - <b>р акэын</b>	( <b>икасцар ауп</b> ) ( <b>икасцар акэын</b> )
10.	თურმ. I	ფ.	- <b>заа-п</b>	( <b>сыка-заа-п</b> )
11.	თურმ. II	ფ.	- <b>заа-ры-н</b>	( <b>сыка-заа-ры-н</b> )

ინფ. ფორმები არ აქვს.

კილოს კატეგორია

ავხაზურს მოეპოვება: 1. ბრძანებითი, 2. დაშვებითი, კონიუნქტივი, 3. პირობითი, 4. მიზან-პირობითი, 5. კავშირებითი I, 6. კავშირებითი II, 7. ნატვრითი და 8. მოჩვენებითი კილოები, 9. თხრობით კილოს სპეციალური მაწარმოებელი არ გააჩნია, ზემოთ განხილული ნაკვთები თხრობითი კილოსათვისაა დამახასიათებელი.

## 1. ბრძანებითი კილო

ძირითადად ეწარმოება დინამიკურ ზმნებს II პირის ორსავე რიცხვში. თუ ზმნა გარდაუვალია დაირთავს უკლებლივ ყველა პირისა და კლასის ნიშანს: **უ-ცა!** „შენ (მკ.) წადი!“, **ნ-ცა!** „შენ (ქ.) წადი“, **შა-ცა!** „წადით!“ **უ-ი-ცხრაა!** „შენ (მკ.) მას (მკ.) დაეხმარე!“

თუ ზმნა გარდამავალია, მაშინ მხოლოდით რიცხვში სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები არ გამოჩნდება. თხრობითი კილო: **ი-კა-უ-ჟოიტ** „შენ (მკ.) რაღაცას აკეთებ“ **ი-კა-ცა!** „გააკეთე!“ თხრობითი კილო: **დ-აა-უ-გოიტ** „შენ (მკ.) ის (გონ.) მიგყავს“, ბრძ. კილო: **დ-აა-გ!** „მოიყვანე! იგა“ მრავლობით რიცხვში სუბიექტის პირის ნიშანი იქნება წარმოდგენილი. ეს იმიტომ, რომ მრავლობითი რიცხვის პირ-კლასის ნიშნები პირსა და რიცხვს ერთდროულად აღნიშნავს და რიცხვის „ხათრით“ შენარჩუნებულია! (ქ. ლომთათიძე).

**შა-ცა!** „წადით!“ **ი-კა-შა-ცა!** „გააკეთეთ!“ **დ-აა-ჯა-გ!** „მოიყვანეთ!“ (გარდაუვალშიც და გარდამავალშიც).

ბრძანებითის ფორმას ხშირად დაერთვის კატეგორიულობის, მოთხოვნის აღმნიშვნელი **-ი(шь)** სუფიქსი: **უ-ცე-(шь)!** „აბა, წადი!“ **უ-გыл-ი(шь)!** „აბა, ერთი ადექი!“, **ი-კა-ცე-ი(шь)!** „აბა, გააკეთე!“

სტატკური ზმნის ბრძანებითს ჩვეულებრივ **-з** სუფიქსი აწარმოებს: **უ-კა-з!** „იყავი!“ **უ-ტა-з!** „იჯექი!“

## 2. კონიუქტივი, დაშვებითი კილო

ეწარმოება ორსავე რიცხვსა და სამსავე პირს. მაწარმოებელია – **ააიტ** (დინამიკურ ზმნებში) და **-з-ააიტ** (სტატკურ ზმნებში) თუ ფუძე **ა**-თი მთავრდება მოსალოდნელი სამი **ა**-ს ნაცვლად ორი **ა** იქნება წარმოდგენილი: \***დ-ცა-აააიტ** > **დ-ცააიტ** „დაე, წავიდეს!“ თუ ფუძე ორი **ა**-თი მთავრდება, მოსალოდნელი 4-დან 2 **ა** იქნება წარმოდგენილი: \***ი-ეი-ლყ-კაა-ააიტ** > **ი-ეი-ლყ-კააიტ** „დე, მან ის გაიგოს!“

ამგვარი რამ არ ხდება სტატკურ ზმნებში **-зააიტ** სუფიქსის დაერთვისას: **დ-гыл-а-зააიტ** „დაე, იდგეს!“ **ი-ნაа-зააიტ!** „დაე, დალპეს“.

### 3. პირობითი კილო

იწარმოება **-p, -za-p, -z-t-gyi** სუფიქსებით, აქედან **-p** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-zap** სუფიქსი საყრდენად იყენებს სხვადასხვა ნაკვეთის მზა ფორმებს: **д-ца-p** „თუ წავა“, **сы-ka-zap** „თუ ვარ“, **д-aa-и-у-а-zap** „თუ მოვა“, **ды-ka-ztgy** „თუ არის კიდევაც.“

### 4. მიზან-პირობითი კილო

გამოიყენება პირობითი კილოს **-p** სუფიქსიანი ფორმა, რომელსაც დამატებით დაერთვის გარდაქცევითობის **-ц, -тә** ან **-ны** სუფიქსები. ზოგჯერ **p(pa)** ვარიანტის სახითაცაა წარმოდგენილი (ეს უფრო ძველია). მაგ.: **с-ааираны** „რათა მოვიდე“, **и-ka-ы-ца-рц, и-ka-с-цартә, и-ka-с-ца-раны** „რათა გავაკეთო“...

ამავე კილოს საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე **-pa** სუფიქსიანი ფორმაზე დართული **азы** „თვის“ თანდებული: **ды-з-га-ра-зы** „რათა წავიყვანო, მის წასაყვანად“...

### 5. 6. კავშირებითი კილო

აქვს ორი ფორმა: **კავშირებითი I** იყენებს **-pa** სუფიქსიან მყოფადი I-ის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსის **a** ხმოვანი და დაერთვის **-h** სუფიქსი (**ფინიტური წარმოება**) ანდა – **з** სუფიქსს (**ინფინიტურ წარმოებაში**) **с-ца-рын** „წავიდოდი“, **с-ан-ца-рыз** „როცა წავიდოდი“, **и-ka-с-ца-рыз** „რასაც გავაკეთებდი“. **კავშირებითი II** ემყარება **-ша** სუფიქსიან II მყოფადის ფორმას და დაირთავს იმავე **-h** სუფიქსს (**ფინიტურ წარმოებაში**) ანდა **-з** სუფიქსს (**ინფინიტურ წარმოებაში**): **с-ца-шан** „წავიდოდი“, **с-ан-ца-шаз** „როცა წავიდოდი“, **и-ka-с-ца-шан** „გავაკეთებდი“, **и-ka-с-ца-шаз** „რასაც გავაკეთებდი“.

### 7. ნატვრითი კილო

აწარმოებს: **-нда -ндаз** სუფიქსი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს აფიქსი მომდინარეობს ქართული „ნეტა“ ნაწილაკიდან **-з** კი ნამყოფი ინფინიტური სუფიქსია: **с-ыka-нда(з)** „ნეტავი მამყოფა!“, **с-цо-**

нда (3) „ნეტავი წავსულიყავი!“, и-ка-с-па-нда (3) „ნეტავი გამეკეთებინა!“ და ა. შ.

### 8. მოჩვენებითობის კილო

იწარმოება -**шәа** ნაწილაკის დართვით:

**и-з-но-шәа** „თითქოს ვხედავ“,

**д-ца-з-шәа** „თითქოს წავიდა“,

**сы-коу-шәа** „თითქოს ვარ“...

### ცხრილი

1. თხრობითი	-----
2. ბრძანებითი	(კატეგორიული. - <b>ш!</b> ) (სტატიკური. - <b>з</b> )
3. კონიუქტივი (დაშვ.)	- <b>ааит</b> , - <b>з-ааит</b>
4. პირობითი	- <b>р</b> , - <b>за-р</b> , - <b>з-т-гьы</b>
5. მიზან-პირობ.	- <b>р-ц</b> , - <b>тә</b> , - <b>ны</b> , - <b>азы</b> „თვის“
6. კავშირებითი I	- <b>ра</b> (მყ.I)+ <b>н</b> (ფინ.) <b>з</b> (ინფინ.)
7. კავშირებითი II.	- <b>ша</b> (მყ.II)+ <b>н</b> (ფინ.) <b>з</b> (ინფინ.)
8. ნატვრითი	- <b>нда</b> - <b>ндаз</b>
9. მოჩვენებითი	- <b>шәа</b>

### აბსოლუტივი

გადმოსცემს დამატებით მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებს ძირითადი ზმნით გამოხატულ მოქმედებას.

ინფინიტური ფორმაა გარკვეულწილად:

I ზმნის დრო-კილოთა სუფიქსის არმქონე იშვიათი ფორმა: **а-ма-заа-ра > сы-ма:**

**сѡызцәа сы-ма сааит** „მეგობრებთან ერთად მოვედი“.

II უფრო გავრცელებულია აწმყოს ინფინიტურ დაბოლოებიანი ფორმა: **-ya>o**

**д-гәырҕа (< д-гәырҕа-ya) дааит** „იგი გახარებული მოვიდა“

III გარდაქცევითობის **-ны** სუფიქსიანი:

**ауроккәа кацаны, ахәмарра сцеит** „გაკვეთილები მოვამზადე (და, რა) სათამაშოდ წავედი“.

IV მხოლოდ უარყოფითი ფორმის აბსოლუტივისათვის დამახასიათებელი, **кәа** სუფიქსიანი წარმოება: **ацәа имфакәа икаижьит** „ვამლი შეუჭმელად გადააგდო“.

გარდამავალი ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებ აბსოლუტივებში სუბიექტის პირი, კლასი და რიცხვი ჩვეულებრივ არ აღინიშნება.

### კითხვითი ფორმა

აფხაზური ზმნა კითხვით ფორმათა სიუხვით გამოირჩევა. გვხვდება შემდეგი სახის კითხვითი ფორმები:

1. ინტონაციური: **уара иакауцеит?**

2. ალტერნატიული: თავსა და ბოლოში გაფორმებული:

**дцо-у / дымцо-у?**

„წავიდა თუ არ წასულა?“

3. ჩაკითხვისას: **-ба** ნაწილაკიანი: **дцеит-ба?** „წავიდაო?“

4. საგანგებო კითხვითი აფიქსები გამოიყენება ყველა ნაკვეთის ფორმაში:

განარჩევს ადამიანისა და არაგონიერთა კლასებს. ადამიანი „**дарбан?**“

არაგონიერი, ნივთი „**нарбан?**“

**Дарбан** > -და სუფიქსი დაერთვის ნაკვეთის ინფინიტურ ფორმას:

**ицо дарбан?** „ვინც მიდის ვინ არის?“ > **ицо-да?** „ვინ მიდის?“, **ика-да?** „ვინ არის?“, **и-казца-да?** „ვინ გააკეთა? **Дызба-да?** „ვინ დაინახა?“

5. არაგონიერთა კლასის კითხვითი ფორმები იწარმოება ნებისმიერი ნაკვეთის ინფინიტურ ფორმაზე კითხვითი: **-и, -зеи, -зи** სუფიქსების დართვით: **иуге-и?** „რა წაიღე?“, **иуго-зеи** „რა მიგაქვს?“, **иуго-зи?** „რა წაიღე?“

-და სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით ირკვევა სუბიექტის ვინაობა, ხოლო

**-и, -зеи, -зи** სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით ირკვევა ობიექტის ვინაობა ან რაობა.

6. ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის რაობა ირკვევა **-ма** სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით, ითხოვს პირდაპირ პასუხს: **дцо-ма?** „მიდის?“, **дкоу-ма?** „არის?“, **икаца-ма?** „გაკეთა?“

7. სპეციფიკურ საგარემოებო ელემენტებზე: **ан** (დროის), **ахь** (ადგილის), **ш** (ვითარების) პრეფიქსებს ერთვის **-ნა** ელემენტი, ვიღებთ **анба** „როდის?“ **ахьна > ахьна > ანა** „სად?“, **\*шна > шна** „როგორ?“ ...ესენი დაერთვის ნაკვთთა ინფინიტურ ფუძეებს:

**данбацо?** „როდის მიდის?“

**дабацо?** „სად მიდის?“

**дышнацо?** „როგორ მიდის?“

8. ზოგჯერ პრეფიქსს და სუფიქსს ზმნა ერთდროულად დაერთავს:

**д-анбаце-и?** „როდის წავიდა?“

9. მიზეზის აღმნიშვნელი **з-** პრეფიქსიანი კითხვითი ფორმები ჩვეულებრივ **-ი**, **-ზეი**, **-ში** კითხვითობის სუფიქსებს დაერთავენ: **у-з-це-и?** „რისთვის, რატომ წახვედი?“

### ზმნის უარყოფითი ფორმები

აწარმოებს **м** აფიქსი, რომელიც ხან პრეფიქსია, ხან სუფიქსი.

**-მ** სტატიკურ ზმნებში, დინამიკურ ფინიტურ აწმყოში, მყოფად I, მყოფად II, ნამყო უსრულში დგას ძირის შემდეგ (სუფიქსია).

სტატიკური ფინიტური

დინამიკური ფინიტური

აწმყო **сы-ка-м** „არ ვარ“

**с-но-м** „არ მივდივარ“

ნამყო. უსრ. **сы-ка-мы-з-т** „არ ვყოფილვარ“

**сцомызт** „არ მივდიოდი“

მყოფად I –

**с-ца-ры-м** „არ წავალ“

მყოფად II –

**с-цаша-м** „არ წავალ“.

**м-** ზმნის ძირის წინ დგას დინამიკურ ფინიტურ ნამყო განუსაზღვრელში, აორისტში, ნამყო უკვეობითში, ნამყო წინარე წარსულის ფორმებსა და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმებში (პრეფიქსია).

### დინამიკური ზმნის ფინიტური წარმოება

ნამყო განუს.	<b>сы-м-ца-з-т</b>	„არ წავედი და“
აორისტ	<b>сы-м-це-ит</b>	„არ წავედი“
ნამყო უკვეობითი	<b>сы-м-ца-ц-т</b>	„არ წავსულვარ“
ნამყო წინ. წარს.	<b>сы-м-ца-цы-з-т</b>	„არ ვიყავი წასული“

**დინამიკური ზმნის ინფინიტური წარმოება**

აწმყო	<b>с-ахьы-м-ц0</b>	„სადაც არ მივდივარ“
მყოფ. I	<b>с-ахьы-м-цара</b>	„სადაც არ წავალ“
მყოფ. II	<b>с-ахьы-м-ца-ша</b>	„სადაც არ წავალ“
ნამყ. უსრ.	<b>с-ахьы-м-ц0-з</b>	„სადაც არ მივდიოდი“
ნამყ. განუს.	<b>с-ахьы-м-ца-з</b>	„სადაც არ წავედი და“
აორისტი	<b>с-ахьы-м-ца</b>	„სადაც არ წავედი“
ნამყ. უკვ	<b>с-ахьы-м-ца-ц</b>	„სადაც არ წავსულვარ“
ნამყ. უკ. წინ. წარს.	<b>с-ахьы-м-ца-цы-з</b>	„სადაც არ წავსულიყავი“

უარყოფის **м-** ასევე პრეფიქსია დინამიკურ ზმნათა უარყოფით-კითხვით ფორმებში, თხრობითის გარდა ყველა კილოსა და სიტყვა-წარმოებით კატეგორიაში.

აწმყო: **дымц0и?** „ის არ მიდის?“

თავისებურია უარყოფითი ბრძანებითის წარმოება, რომელშიც დინამიკური ზმნის ძირის წინ დგას უარყოფის პრეფიქსი, ხოლო ზმნის ძირის შემდეგ **-н** სუფიქსი, რომელიც მიღებულია უარყოფის **м-** ნაწილაკისაგან დისტანციური დისიმილაციით: **и-у-м-га-м > и-у-м-га-н!** „არ წაიღო!“

**у-м-ца-м > у-м-ца-н!** „არ წახვიდე!“

განსხვავებით დადებითი ბრძანებითისაგან უარყოფით ბრძანებითში ყველა კლას-პირის აფიქსია უკლებლივ წარმოდგენილი.

**მიმღობა**

მიმღობის გამოსახატავად აფხაზურში ყველაზე პროდუქტიულია სამიმართებო პრეფიქსიანი **и(ы)-** და **з-**პრეფიქსიანი ზმნის ინფინიტური წარმოება.

არის ზმნის ფუძის სახით წარმოდგენილი მიმღობები: **а-лала** „ირაო, საქონელი“ (**а-ла-ла-ра** „რამეში შესვლა“), **а-м-дыр** „უვიცი“ (**а-дыр-ра** „ცოდნა“) **а-так** „პასუხი“ (**атара** „მიცემა) **а-м-у-ча** „მუქთახორა“ (**ау-ра** „ქმნა“). აფხაზური მიმღობას აწარმოებს აგრეთვე ზმნის ფუძეზე მოქმედი პირის აღმნიშვნელი **-0ы** ან სამოქმედო საგნის აღმნიშვნელი **-т0** სუფიქსის დართვით: **а-р-ца-ра** „სწავლება“ > **а-р-ца-0ы** „მასწავლებელი“, **а-ца-ра** „სწავლა“ > **а-ца-0ы** „მოსწავლე“, **аиба-ш-ра** „ბრძოლა“ ზედმიწ. „ურთიერთკვლა, ომი“ > **аиба-ш-0ы** „მეომარი“, **а-ка-ца-т0ы** „გასაკეთებელი (**а-ка-ца-ра** „კეთება“), **а-ус-у-т0** „სამუშაო“ (**а-ус** „საქმე“, **а-у-ра** „ქმნა“).

ამჟამად არაპროდუქტიული **-ხა, -ხა, -ხ** სუფიქსებით ნაწარმოები მიმღობები: **ა-ყა-ტა-ხა** „ალთქმა“ (**ა-ყი** „პირი“, **ა-ტა-რა** „მიცემა“) **ა-ხა-ხა** „ნათქვამი“ (**ა-ხა-რა** „თქმა“) **აა-ზა-ხა** „ბუთხუზა ბავშვი“ (**აა-ზა-რა** „აღზრდა“), **ა-ყი-ბლ-ა-ხა** „ნამწვი“ (**ა-ბლ-რა** „წვა“), **ა-ჩა-ხ** „კვებული“ (**ა-ჩა-რა** „პურობა“) **ა-ხ-ძა-ხა** „მონაჭერი“, (**ა-ხ-ძა-რა** „მოჭრა, წაკვეთა“) **ა-ყ-ძა-ხა** „ნაგლეჯი“ (**ა-ყ-ძა-რა** „მოწყვეტა, მოგლეჯა“) **ა-ლყ-აა-ხ** „ამორჩეული, შერჩეული“ (**ა-ლყ-აა-რა** „ამორჩევა“) **ა-კა-შა-რა-ხ** „მიგდებული ბავშვი“ (**ა-კა-შა-რა** „გადაგდება“), **ა-შა-რა-ხ** „ნადირი“ (**ა-შა-რა** „ნადირობა“).

### ზმნიზება

ზმნიზედები აფხაზურში სამ უმთავრეს ჯგუფში ერთიანდებიან:

1. ადგილის **ზმნიზედები**: **აბრა** || > **აპა** „აქ“, **უბრა** || > **უა** „იქ“, **აბნა** || > **ანა** „მანდ“ (რომლებიც კავშირშია ნაცვალსახელებთან: **აბრი** || > **არი** „ეს“, **უბრი** || > **უი** „ის, იგი“, **აბნი** || > **ანი** „ეგ“, **აანგა** „ახლოს“, **აარცა** „გამოდმა“, **ნყრცა** „გაღმა“, **აადა** „მალა, ზემოთ“, **აადა** „დაბლა, ქვემოთ“. ზოგი ადგილის ზმნიზედა იწარმოება არსებითი სახელის ფუძეზე **-ჟ** სუფიქსის დართვით: **ამაჟან** „გზად“, **აკყტან** „სოფლად“.

2. დროის **ზმნიზედები** სხვადასხვა გზით არის ნაწარმოები: **ნაყა** || > **ეყა** „დღეს“, **ნაყი** || > **ეყი** „გუშინ“, **უაყა** „ამალამ“, **უაყი** „ხვალ“, **უაყაშაყა** „ზეგ“ (ზედმიწ.: „ხვალის შემდეგ“), **ააყი-ყაყი** „მთელ წელიწადს“, **ეყიშა** „ყოველდღე“, **უყან** „მამინ“, **ყიყი** „ერთხელ“, **ააყაყა** „განთიადისას“, **ყიყიშა** „შუალამისას“...

3. ვითარების **ზმნიზედები**: **აბაყ** || > **აყ** „ასე, ამგვარად“, **უბაყ** || > **უყ** „ისე“, **აბაყი** || > **აყი** „ეგრე“ (ეს ზმნიზედები ადგილის რამდენიმე ზმნიზედის მსგავსად კავშირშია ნაცვალსახელებთან: **აბრი** || > **არი** „ეს“, **უბრი** > **უი** „ის, იგი“, **აბნი** || > **ანი** „ეგ“. **ნააყიყი** „მოულოდნელად, უცებ“, **ნააყი** „უცებ“, **ნააყი** „ბლომად“, **ყიყი** „მცირედ“, **ყიყი** „აუცილებლად“.

### თანდებული

აფხაზური ენა გამოირჩევა თანდებულთა სიმცირით. თანდებულთა სიმცირე სახელებთან კომპენსირებულია წინდებულთა სიუხვით ზმნებში.

ძირითადი თანდებულებია: **-აყ-** „კენ, -ში“ (**ააყი** **აყ** „სკოლი-



საკენ“) – **აყы-** „ში“ (**акыта-ყ** „სოფელში“), **-ка** „-კენ; -ში“ (**аоны-ка** „სახლში, შინ, შინისაკენ“), **-нза** „-მდე“ (**акыта-нза** „სოფლამდე“), **-кны || кын** „-თან“ (**сара с-кны** „ჩემთან“), **шка** „-კენ“ (**аклуб ашка** „კლუბისაკენ“), **-нтә** „-დან“ (**қарты-нтә** „თბილისიდან“), **амцан** „ძირას“ (**ацәацла амцан** „ვაშლის ხის ძირას, ქვეშ“), **-зы** „-თვის“ (**ацара-зы** „სწავლისათვის“, **сара с-зы** „ჩემთვის“), **-ла** „-ით“ (**шыпы-ла** „ფეხით, ქვეითად“, **ყы-ла** „ცხენით“) და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლოკალური ურთიერთობა/მიმართულება აფხაზურში ძირითადად ლოკალური პრევერბებითა და ძირ-სუფიქსებით გადმოიცემა, ამიტომ თანდებულები სახელებთან იშვიათად იხმარება. აფხაზური ენის სხვა დიალექტებში შეიმჩნევა **-ахь, -кны || -кын, -ка** თანდებულების ერთი **-ყ < ақы-** „ში“ თანდებულით შეცვლის ტენდენცია.

### კავშირი

აფხაზურ ენას არ გააჩნია რთული ქვეწყობილი წინადადება. შესაბამისად, არც მაქვემდებარებელი კავშირები. ის, რაც სხვა ენებში სინტაქსის სფეროს განეკუთვნება და წარმოდგენილია მთავარი და დამოკიდებული წინადადების სახით, აფხაზურში თავისებურად ასახულია ზმნის დრო-კილოთა ფორმებში. მთავარ წინადადებას დროთა ფინიტური, ხოლო დამოკიდებულს დროთა ინფინიტური წარმოება შეესაბამება (იხ. ზემოთ).

აფხაზურში გამოყოფენ კავშირთა სამ მთავარ ჯგუფს:

**1. მაერთებელი კავშირები**, რომლებიც უფრო ნაწილაკური ბუნებისაა და დამოუკიდებელ ერთეულებს არ წარმოადგენს. მაგ.: **-и** სუფიქსი უდრის ქართულის „და“ კავშირს და დაერთვის წინადადებაში წარმოდგენილ ყველა საკავშირებელ სიტყვას: **сар-и, санду-и, илико-и, илариони-и** „მე ბებია (ჩემი), ილიკო და ილარიონი“.

ამავე წესით გამოიყენება აგრეთვე ქართული **-ც** ნაწილაკის ფარდი **-гьы**, კავშირ-ნაწილაკი: **сар-гьы, уар-гьы, иар-гьы** „მეც, შენცა და ისიც“...

**2. მაცალკეებელი კავშირები**: **иа** „ან“, **ма** „ან“: **иа сара, иа уара** „ან მე, ან შენ“, **ма ацәа, ма аха** „ან ვაშლი, ან მსხალი“.

**3. მაპირისპირებელი კავშირები**: **аха** „მაგრამ“, **амала** „ოღონდ“, **акәымзар || мамзар || макәымзар** „თორემ“.

## ნაწილაკი

აფხაზურ ენას ნაწილაკებიც მცირე რაოდენობით მოეპოვება. დადასტურებითი ნაწილაკებია: **აა, აანი, აიენი** „ჰო, დიახ, კი“; უარყოფითი ნაწილაკებია: **мап, мамоу** „არა, ვერა“. დანანებას გადმოსცემს დამოუკიდებლად ხმარებული ან ზმნის ფორმაში ჩართული **гэашья** „საწყალი“ ნაწილაკი: **дыпс-гэашье-ит** „მოკვდა საწყალი“. სხვათა სიტყვის ნაწილაკია **ахәа-ра** „თქმა“ ზმნის ძირისაგან მომდინარე **-хәа** სუფიქს-ნაწილაკი, რომელიც უდრის ქართულის **-მეთქი, -თქო, -ო** ნაწილაკებს: **саргы сцоит-хәа ухәе-ит** „მეც წავალ-მეთქი, გითხარი“, **саргы сцоит-хәа сызиахә** „გადაეცი (ჩემთვის უთხარი) მას, მეც წავალ-თქო“ **саргы сцоит-хәа сөиxәеит** „მეც წავალ, მითხრა მან“.

## შორისდებული

შორისდებულებია: გოცების, მწუხარების გამომხატველი **унан** „ვაიმე, უიმე, უი“, **дида** „დედი!“; გამამხნეველები **ахахаит, амарца**; გოცების **цыым-цыым**; რისხვის გამომხატველი: **уут, ааит**; სიწყნარისაკენ მომწოდებელი **сишь, ашьшьыхәа** „სუ, ჩუმად, წყნარად“, მიმართვისას სახმარი **о, уа, уаа** „ო, ჰო, ჰე“ და სხვ.

## სინტაქსი

### ატრიბუტული სინტაგმა

ზემოთ აღინიშნა, რომ აფხაზურს ბრუნების სისტემა არ გააჩნია; შესაბამისად, სახელური შესიტყვების (ატრიბუტული სინტაგმის) კონსტრუქციაც თავისებურადაა ასახული ამ ენაში.

კონკრეტული საკითხის განხილვისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ნაცვალსახელის, რიცხვითი სახელისა და ზედსართავი სახელის თავისებურებათა გათვალისწინება არსებით სახელთან კომბინაციაში: შესიტყვებაში შემავალ კომპონენტთა ადგილი, შეთანხმება რიცხვისა და კლასის მიხედვით და სხვ.

### ნაცვალსახელი სინტაგმაში

ნაცვალსახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზურ ენაში. ნაცვალსახელის მეშვეობით გამოიხატება აფხაზურში ე. წ. სახელთა კუთვნილებითი კატეგორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურში არ არის ნათესაობითი ბრუნვა და საერთოდ ბრუნვები. ის, რაც ქართულში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (ე. ი. კუთვნილება) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი შინაარსის მქონე პრეფიქსებით, ანუ პირის ნაცვალსახელებიდან მომდინარე ფორმანტებით.

#### კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

მხ. რ.

I პ.	<b>сара</b>	– „მე“	–	<b>с(ы)</b>	
II პ.	{	<b>уара</b>	– „შენ“ (მკ.)	–	<b>и(ы)</b>
		<b>бара</b>	– „შენ“ (ქ.)	–	<b>б(ы)</b>
III პ.	<b>иара</b>	– „ის“ (მკ.)	–	<b>и(ы)</b>	
	<b>лара</b>	– „ის“ (ქ.)	–	<b>л(ы)</b>	
	<b>иара</b>	– „ის“ (ნ., არაგ.)	–	<b>а</b>	

მრ. რ.

I პ.	<b>хара</b>	–	„ჩვენ“	–	<b>х(а)</b>
II პ.	<b>шәара</b>	–	„თქვენ“	–	<b>шә(ы)</b>
III პ.	<b>дара</b>	–	„ისინი“	–	<b>р (ы)</b>

ყველა კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო მარტივი ფორმითაც, **ра**-ს გარეშე **са** „მე“, **ya** „შენ“ (მკ.), **ба** „შენ“ (ქ.), **иа** „ის“ (მკ. და არაგ.) **ла** „ის“ (ქ.), **ха** „ჩვენ“, **шәа** „თქვენ“, **да** „ისინი“.

მრავლობითი რიცხვის **хара** „ჩვენ“ და **шәара** „თქვენ“ ნაცვალსახელების გვერდით გამოიყენება **харт** „ჩვენ“ და **шәарт** „თქვენ“.

„აფხაზური ენის გრამატიკაში“ (ნაწილი დამუშავებულია ხ. ბლაჟბას მიერ) მითითებულია, რომ **хара**-ს აქვს ინკლუზიური მნიშვნელობა: მოსაუბრე რთავს „ჩვენ“-ში მსმენელსაც, ხოლო ექსკლუზიური მნიშვნელობა, რომელიც მსმენელს გამორიცხავს, მიიღება პირის **хара**

„ჩვენ“ ნაცვალსახელზე -ტ (**хар-т**) სუფიქსის დართვით (შდრ. აბაზ. **хара брат** „ჩვენ შენ გარეშე“. ანალოგიურად იწარმოება მეორე პირის ფორმა **шәара** „თქვენ“, **шәар-т** (შდრ. აბაზ. **шәарабрат** „თქვენ ჩემ გარეშე“ (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 35).

ქართული „სტუდენტის ხელი“ აფხაზურად იქნება **астудент инапы...** ქართულის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად:

ქართ. ქალიშვილის ხელი აფხაზ.: **аџаб л-напы**  
 თუ სიტყვაში მახვილი მოდის ზოგადობის **а-** პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **ы-**თია წარმოდგენილი:

<b>ала</b>	–	<b>сыла</b>	„ჩემი თვალი“
<b>ала</b>	–	<b>сла</b>	„ჩემი ძალი“
მაგ.		<b>сара с-аб инапы</b>	„მამაჩემის ხელი“
		<b>сара с-ан л-шьапы</b>	„დედაჩემის ფეხი“
		<b>уара у-фыза и-хы</b>	„შენი (მკ.) ამხანაგის თავი“

ასე მიიღება კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთაგან კუთვნილების შინაარსის მქონე ნაცვალსახელური პრეფიქსები აფხაზურში.

აფხაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის კუთვნილებითი ნაცვალსახელების უქონლობა ჩანაცვლებულია პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე ე. წ. „ი“-ს რიგის პრეფიქსებით (იხ. ზემოთ).

ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის კუთვნილებითი **а-** პრეფიქსი განსხვავდება ნივთთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის **иара** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **иа** ძირისაგან. ეს **а-** პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზური ენის გრამატიკაში“ აგრეთვე მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებით **р-** ნიშანზე, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი **дара** „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურ ელემენტ **д-**ს (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 34).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **дара** „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „**рара**“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **р-** მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **и-д-рашәоит //и-р-рашәоит** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად, პირველადი უნდა ყოფილიყო არა **дара**, არამედ **рара**;

ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, რომ III პ.-ის მრ.-ის ნიშანი **ძ-** უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **რ-**. იგი **ძ-** უნდა მომდინარეობდესო **ძრა** ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945: 34).

ავხაზურში სახელურ სინტაგმაში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნელის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ღარა აჟჟაჟს ლჟჟს ჟაჟს** „მისი ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც (გვანცელაძე 2003 : 60).

ავხაზურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში ხშირად გვევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული **ა-ტყ** „კუთვნილება, საკუთრება“ ან **ა-ხატყ** „თავისი, პირადი“ ფუძეები, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა დაჩრდილულია.

**აა (რა) ა-ტყ** „ჩემი კუთვნილი“

**აა(რა) ატყ** „შენი (მკ.) კუთვნილი“ და ა. შ.

### ჩვენებითი ნაცვალსახელი

შესიტყვებაში ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია და წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: **აბრი // არი აბყ** „ეს სახლი“, **აბრი // აბყ** „აბყ“ „ეგ სახლი“, **აბრი // აბყ** „ის სახლი“, **აბარტ // არტ აბყჟა** „ეს სახლები“, **აბანტ // ანტ აბყჟა** „ეგ სახლები“, **აბარტ // არტ აბყჟა** „ის სახლები“ (გვანცელაძე 2003 : 59).

### ზედსართავი სახელი სინტაგმაში

ზედსართავი სახელი არის ვითარებითი და მიმართებითი. ატრიბუტულ სინტაგმაში ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: **აბყ შკჟაჟა** „თოვლი თეთრი“, **აბყ დყ** „ცხენი დიდი“ და სხვ.

მრავლობით რიცხვში ნივთთა (არაგონიერთა) კლასში მრავლობითობის **-ჟა** სუფიქსით ფორმდება მსაზღვრელი: **აბყ დყ** „დიდი ცხენი“, **აბყ დჟა** „დიდი ცხენები“.

ადამიანის (გონიერთა) კლასში კი ადგილი აქვს სხვაობას: ადამიანთა კატეგორიის სახელს მრავლობითში ექნება თავისი **-ჟა** სუფიქსი, ან რომელიმე სხვა სუფიქსი, მაგ.: კრებითობის **-რა**, **-აა**, ხოლო ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს, რომელიც აგრეთვე მოსდევს საზღვრულს, თავისი, ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიის

-**კაა** სუფიქსი: **ахаца дьукәа** „დიდი კაცები“, ზედმიწ.: „კაცები დიდები“... **афыцәа бзиақәа** „ამხანაგები კარგები“ **ачкәынцәа хәычкәа** „ბიჭები პატარები“...

### რიცხვითი სახელი სინტაგმაში

ნივთის კატეგორიის რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ წინ უძღვის საზღვრულს. „ერთი“ რიცხვითი სახელი გამონაკლისია. იგი, როგორც ზემოთ ითქვა, განუსაზღვრელობის ნიშნად **-к** სუფიქსის სახით ერთვის სახელს.

რიცხვითი სახელი მსაზღვრელის როლში ადამიანის, გონიერთა და ნივთის, არაგონიერთა კლასს არ განარჩევს.

ორიდან მოყოლებული, არსებით სახელს ნივთთა კატეგორიაში მსაზღვრელად წინ მიერთვის რიცხვითი სახელის ძირი:

**ფычык** „ორი რომელიღაც ცხენი“

**хәчык** „ხუთი რომელიღაც ცხენი“...

ქეთევან ლომთათიძე ვარაუდობს, რომ ადამიანის (გონიერთა) კლასშიც იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო ისტორიულად, მაგრამ ამჟამად შეცვლილი ჩანსო. ორიდან მოყოლებული სახელი თავისი ფუძით წინ უძღვის საზღვრულს და ადამიანთა, გონიერთა კლასის სუფიქსსაც ინარჩუნებს:

**фы хаца** „ორი კაც(ებ)ი“

რიცხვით სახელთა მსაზღვრელად გამოყენებისას შესაძლებელია შებრუნებული (პოსტპოზიციური) წყობაც: საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელად რიცხვითი სახელი. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა (გონიერთა) და ნივთთა (არაგონიერთა) რიცხვით სახელთან ერთად საზღვრული არსებითი სახელი სინტაგმაში ზოგადი ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მსაზღვრელი რიცხვითი სახელი, მთლიანად, ფუძის სახით.

მაგ.: **ахаца хы** „კაცები სამი“

**а-еқәа хија** „ცხენები სამი“

შებრუნებული წყობა უფრო გავრცელებულია ადამიანთა (გონიერთა) კლასში.

მაგ.: **сара сфыцәа фыца** „ჩემი ამხანაგები ორი (ად.)“

აღსანიშნავია, რომ (ნივთთა, არაგონიერთა) კატეგორიის რიცხვით სახელს პოსტპოზიციურ წყობაში მიახლოებითი შინაარსიც ახლავს.

მაგ.: **аеқәа да** „ცხენები ორიოდ“.

### პრედიკატული სინტაგმა

აფხაზურ ენაში წინადადების წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან გარკვეული წესით და იქმნება შესიტყვებანი ანუ წყვილები, რომელთა შორის ერთი მთავარია, მეორე მასზე დამოკიდებული.

აფხაზური შესიტყვების წევრთა შორის არის სინტაქსური ურთიერთობის შემდეგი სახეობები: **შეთანხმება, მირთვა, სიტყვათა რიგი**. აფხაზურისათვის მართვა და კოორდინაცია არაა დამახასიათებელი.

**შეთანხმება** ხდება სახელებს შორის, ან სახელსა და ზმნას შორის კლასში, პირსა და რიცხვში. შესაბამისად არის შეთანხმების ორი სახეობა: 1. სახელი ითანხმებს ზმნას კლასში და აჩენს მასში სათანადო გრამატიკული კლასის ნიშანს: **yapa y-xamaryeyt** „შენ (მკ.) თამაშობ“, **bara by-xamaryeyt** „შენ (ქ.) თამაშობ“ და ა. შ.

2. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში, თუ სახელი სუბიექტია ან ობიექტი: **sapa cyoyt** „მე მივდივარ“, **xara xcyoyt** „ჩვენ მივდივართ“ და ა. შ.

**მირთვა** აფხაზურისათვის მეტად გავრცელებული სინტაქსური ურთიერთობის სახეობაა. მისი პროდუქტიულობა გამოწვეულია ბრუნების სისტემის უქონლობით ამ ენაში.

მირთვისას სინტაგმის წევრებს მორფოლოგიურად გამოხატული გრამატიკული კატეგორიები არ ახასიათებს.

ერთმანეთს მიერთვის: ა) ზმნა და აფიქსიანი სახელი: **шаны-ла дааит** „ფეხით მოვიდა“.

ბ) ზმნა და უაფიქსო სიტყვა: **Гагра дцеит** „გაგრაში წავიდა“.

გ) ნასახელარი ინფინიტური სტატიკური ზმნა და უაფიქსო სიტყვა **зынза и/хэычуп** „ძალიან პატარაა“.

**სიტყვათა რიგი** აფხაზურ შესიტყვებაში ამ ენის გრამატიკული სტრუქტურის თავისებურების გამო ხშირად მორფოლოგიურ-სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. სიტყვათა რიგი მყარია, იშვიათად – შედარებით თავისუფალი. სიტყვათა რიგის საკითხი ატრიბუტულ სინტაგმაში განხილული გვაქვს ზემოთ, აქ მხოლოდ პრედიკატული სინტაგმის სიტყვათა რიგს შევხებით.

წინადადებაში რეალური სუბიექტის აღმნიშვნელი სიტყვა ჩვეულებრივ პირველ ადგილას დგას, მას მოსდევს ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვები, მაშინ როდესაც ზმნაში შეიძლება სათანადო კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები იმავე ან შებრუნებული წყობით იყოს წარმოდგენილი:

ერთპირიან ზმნასთან:	<b>S</b> ↓	<b>S</b> ↓		
ორპირიან ზმნასთან:	<b>ახაყყყ</b> ↓	<b>დ-ყაყყიტ</b> ↓	<b>О</b> ↓	<b>О<sub>ორ</sub> S</b> ↓ ↓
	<b>Кама</b>	<b>ашаққы и-лы-моуп</b>		„ბავშვი ტირის“.  „კამას წიგნი აქვს“.
სამპირიან ზმნასთან	<b>S</b> ↓	<b>О<sub>ორ</sub></b> ↓	<b>О<sub>ა</sub></b> ↓	<b>О<sub>ა</sub>О<sub>ორ</sub>S</b> ↓ ↓ ↓
	<b>анду</b>	<b>Адғаыр аңға и-и-л-тент</b>		„ბებია მ ადგურს ვაშლი მისცა“.

(გვანცელაძე 2003: 118-122).

თუ წინადადებაში არის გარდაუვალი ზმნა, მაშინ ქვემდებარისა და დამატების განლაგება ემთხვევა ზმნაში სათანადო აფიქსთა განაწილებას, ე. ი. ჯერ დგას სუბიექტი (ქვემდებარე), შემდეგ კი ირიბი ობიექტი (ირიბი დამატება).

მაგალითად: **ачкәын сара д-сы-и-уп** „ბიჭი მე მახლავს“

გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში პირველ ადგილას სუბიექტის (ქვემდებარის) აღმნიშვნელი სახელი დგას, ხოლო შემდეგ ობიექტებისა (სამპირიან ზმნასთან ჯერ პირდაპირი ობიექტის სახელი დგას, შემდეგ ირიბი ობიექტისა, ხოლო ზმნის წინ – სუბიექტისა), ე. ი. სახელთა განლაგება საპირისპიროა ზმნურ ფორმათა სათანადო აფიქსების განაწილებისა.

მაგალითად:

ორპირიანი – **Алхас пұхәйс да-аа-и-гент** „ალხასმა ცოლი მოიყვანა“

სამპირიანი – **сара сыпұха ак и-л-а-схәнт** „მე ჩემს ასულს რაღაც ვუთხარი“.

თუ ზმნაში პირველ ადგილას დგას მხოლოდითი რიცხვის III პირის დ-ს რიგის არაგონიერთა კლასის **и(ы)** – პრეფიქსი ან მრავლობითი რიცხვის III პირის **и(ы)** - პრეფიქსი და შესაბამისი სახელიც უშუალოდ წინ უძღვის ზმნას, მაშინ ზმნურ ფორმას **и(ы)** ნიშანი ჩამოშორდება.

გარდაუვალი: **ахәычкәа (и) хәмаруент** „ბავშვები თამაშობენ“

გარდამავალი: **сара аңға (и)-с-фе-ит** „მე ვაშლი შევჭამე“ (გვანცელაძე 2003: 73).



## ლექსიკა

აფხაზური ენის ლექსიკური ფონდი ისევე მოიცავს საკუთარი და ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს, როგორც ყველა ენა.

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება **ნაცვალსახელები**: (сара „მე“, уара, бара „შენ“, нара, лара „ის, იგი“, хара „ჩვენ“, шара „თქვენ“, дара „ისინი“, абри „ეს“, убри „ის“...),

**სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი, ანუ სომატური ლექსიკა**: (ахы „თავი“, агы „გული“, апапы „ხელი“, ашыапы „ფეხი“, ахәда „კისერი“. ნათესაობის ტერმინები: ан „დედა“, аң „მამა“, аңа „მე, ვაჟიშვილი“, аңха „ასული“, аиаша „ძმა“.

**რიხვითი სახელები**: акы, азғы „ერთი“, аңа, ашыа „ორი“, хңа „სამი“, жәаңа „ათი“.

**ცხოველთა და ფრინველთა სახელები**: аң „ხარი“, ажә „ძროხა“, ащма „თხა“, ахә „ღორი“, ахәыс „ხბო“, апыс „ჩიტო“, арбаңь „მამალი“, арпына „დედალი“, аңга „მგელი, ტურა“, аңғы „კატა“...

**ბუნების მოვლენათა სახელები**: ақә „წვიმა“, асы „თოვლი“, ацаа „ყინვა“, амацәыс „ელვა“...

**ლანდშაფტის ლექსიკა**: ашыа „მთა“, арха „ველი“, амышн „ზღვა“, аңста „ხეობა“, азмах „ჭაობი“, ахра „კლდე“, атыша „უფსკრული“.

**ზმნები**: абара „ხედვა, დანახვა“, ахәыщра „ფიქრი“, атара „მიცემა“, акра „ჭერა“, асра „ცემა“... ძირითადი ლექსიკური ფონდი აფხაზურს საზიარო აქვს აზაზურთან, სხვაობა ფონეტიკურ ვარიანტებშია.

აფხაზური წარმოშობის სიტყვები კანონზომიერ შესატყვისობას ავლენს ადიღურ-ჩერქეზულ და უბიხურ ენათა შესაბამის მასალასთან. ასევე ქართველურ, ნახურ და დაღესტნურ ენებთან. მაგ: са-ра „მე“ (შდრ. აზაზ. са-ра „მე“, ადიღ.-ყაბ. сә „მე“, უბიხ. сҕәӕ „მე“), აფხაზური а-ңз „ენა“ (აზაზ. ңзы, ადიღ.-ყაბ. ңзӕ, უბიხ. ңзӕ „ენა“).

აფხაზურ ენაში, სხვადასხვა ეპოქაში მეზობელ ენათაგან, რომლებთანაც აფხაზებს უშუალო კუთვრულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ, მკვიდრდებოდა ნასესხები ლექსიკა. ქართული, ჩერქეზული, თურქული, რუსული და ზოგი სხვა ენებიდან საკმაოდ ბევრი სიტყვაა შესული აფხაზურში. სესხების დროს ხდება ნასესხები სიტყვების ფონეტიკური ადაპტაცია. მნიშვნელობის ცვლა, გაფართოება, დავიწროება, გადატანა და სხვა. მაგ: ადიღ.-ყაბ. წარმოშო-

ბის ლექსემები **а-калпъад** „წინდა“, **а-къабз** „ადათი, ჩვეულება“, **а-къакъа** „ულაყი“.

არაბულ-სპარსული წარმოშობისაა: **ацъал** „ბედისწერა“, **а-татын** „თამბაქო“, **а-къаф** „ქეიფი“, **ахъащъа** „ხოჯა“, **щъанат** „სამოთხე“, **щъаханым** „ჯოჯოხეთი, ჯანდაბა“.

**რუსულიდან** ნასესხებია: **а-закъан** „კანონი“, **а-наука** „მეცნიერება“, **афицар** „ოფიცერი“, **а-стол** „მაგიდა“, **а-област** „ოლქი“.

**ქართულიდან** ნასესხებია: **а-щъар** „ჯვარი“, **а-галаба** „გალობა“, **а-зареба** „ზიარება“, **Гъаргъаба** „გიორგობა“, **Къыркъа** „ივნისი, კვირიკობისთვე“, **а-уахъама** „ეკლესია“.

აფხაზური ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება ხდება ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების ჩამოყალიბების გზითაც. ნეოლოგიზმები მიიღება კომპოზიციითა და აფიქსაციით, ზოგჯერ ორივეთი ერთდროულად. სიტყვამაწარმოებელი აფიქსებისაგან ყველაზე ხშირად **-ра**, **-фы**, **-га**, **-рта//ტრა**, **-мта**, **-дара**, **-тэра**, **-ркра** სუფიქსები გამოიყენება. ამ აფიქსებით ნაწარმოებია: **аеиидсалара** „შეპირისპირება“, **аидыртэалара** „შედულება“, **ащыргакъара** „გამოფენა“, **ахъзынщъалара** „მიძღვნა“.

### ხატოვანი სიტყვა-თქმები

აფხაზურ ლექსიკაში ხატოვანი სიტყვა-თქმა ყოველი მეორე თუ არა, მესამე სიტყვა. ამ ენის მსოფლხედვის წყალობით, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითქმის ყოველი მესამე სიტყვა მხატვრული აზროვნების ნიმუშს მოგვაგონებს.

**абду** „ბაბუა, პაპა“ („მამა+დიდი“), **анду** „ბებია, დიდედა“ („დედა+დიდი“), **ахъшьаду** „მამიდა“ („დიდი და“), **ахъа** „სიმამრი, მამამთილი“ („ირიბი მამა“)... მყარ გამონათქვამებად ქცეული სინტაგმებია გადატანითი მნიშვნელობით.

**абзиабара** „სიყვარული“ („კარგად დანახვა“), **агъабзиара** „ჯანმრთელობა“ („გულის სიკარგე“), **агъазынбылра** „გულშემატკივრობა“ („მასზე გულის წვა“), **агъащъара** „მოწონება“ („გულის სითბო“), **азыщъара** „მოლოდინი“ (კენ ყურება)...

საინტერესოა მცენარეთა და ცხოველთა ზოგიერთი სახელი: **амщырнщы** „ანწლი“ („ბუზების ფოთოლი“), **анщэарщыс** „ბულბული“ („ღმერთების ჩიტი“), **абгарымщ** „ციცინათელა“ („მგლების ბუზი“).

ნამდვილ ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება გამონათქვამები: **иаб ихъы икит** „ძალზე ძვირი დააფასა“ („მამამისის ფასი დაადო“),

**иаӡара иӡышит** „თავს გაუვიდა, აიშვა, ლაგამი წაიყარა“ („აღვირი პირიდან გამოუვარდა“), **аӡстаа диргӡырӡьӡоит** „ცოდვას სჩადის, ცუდად იქცევა“ („ემშაკს ახარებს“), **абаа хижӡом** „სუსტია, უძლურია, უნძილია“ („ციხეს ვერ დაანგრევს“), **абга иӡьлт** „გაუმართლა, ბედმა გაუღიმა“ („მგელი შეხვდა“), **дӡьӡшӡак иеихӡоит** „ზრდილობის გამო ესალმება“ („მინდვრის აფხაზურს ეუბნება“), **ажӡа шкӡაკӡа иӡьлеит** „არ გაუმართლა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ („თეთრი კურდღელი შეხვდა“), **ижӡ атыша итаӡазшӡа дгьлоуп** „არ იცის, რა ქნას; დაბნეულია; საცოდავად დგას“ („ისე დგას, თითქოს ძროხა ხრამში ჩაუვარდა“), **камчӡыла еибადырбо** „სანაქებო ქალიშვილი ან ქალი“ („მასზე მათრახის ტარით ანიშნებენ ერთმანეთს“) და მრავალი სხვა. (გვანცელაძე 2003: 108-115).

## ლიტერატურა

**ამიჟბა 1984** – В. А. Амч-п̄ха, Р. К. Гулия-п̄ха, Ап̄суа бызшәа, афонетика, аморфология, Ақәа.

**ანდლულაძე 1968** – ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

**აფხაზური ენის გრამატიკა 1968** – Грамматика абхазского языка, Сухуми.

**ბლაჟბა 1957** – Х. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка. Труды абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия, т. XXVIII, Сухуми.

**გენკო 1955** – А. И. Генко, Абазинский язык. Грамматический очерк наречия тапанта, Москва.

**გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ. I, თბილისი.

**გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა (სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება), თბილისი.

**დეეტერსი 1930** – G. Deeters, Das Kharthwelische Verbum. Leipzig.

**დეეტერსი 1930** – G. Deeters, Der abchasische Sorahbau wachrichten von der Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen Philologisch-Historische Klasse, H. 3. Berlin.

**დირი 1907** – А. М. Дирр, О классах (родах) в кавказских языках, сборник материалов для описания местностей и племён кавказа, Тифлис.

**დიუმეზილი 1931** – A. Dumezil, La Langua des Oubykhs. Paris.

**დიუმეზილი 1932** – A. Dumezil, Etudes comparatives sur les langues causiennes du Word-Ouest Morphologie, Paris.

**დიუმეზილი 1975** – A. Dumezil, Le verb oubvkh. Etudes descriptives et comparatives. Memor de l'Academie des inscriptions et belleslettres. HST I. Paris.

**თაბულოვა 1976** – Н. Т. Табулова, Грамматика абазинского языка. Фонетика и морфология, Черкесск.

**თოფურია 1962** – გ. თოფურია, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე ტ. XIII, თბილისი.

**იაკოვლევი 1941** – Н. Ф. Яковлев, Д. А. Ашхамаф. Грамматика ады-

гейского литературного языка. Москва, Ленинград.

**კლიმოვი 1980** – Г. А. Климов, М. Е. Алексеев. Типология кавказских языков. Москва.

**კონჯარია 1963** – В. Х. Конджария, Ахацаа ркласс аѡбатѡи ахачырбага афункциакѡа аѡсуа бызшѡаѡы, Труды института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия, Сухуми.

**კუმახოვი 1964** – М. А. Кумахов, Морфология адыгских языков, Москва, – Нальчик.

**კუმახოვი 1967** – М. А. Кумахов, Адыгейский язык. АН СССР, т. IV, ИКЯ. Москва.

**კუმახოვი 1967** – М. А. Кумахов, Убыхский язык, АН ССР, т. IV, ИКЯ, Москва.

**ლომთათიძე 1942** – ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

**ლომთათიძე 1942** – К. В. Ломтатидзе, Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка. Сообщения АН Грузинской ССР, т. III, №4, Тбилиси.

**ლომთათიძე 1944** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი (ტექსტებიტურთ), თბილისი.

**ლომთათიძე 1945** – ქ. ლომთათიძე, კაუზატვის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი.

**ლომთათიძე 1947** – ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბილისი.

**ლომთათიძე 1948** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი.

**ლომთათიძე 1954** – ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის (ტექსტებიტურთ), თბილისი.

**ლომთათიძე 1955** – ქ. ლომთათიძე, პოტენცილისისა (შესამღებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI<sub>3</sub>, თბილისი.

**ლომთათიძე 1956** – ქ. ლომთათიძე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში, იკე, ტ. VIII.

**ლომთათიძე 1957** – К. В. Ломтатидзе, Из грузинско-абхазской грамматической встречи. Труды абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия, т. XXVIII, Сухуми.

**ლომთათიძე 1960/1961** – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო (საურთი-

ერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-ადილურ ენებში, იკე, ტ. XII, თბილისი.

**ლომთათიძე 1961** – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი.

**ლომთათიძე 1967** – К. В. Ломтатидзе, Абазинский язык. ЯН ССР, т. IV, ИКЯ, Москва.

**ლომთათიძე 1970** – ქ. ლომთათიძე, მიჩნევის (მოჩვენების, მოჩვენებითობის) კატეგორიისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში და შესაბამისი წარმოების საკითხი ქართულში, იკე, ტ. XVIII, თბილისი.

**ლომთათიძე 1972** – ქ. ლომთათიძე, „ცოდნის“ აღმნიშვნელი ძირის შესახებ აფხაზურ-ადილურ ენებში, თსუ შრომები, 133 (142), თბილისი.

**ლომთათიძე 1975** – К. В. Ломтатидзе, К вопросу о природе сонантов и об их коррелятивных парах (по данным абхазско-адыгских и картвельских языков. В. Я., №3, Москва.

**ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი.

**ლომთათიძე 1976** – К. В. Ломтатидзе, Категория версии в картвельских и абхазско-адыгских языках. ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

**ლომთათიძე 1976** – К. В. Ломтатидзе, Категория потенциалиса (возможности) в картвельских и абхазско-адыгских языках, ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

**ლომთათიძე 1979** – ქ. ლომთათიძე, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ასახვა აფხაზური ზმნის უღვლილებაში, მაცნე №2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

**ლომთათიძე 1982** – ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში, თბილისი.

**ლომთათიძე 1991** – ქ. ლომთათიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივ მიმართებათა გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშიერთა სახელთა მიხედვით). – ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**მარი 1938** – Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. О языке и истоиии абхазов. Москва, Ленинград.

**მაჭავარიანი 1998** – ნ. მაჭავარიანი, სასხვისო ქცევის „ც“ პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები,

IX, თბილისი.

**მაჭავარიანი 1999** – ნ. მაჭავარიანი, ზმნის საურთიერთო კატეგორიის **აბა-** მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი VIII, თბილისი.

**მაჭავარიანი 2007** – ნ. მაჭავარიანი, ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის **ც-** პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXV, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ობიექტისა და სუბიექტის პირის ნიშანთა განლაგებისათვის ქართულ და აფხაზურ გარდამავალ ზმნებში, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ლოკალურ პრევერბთა და მასდარულ ფუძეთა შემცველი მცენარეთა სახელწოდებანი აფხაზურში, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ერგატიული კონსტრუქცია აფხაზურსა და ქართულში (პირ-კლასისა და პირის აფიქსთა განლაგების ეკვივალენტურობისათვის აფხაზური და ქართული გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაში), ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, კითხვითობის **-მა** და უარყოფითობის **-მ-** მორფემათა ისტორიისათვის აფხაზურში და მათი საერთო ამოსავლის კავშირი ქართული ენის ანალოგიურ კატეგორიებთან, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის – 1, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, მორფოლოგიური იზოგლოსები ქართული და აფხაზური ენების ზმნურ კონსტრუქციებს შორის – 2, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, ზმნის სათანაო კატეგორიის წარმოების კვალი ქართულში, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2015** – ნ. მაჭავარიანი, მადინამიკურებელი (გარდაცვეითობის) **-ხა** სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ენათ-

მეცნიერული შტუდიები, თბილისი.

**მაჭავარიანი 2016** – ნ. მაჭავარიანი, ახალი არგუმენტი ძველი მოსაზრებისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXVII, თბილისი.

**მაჭავარიანი 2018** - ნ. მაჭავარიანი, აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVI, 2018, თბილისი.

**მაჭავარიანი 2019** - ნ. მაჭავარიანი, ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXX, თბილისი.

**მაჭავარიანი 2018** - აფხაზურ-ქართული ლექსიკონი ინდექსითა და გრამატიკული მიმოხილვით, თბილისი.

**რამიშვილი 1979** - გ. რამიშვილი, ენათსხვაობა და სემანტიკური შედარების მიზანი, კრებული „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი, 1979.

**როგავა 1950** – გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონაშთებისათვის ადილურ ენებში, სმამ, ტ. XI, თბილისი.

**როგავა 1953** – გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, №7, თბილისი.

